საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

(1 აგვისტო - 20 ოქტომბერი, 2012 წელი)

დეკემბერი, 2012 წელი

საქართველოსახალგაზრდაიურისტთაასოციაციისსადამკვირვებლომისიაფინანსურადმხარდაჭერილიაფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF), „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED), საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ქვეგრანტის ფარგლებში. ამ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეიძლება არ გამოხატავდეს დამფინანსებლების ოფიციალურ პოზიციას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. წინასიტყვაობა 3

2. სადამკვირვებლო მისიის ფორმატი 3

3. მონიტორინგის მასშტაბი 3

4. მონიტორინგის მეთოდოლოგია 4

5. წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი 4

   5.1. სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის 4

   5.2. ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები 12

   5.3. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წინასაარჩევნოდ 15

   5.4. წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევა 17

   5.5. სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები 20

   5.6. ზეწოლისა და მუქარის ფაქტები 21

   5.7. პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება 24

   5.8. წინასაარჩევნო შეხვედრები 31

   5.9. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 33

   5.10. ქმედებები მედიის წინააღმდეგ 36

6. კენჭისყრის დღე 38

7. არჩევნების შემდგომ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცედურების მონიტორინგი 41

8. დასკვნები/ძირითადი ტენდენციები/რეკომენდაციები 60

1. წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაფუძნებიდან დღემდე აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მონიტორინგის პროცესში. ორგანიზაციის მიზანია არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე მოსახლეობისათვის მიუკერძოებელი, კომპეტენტური და დროული ინფორმაციის მიწოდება, ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომლებიც თან ახლავს არჩევნებს და ზრუნვა იმ პოზიტიური ასპექტების გაღრმავებაზე, რომლებიც იქნა მიღწეული.

საიას, როგორც წამყვანი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის, ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა წარმოადგენს. აღნიშნულის მიღწევა კი, შეუძლებელი იქნება ქვეყანაში, სადაც საზოგადოებას არ ექნება საკუთარი არჩევანის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის რამდენიმე ფაქტორის გამო. კერძოდ, პირველი, უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარე, ხელისუფლების აღნიშნულმა შტომ ფუნქციურად განსხვავებული დატვირთვა შეიძინა და, მეორე, არჩევნების ჯეროვნად, სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარება წარმოაჩენდა საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხს.

უკიდურესად დაძაბული წინასაარჩევნო გარემოს ფონზე, პრეზიდენტის განკარგულებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბრისათვის დაინიშნა.[1] შესაბამისად, კანონის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია 1 აგვისტოდან (არჩევნების დანიშვნის მომენტიდან) შევიდა ძალაში.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით გასული პერიოდის არჩევნებისგან, წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვება საიამ გაცილებით ადრე, 2012 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და წინასაარჩევნო გარემო ორ შუალედურ ანგარიშში შეაფასა.[2]

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2012 წლის 1 აგვისტოდან წინასაარჩევნო კამპანიის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ პერიოდს. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე.

2. სადამკვირვებლო მისიის ფორმატი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნებზე დაკვირვებას დაარსების დღიდან ახორციელებს, რა დროსაც მუდმივად და მკაცრად იცავს ნეიტრალურ პოზიციას. ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად ემორჩილებიან საარჩევნო კანონმდებლობასა და საერთაშორისოდ დადგენილ დემოკრატიულ სტანდარტებს საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საარჩევნო სუბიექტები და საჯარო მოხელეები წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და შედეგების შეჯამების პროცესში.

საარჩევნო პერიოდში საიას საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების გამოვლენით, არამედ, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში საჩივრების წარდგენის გზით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს საარჩევნო კანონმდებლობის პროგრესული განმარტების დანერგვას, დამრღვევთა წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარებასა და საარჩევნო დარღვევების შემდგომ პრევენციას.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვება განხორციელდა ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში – *ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა.*

3. მონიტორინგის მასშტაბი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებას, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისაგან განსხვავებით, უფრო ფართო ფორმატით ახორციელებდა. 2012 წლის 25 ივნისს საიას გამგეობის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვებას თბილისისა და რეგიონებში მდებარე 35 ოლქში[3] განახორციელებდა, უბნებზე მივლინებული დამკვირვებლებისა და მობილური ჯგუფების მეშვეობით. საია სადამკვირვებლო მისიას ახორციელებდა ასევე საზღვარგარეთის 5 ქვეყანაში – აშშ (ნიუ-იორკი), უნგრეთში (ბუდაპეშტი), ინგლისში (ლონდონი), საფრანგეთსა (პარიზი) და გერმანიაში (ბერლინი).

[1] საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 1 აგვისტოს განკარგულება №01/08/01

[2] საიას წინასაარჩევნო პროცესების მონიტორნგის I (იანვარი - მარტი 2012) და II (აპრილი-ივლისი 2012) შუალედური ანგარიშები

[3] 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას საია შემდეგ საარჩევნო ოლქებში ახორციელებდა დაკვირვებას: მთაწმინდა, ვაკე, საბურთალო, კრწანისი, ისანი, სამგორი, ჩუღურეთი, დიდუბე, ნაძალადევი, გლდანი, ბათუმი, ხელვაჩაური, ხულო, ქუთაისი, წყალტუბო, საჩხერე, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ზუგდიდი, ფოთი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, თელავი, საგარეჯო, ლაგოდეხი, დუშეთი.

აღნიშნულ ოლქებში დაკვირვების გადაწყვეტილება რამდენიმე გარემოებაზე იყო დაფუძნებული: საია არჩევნებს აკვირდებოდა ორგანიზაციის წევრების, თანამშრომლებისა და გამოცდილი დამკვირვებლების მეშვეობით. შესაბამისად, მონიტორინგის მასშტაბები რამდენიმე რეგიონით უნდა შემოფარგლულიყო. დაკვირვების ობიექტად შეირჩა წინა არჩევნების დროს გამოკვეთილი პრობლემური საუბნო საარჩევნო კომისიები, გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი და უმცირესობებით დასახლებულ ოლქებში არსებული საუბნო საარჩევნო კომისიები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წინასაარჩევნო პერიოდს აკვირდებოდა თბილისსა და 7 რეგიონში (კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, აჭარა, იმერეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი). მონიტორინგში საიას 17 მონიტორი იყო ჩართული.

არჩევნების დღის განმავლობაში, საიას 340 დამკვირვებელი[4] მივლენილ იქნა შესაბამის საარჩევნო უბნებში, ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცენტრალურ კომისიაში.

საიამ ასევე განახორციელა 2012 წლის 14 ოქტომბერს გამართული განმეორებითი არჩევნების მონიტორინგი ხაშურის, გორისა და სიღნაღის ოლქებში.

4. მონიტორინგის მეთოდოლოგია

საიას დამკვირვებლები **წინასაარჩევნო პერიოდში** ინფორმაციას სხვადასხვა გზით მოიპოვებდნენ. ხდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციიდან და სხვა საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა, ასევე, ხორციელდებოდა მასმედიის საშუალებით[5] გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგი. გარდა ამისა, საიას წარმომადგენლები ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების სააგიტაციო შეხვედრებს ამომრჩევლებთან. ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეები და პოლიტიკური პარტიის წევრები თავად გვაწვდიდნენ ინფორმაციას წინასაარჩევნო პერიოდში მათ მიერ იდენტიფიცირებული სამართალდარღვევების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ საიას მონიტორები თითოეულ შემთხვევას უშუალოდ განმცხადებლებთან ამოწმებდნენ. საჭიროების შემთხვევაში, საიას იურისტები სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ მოქალაქეებს.

სათანადო მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დარღვევის ფაქტებს ცესკოში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებში ასაჩივრებდა.

არჩევნების დღეს საიას დამკვირვებლები დაკვირვებას მუდმივი წესით ახორციელებდნენ თბილისის 10 საარჩევნო ოლქის 70 საარჩევნო უბანსა და საქართველოს 9 რეგიონის 25 საარჩევნო ოლქში. მათ დახმარებას უწევდნენ თბილისში 15 და რეგიონებში მოძრავი მობილური ჯგუფის წევრები. **საქართველოს სხვადასხვა რეგიონში** საარჩევნო უბნებზე დაკვირვებას ახორციელებდა საიას 215 დამკვირვებელი. **ასევე, საიას დამკვირვებლები დაკვირვებას ახორციელებდნენ საზღვარგარეთ გახსნილ 5 საარჩევნო უბანზე.**[6]

არჩევნების დღეს და შემდგომი პროცედურების წარმართვისას, 35 საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუდმივად იმყოფებოდნენ საიას დამკვირვებლები. საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (შემდგომში ცესკო) არჩევნების დღიდან შედეგების შეჯამებამდე მუდმივი წესით იმყოფებოდნენ საიას იურისტ-დამკვირვებლები.

გარდა ამისა, საიაში მთელი დღის განმავლობაში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლოთ საარჩევნო დარღვევების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება. საჭიროების შემთხვევაში, შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირებას ადგილზე გასვლით ახდენდა შესაბამისი მობილური ჯგუფი.

5. წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი

5.1. სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის

ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდების პარტიული მიზნებით გამოყენება

აგვისტოს თვის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მცირე კვლევა ჩაატარა ადგილობრივი თვითმმართველობების ვებ-გვერდებთან დაკავშირებით. ჩვენ მიერ მოკვლეული ინფორმაციით, თვითმმართველობების ვებ-გვერდები აქტიურად აშუქებენ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების წარდგენის პარტიულ ღონისძიებებსა თუ ისეთ სააგიტაციო შეხვედრებს, სადაც ოპონენტების საწინააღმდეგო მოწოდებები უხვადაა გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდებზე განთავსებულია მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების სურათები. ცალკეულ შემთხვევაში, გამოქვეყნებუ-

[4] 99 დამკვირვებელი მივლენილ იქნა თბილისის საარჩევნო უბნებსა და ოლქებში, 234 დამკვირვებელი – რეგიონებში და 7 დამკვირვებელი – საზღვარგარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებში.

[5] ცენტრალური და რეგიონული პრესა, ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლები და ინტერნეტ გამოცემები.

[6] 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობას საია შემდეგ საარჩევნო ოლქებში აკვირდებოდა: მთაწმინდა, ვაკე, საბურთალო, კრწანისი, ისანი, სამგორი, ჩუდურეთი, დიდუბე, ნაძალადევი, გლდანი, ქუთაისი, წყალტუბო, საჩხერე, ბათუმი, ხელვაჩაური, ქობულეთი, ხულო, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, გორი, ხაშური, ქარელი, კასპი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, დუშეთი. ასევე: დიდ ბრიტანეთში (ლონდონი), უნგრეთში (ბუდაპეშტი), აშშ-ში (ნიუ-იორკი), საფრანგეთში (პარიზი) და გერმანიაში (ბერლინი).

ლია საარჩევნო სუბიექტის ნომერი „5“-ის, საარჩევნო პროგრამის, კანდიდატის სახელისა და გვარის შემცველი საარჩევნო ბანერის ამსახველი ფოტომასალა. ასევე, ცალკეულ შემთხვევაში, თვითმმართველობების ვებ-გვერდების მეშვეობით ხორციელდება მთავარი ოპოზიციური გაერთიანების საწინააღმდეგო აგიტაცია.

ჩვენ მიერ ჯამში 14 თვითმმართველობის ვებ-გვერდი იქნა გამოვლენილი, სადაც განთავსებული მასალა ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონმდებლობას. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობების ვებ-გვერდებზე მხოლოდ მმართველი პარტიის სასარგებლო აგიტაციას აქვს ადგილი და არც ერთ შემთხვევაში არ ხდება ოპოზიციური პარტიების პოზიტიურ კონტექსტში მოხსენიება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ვებ-გვერდებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობების გაშუქების ფაქტებმა ბოლო პერიოდის განმავლობაში საგანგაშო ტენდენციის სახე მიიღო. აღნიშნული ნათლად მეტყველებს ადგილობრივ დონეზე პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვრის არარსებობაზე, რა დროსაც უგულებელყოფილია საჯარო სამსახურის უპარტიობის ძირითადი პრინციპი.

ზემოაღწერილი კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკის თვალსაჩინოდ დემონსტრირებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში[7] უხვადაა გამოყენებული პარტიული ღონისძიების ამსახველი ფოტოები, სადაც კარგად ჩანს სააგიტაციო მაისურში ჩაცმული მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატი მერაბ ჯანელიძე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ბანერი. ბანერში მოკლედაა ასახული საარჩევნო პროგრამა, გამოსახულია კანდიდატი და საარჩევნო ნომერი „5“. პრესრელიზში კანდიდატი მოხსენიებულია „სამტრედიელებისათვის საკმაოდ ნაცნობ“ პიროვნებად;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე[8] გამოქვეყნებული ინფორმაციაც მმართველი პარტიის კანდიდატის წარდგენას ეხება. პრესრელიზი მმართველი პარტიისადმი პოზიტიურად განწყობილი ტონით აღწერს სააგიტაციო შეხვედრის მიმდინარეობას. კერძოდ, მითითებულია:

  „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ადგილობრივ მოსახლეობასთან განაცხადა, რომ როლანდ ახალაია არის პიროვნება, რომელიც ერთგულად ემსახურება თავის ქვეყანას და მის სახელთან არის დაკავშირებული ყველა ის სასიკეთო ცვლილებები, რაც ბოლო პერიოდის საქართველოში განხორციელდა.

  ნარაზენში ადგილობრივ მოსახლეობასთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმაც გააკეთა განცხადება და მოსახლეობას დაფასებისთვის მადლობა გადაუხადა. როლანდ ახალაიას განცხადებით, ფრაზა „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ არასდროს გაიცვითება. რაც შეეხება მთავრობის პროგრამას „მეტი სარგებელი ხალხს“, როლანდ ახალაიას განცხადებით, იგი ეცდება, გამარჯვების შემთხვევაში, ამ პროგრამამ თითოეულ ოჯახში შეაღწიოს. შეხვედრითა და ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატის დასახელებით ნარაზენის მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა. მათი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგია აბსოლუტურად მისაღები და მოსაწონია.“
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე[9] გამოქვეყნებული მასალის სათაური საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ გამოქვეყნებულ ინფორმაციას ღირებულება მხოლოდ პარტიული საქმიანობის წარმოჩენის კუთხით გააჩნია. სათაურის მიხედვით: „მაჟორიტარობის კანდიდატი კობა ნაყოფია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბოლნისის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.“
- ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე[10] გამოქვეყნებული მრავლობითი ინფორმაციის მეშვეობით შეუფარავად ხორციელდება მთავარი ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო აგიტაცია და, იმავდროულად, მმართველი პარტიის მიმართ პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას აქვს ადგილი. ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული პრესრელიზები შემდეგნაირადაა დასათაურებული:
  - „მეოცნებეების პროვოკაცია“;
  - „ნაციონალური მოძრაობის ახმეტის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს“;
  - „ახმეტის „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილი ბრიფინგი მიზნად ისახავდა საზოგადოების სიცრუეში შეყვანას“;
  - „ქართული ოცნების“ საბჭოთა ნოსტალგია“;
  - „პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის ხელმძღვანელს თემურ გოდერძიშვილს რუსეთის აგრესია არ ახსოვს“;

[7] ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო მისამართზე: http://samtredia.com.ge/index.php?p=news_index/9_10/004; მოგვიანებით აღნიშნული ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდიდან აიღეს.

[8] ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო მისამართზე: http://www.zugdidicity.ge; მოგვიანებით აღნიშნული ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდიდან აიღეს.

[9] ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო მისამართზე: http://www.bolnisi.ge/#!lang/ka/cat/news/topic/212; მოგვიანებით აღნიშნული ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდიდან აიღეს.

[10] www.myakhmeta.ge; დღესდღეობით ეს ვებ-გვერდი საერთოდ გათიშულია და არ ფუნქციონირებს.

- „შეხვედრაზე მისული ადგილობრივები „ქართული ოცნების“ ფულისადმი ინტერესს არ მალავდნენ“;
- „გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ პეტრე ცისკარიშვილს უცხადებს ნდობას“;
- „ოჟიოს მოსახლეობის უმრავლესობა თემურ გოდერძიშვილის „ქართულ ოცნებაში“ გადასვლას მის ბიზნეს ინტერესებს უკავშირებს“;
- „ვინ არის „ქართული ოცნების“ ახმეტის ოფისის ახალი ხელმძღვანელი?!“ და სხვა.

ქვემოთ მოცემულია იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი, რომელთა ვებ-გვერდებზეც საიამ წინასაარჩევნო აგიტაციის შემცველ მასალას მიაკვლია. აქვე მოცემულია პრესრელიზების/სიახლეების ბმული, თარიღი, სათაური და ზოგიერთ შემთხვევაში, მოკლე ამონარიდი გამოქვეყნებული მასალიდან (ჩასმულია / / სიმბოლოთა შორის):

1. **სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია** (http://www.szs.gov.ge/cgi-bin/admin/tviuri.pl) – 1. **„დავით ბაქრაძემ სენაკში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინა“ (29.08.2012); 2. „საქართველოს პრეზიდენტი ჩხოროწყუში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და სიტყვით მიმართა“ /ამონარიდი:** დღეს ჩვენი მოწინააღმდეგის ფულით დაფინანსებული ხალხი გამოსულია ასპარეზზე გრძელი სიით, თუ რა აქვთ დასანგრევი, გრძელი სიით, თუ რის აშენებაში უნდათ ჩვენთვის ხელის შეშლა... ოპტიმისტები ვართ და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ/ (04.08.2012); **3. „საქართველოს პრეზიდენტი სვანეთს ესტუმრა“ /ამონარიდი:** საქართველოში არის სხვადასხვა პოლიტიკური ძალა, რომლებსაც ბევრი ფული აქვთ და, იმის გარდა, რომ აქვთ დასანგრევი ობიექტების გრძელი სია, ასევე აქვთ გრძელი სია იმ ობიექტებისა, რომლებიც არ უნდა აშენდეს/ (03.08.2012) ;
2. **სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა** – **„დავით ბაქრაძემ სენაკში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინა“** (http://www.senaki.ge/index.html) **(29.08.2012);**
3. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტი** – „დავით ბაქრაძემ წალენჯიხაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინა“ (http://www.tsalenjikha.ge/index.html) (23.08.2012);
4. **მარტვილის მუნიციპალიტეტი** – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენა“ (http://www.martvili.ge/index.html) (21.08.2012);
5. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** – „ბაქრაძემ ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინა“ (http://www.zugdidicity.ge/) (21.08.2012);
6. **მესტიის მუნიციპალიტეტი** – „პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დღეს მესტიის მუნიციპალიტეტს ესტუმრა“ (http://www.mestia.ge/index.html) /ამონარიდი: პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ დღეს მესტიის რაიონის მოსახლეობას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კანდიდ კვიციანი წარუდგინა/ (23.08.2012);
7. **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი** – „დავით ბაქრაძე ლანჩხუთში“ (http://www.lanchkhuti.org.ge/index.php/2011-07-25-06-45-33/321-2012-08-22-15-52-42) /ამონარიდი: შეხვედრაზე დავით ბაქრაძემ მოსახლეობას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე წარუდგინა, რომელსაც დავალება მისცა, მივიდეს თითოეულ ქუჩაზე, სოფელში, ოჯახში იმისათვის, რომ იცოდეს, რა არის გასაკეთებელი და თანდათანობით გადაჭრან ყველა ის პრობლემა, რაც აწუხებს მოსახლეობას/ (22.08.2012);
8. **სამტრედიის მუნიციპალიტეტი** – „პრეზიდენტი სამტრედიაში“ **(**http://samtredia.com.ge/index.php?p=news_index/9_10/004**)** /ამონარიდი: სამტრედიელებისთვის საკმაოდ ნაცნობი პიროვნების მერაბ ჯანელიძის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ისაუბრა/;
9. **ახალქალაქის მუნიციპალიტეტი** (http://akhalkalaki.ge/portal/alias__Akhalkalaki/newsid__3416/callerModID__6857/tabid__3207/default.aspx) – /ამონარიდი: 15 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატად ოფიციალურად წარადგინა ახალქალაქის პოლიციის ყოფილი უფროსი სამველ პეტროსიანი/ (16.08.2012);
10. **დუშეთის მუნიციპალიტეტი** – „მაჟორიტარობის კანდიდატის წარდგენა“ (http://dusheti.org.ge/?l=G&m=11&st=0&id=94) /ამონარიდი: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 18 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა/ (21.08.2012);
11. **კასპის მუნიციპალიტეტი** – „მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი“ (http://www.kaspi.org.ge/news/199#cont) /ამონარიდი: პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გასაკეთებელი მუნიციპალიტეტში კიდევ ბევრია, დაწყებული საქმეები დასრულებას საჭიროებს, ამიტომ კახაბერ ხაჩირაშვილი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდანაც ასევე გულისხმიერად იზრუნებს დაგეგმილი სამუშაოების დამთავრებისათვის/ (20.08.2012);
12. **დმანისის მუნიციპალიტეტი** – „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დმან-

ისის მუნიციპალიტეტში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა“ (http://dmanisi.com.ge/More.aspx-?page=news&n=199&lang=geo&text) /ამონარიდი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად პარლამენტის თავმჯდომარემ კახაბერ ოქრიაშვილი წარადგინა/ (2.08.2012);

13. **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** – „მაჟორიტარობის კანდიდატი კობა ნაყოფია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბოლნისის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა“ (http://www.bolnisi.ge/#!lang/ka/cat/news/topic/212)(20.08.2012);

14. **ახმეტის მუნიციპალიტეტი (www.myakhmeta.ge)** – 1. „მეოცნებეების პროვოკაცია“ **(01.09.2012); 2.** „ნაციონალური მოძრაობის ახმეტის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს“ (30.08.2012); 3. „ახმეტის „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილი ბრიფინგი მიზნად ისახავდა საზოგადოების სიცრუეში შეყვანას“ (25.08.2012); 4. „ქართული ოცნების“ საბჭოთა ნოსტალგია“ (21.08.2012); 5. „პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის ხელმძღვანელს თემურ გოდერძიშვილს რუსეთის აგრესია არ ახსოვს“ (18.08.2012); 6. „შეხვედრაზე მისული ადგილობრივები „ქართული ოცნების“ ფულისადმი ინტერესს არ მალავდნენ“ (17.08.2012); 7. „გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ პეტრე ცისკარიშვილს უცხადებს ნდობას“ (14.08.2012); 8. „ნაციონალური მოძრაობიდან“ ახმეტაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად კვლავ პეტრე ცისკარიშვილი იყრის კენჭს“ (03.08.2012); 9. „ოჟიოს მოსახლეობის უმრავლესობა თემურ გოდერძიშვილის „ქართულ ოცნებაში“ გადასვლას მის ბიზნეს ინტერესებს უკავშირებს“ (01.08.2012); 10. „ვინ არის „ქართული ოცნების“ ახმეტის ოფისის ახალი ხელმძღვანელი?!“ (31.07.2012); 11. „რა პასუხს აძლევს თეიმურაზ გოდერძიშვილი იმ ამომრჩეველს, ვინც ერთიანი ნაციონალური სიით აირჩია და მას ნდობა გამოუცხადა“ (25.07.2012).

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით, აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო მომსახურების გამოყენება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ. ამავე კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. შესაბამისად, საიამ მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებული მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირები არღვევდნენ საარჩევნო კოდექსის ამ მოთხოვნებს, რაც მათთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, კერძოდ კი, 2000 ლარიანი ჯარიმის დაკისრების საფუძველი იყო. ასევე, საიას მოსაზრებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე მკვეთრად სააგიტაციო შინაარსის მასალის მრავალგზის გამოქვეყნების გამო, უნდა დამდგარიყო ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ამა წლის 6 სექტემბერს საიამ საჯარო განცხადებით მიმართა ცესკოს და მოითხოვა, დაუყოვნებლივ შეისწავლოს ზემოაღნიშნული საქმის გარემოებები, შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმები შესაბამისი პირების მიმართ. ასევე, ასოციაციამ მიმართა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორის კომისიას, სრულყოფილად შეისწავლონ სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდები, ეფექტური ზედამხედველობა გაუწიონ საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები. საიამ მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, დაინტერესდეს ზემოაღნიშნული ფაქტებით და შეაფასოს, ცალკეულ შემთხვევებში ხომ არ აქვს ადგილი მმართველი პარტიის სასარგებლოდ უკანონო შემოწირულების განხორციელებას.

საიას მიმართვის საფუძველზე, ამა წლის 10 სექტემბერს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორისმა კომისიამ გამოსცა რეკომენდაცია, რომელშიც მოუწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს:

- შეისწავლონ მათი ორგანიზაციების ეგიდით გამოცემული ბეჭდური თუ ელექტრონული გამოცემების შინაარსის შესაბამისობა საარჩევნო კანონმდებლობასთან და, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, აღკვეთონ მსგავსი პრაქტიკა;
- წინასაარჩევნო პერიოდში არ მოახდინონ ისეთი ბეჭდური გამოცემების ან ვიდეო პროდუქციის დისტრიბუცია, რომელიც საარჩევნო მიზნებისთვის შექმნილი არ არის, მაგრამ მასში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტის ფიგურირება ადმინისტრაციული რესურსის პარტიული მიზნებით გამოყენებას წარმოადგენს.

გარდა ამისა, საიას განცხადებაზე რეაგირება მოახდინა საარჩევნო ადმინისტრაციამაც. კერძოდ, ცესკომ აღნიშნული განცხადება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაუგზავნა, რომელთაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინეს ყველა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, ჯამში 14 პირის მიმართ და გადაუგზავნეს სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით, 14-ივე პირი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი და დაეკისრათ ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა – თითოეულს 2000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვის პროცესში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, თვითმმართველობების ვებ-გვერდებზე სააგიტაციო შინაარსის ინფორმაციის გამოქვეყნების გამო პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ინფორმაციის ტექნიკურად განთავსებაზე პასუხისმგებელ პირებს. მაგალითად:

- **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობაში** – ვებ-გვერდის ვებ-ოსტატს სერმან მურჯიკნელს;
- **აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალ-**

იტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროს სპეციალისტს ირაკლი სიჭინავას და სხვა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის სრულიად მიუღებელი იყო, აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ფარგლებში თვითმმართველობის ვებ-გვერდების პარტიული მიზნებისათვის გამოყენების გამო, პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ ვებ-გვერდზე ინფორმაციის ტექნიკურად განთავსებაზე პასუხისმგებელ პირებს. შესაბამისად, საიამ მოუწოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის გარემოებები, კერძოდ, დაადგინოს, თუ რომელი თანამდებობის პირები იღებდნენ გადაწყვეტილებას კონკრეტული ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და რომელი თანამდებობის პირები აძლევდნენ მითითებებს ინფორმაციის გამოქვეყნების ტექნიკურ მხარეზე პასუხისმგებელ პირებს კონკრეტული მასალის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მხოლოდ აღნიშნული გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ მიგვაჩნდა შესაძლებლად პირისათვის პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. სამწუხაროდ, აღნიშნული მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში, გაზიარებული არ იქნა.

ეჭვები სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდული პროგრამების პარტიული მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით

2012 წლის მაისში სახელმწიფომ წამოიწყო რამდენიმე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი დაწესებულების სტუდენტები ანაკლიას სტუმრობდნენ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით,[11] სტუდენტთა ნაწილი შერჩევის პროცედურების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია არ იყო ღია, ხოლო შერჩევა ძირითადად ხდებოდა სტუდენტების პოლიტიკური შეხედულებების, მმართველი პარტიისადმი მათი ლოიალურობის და არა – ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რამდენიმე წერილით მიმართა სამ უწყებას: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. საიას ინტერესის საგანს წარმოადგენდა მაქსიმალური ინფორმაციის მიღება იმ პროგრამების შესახებ, რომელთა საფუძველზეც სტუდენტების ანაკლიაში წაყვანა ხდებოდა. განსაკუთრებული აქცენტი ამ განცხადებებში სტუდენტების შერჩევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვნაზე გაკეთდა.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ახორციელებდა 2 ძირითად პროგრამას, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი დაწესებულების სტუდენტები ანაკლიაში იმყოფებოდნენ. ეს პროგრამებია:

1) **პროგრამა „პატრიოტი“**

წლიური საბიუჯეტო დაფინანსება 2012 წლისათვის: 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი.

ბენეფიციარების რაოდენობა: 5000-მდე, მათ შორის, სტუდენტები –2500-მდე.

ბენეფიციარების ასაკი: 15-დან 20 წლამდე.

განხორციელების ადგილი: ანაკლია.

შერჩევის კრიტერიუმები:

ა) მონაწილეები შეირჩევიან ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვა მისამართებზე განლაგებული განაცხადების მიხედვით;

ბ) მონაწილეები შეირჩევიან გუბერნატორებთან არსებული შესაბამისი სამსახურების რეკომენდაციის გათვალისწინებით.

2) **პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი“**

წლიური საბიუჯეტო დაფინანსება 2012 წლისათვის: 3 850 000 (სამი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

ბენეფიციარების რაოდენობა: 10 000-მდე ბენეფიციარი.

ბენეფიციარების ასაკი: 14-დან 28 წლამდე.

პროგრამის ხანგრძლივობა: 26 მაისიდან 46 დღის განმავლობაში (11 ივლისამდე).

განხორციელების ადგილი: ანაკლია.

[11] იხ: http://www.youtube.com/watch?v=6I9iKh6Zg8Y

შერჩევის კრიტერიუმები: „ახალგაზრდული ფესტივალი ანაკლია 2012“-ში (ლიდერთა სკოლა) მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე, ასევე სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები. პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდების შერჩევა განხორციელდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების, რეგიონული გამგეობებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით.“

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ამა წლის ივლისის თვეში მოწოდებული ინფორმაციით, ანაკლიაში განხორციელებულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 10 000-მდე ახალგაზრდამ, რომელთა შორის სტუდენტი იყო 4709.[12]

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფიქსირდება 4 სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა 2012 წლის განმავლობაში ანაკლიაში სასტუმროს მომსახურების შესაძენად აწარმოვა. აღნიშნულ სისტემაში მხოლოდ ის შესყიდვებია მოცემული, რომლებიც ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელდა. ინფორმაცია გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით (შესყიდვის არაკონკურენტული ფორმა) სასტუმროს მომსახურების შეძენის შესახებ აქ მოცემული არ არის. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ანაკლიაში სასტუმროს მომსახურების შესაძენად განხორციელებულ შესყიდვებს:

№	ტენდერის გამოცხადების თარიღი	სასტუმროს მომსახურების განხორციელების ადგილი	მიმწოდებელი	ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც უნდა გაეწიოთ სასტუმროს მომსახურება	სასტუმროს მომსახურების გაწევის პერიოდი	ღირებულება (ლარებში)
	25.01.2012	ანაკლია	შპს „სანი“	6300	15 მაისიდან 42 კალენდარული დღე	1 271 100
	25.01.2012	ანაკლია	სასტუმრო „ანაკლია“	3570	15 მაისიდან 42 კალენდარული დღე	499 800
	15.06.2012	ანაკლია	სასტუმრო „ანაკლია“	330	23 ივლისიდან 6 კალენდარული დღის განმავლობაში	49 500
	15.06.2012	ანაკლია	შპს „სანი“	720	23 ივლისიდან 6 კალენდარული დღის განმავლობაში	108 000
სულ: 10 920 ადამიანი; 1 928 400 (მილიონ ცხრაასოცდარვა ათას ოთხასი) ლარი						

ოფიციალური დოკუმენტების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ პროგრამების განხორციელებაზე გაწეული საკმაოდ სოლიდური და მოცულობითი ხარჯების მიუხედავად, ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები ნათლად დადგენილი არ იყო. განვიხილოთ ოფიციალურ დოკუმენტებში მონაწილეთა შერჩევის საკითხზე არსებული თითოეული ჩანაწერი:

1) პროგრამა „პატრიოტი 2012“-ის შესახებ გამოცემულ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის ბრძანების დანართში[13] მითითებულია: „მონაწილეები შეირჩევიან სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდსა და სხვა მისამართებზე განლაგებული განაცხადების“ მიხედვით. ბრძანება არ შეიცავს რაიმე მითითებას იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მიერ და როგორ უნდა მოხდეს შემოსული განცხადებების განხილვა, შერჩევის რა კრიტერიუმებია დადგენილი, როგორ უნდა გამოვლინდნენ წარმატებული აპლიკანტები და სხვა;
2) პროგრამა „პატრიოტი 2012“-ის შესახებ გამოცემულ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის ბრძანების დანართში[14] ასევე მითითებულია: „მონაწილეები შეირჩევიან ასევე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულ-გუბერნატორებთან არსებული შესაბამისი სამსახურების რეკომენდაციის გათვალისწინებით“. მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრული არ არის, თავის მხრივ, რეკომენდაციის გაწევისას რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელონ გუბერნატორებთან არსებულმა შესაბამისმა სამსახურებმა, როგორ ახერხებენ ისინი ინფორმაციის გავრცელებას პროგრამით დაინტერესებულ ახალგაზრდობაში და სხვა;
3) პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი 2012“-ის შესახებ გამოცემულ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის ბრძანების დანართში[15] მითითებულია: „ახალგაზრდული ფესტივალი ანაკლია 2012“-ში (ლიდერთა სკოლა) მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო აკადემიური

[12] სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ვალერიან შარიქაძის 2012 წლის 20 ივლისის #05-14/490 წერილი.

[13] 2012 წლის 4 იანვრის #01-პ ბრძანების დანართი, მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[14] 2012 წლის 4 იანვრის #01-პ ბრძანების დანართი, მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[15] 2012 წლის 5 იანვრის #02-პ ბრძანების დანართი, მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

მოსწრების მქონე, ასევე, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები. პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდების შერჩევა განხორციელდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების, რეგიონული გამგეობებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით." პროგრამა არ შეიცავს შერჩევის წესების აღწერილობას, რომლითაც თავად ახალგაზრდების წარმდგენმა სუბიექტებმა (აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები, რეგიონული გამგეობები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო) უნდა ისარგებლონ. ასევე, გაურკვეველია, რეგიონულ გამგეობებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რა ბერკეტები აქვთ იმისათვის, რომ მოახდინოს ასეთი შერჩევა.

იმ პირობებში, როდესაც ნორმატიული აქტებით „პატრიოტი 2012"-ისა და „ახალგაზრდული ფესტივალი 2012"-ისთვის მონაწილეთა შესარჩევად საჭირო კრიტერიუმები ცხადად დადგენილი არ არის, არ არსებობს მითითება კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო შერჩევის გამოყენებული პრაქტიკის მიმართ სტუდენტობის დიდ ნაწილს უკმაყოფილება გააჩნია, ძლიერდება ეჭვები მონაწილეთა შერჩევისას სუბიექტური მოსაზრებებით ხელმძღვანელობის თაობაზე, როგორიცაა, მაგალითად, მათი პოლიტიკური შეხედულება და ლოიალურობა მმართველი პარტიის მიმართ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიაჩნია, რომ მოპოვებული მასალები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აძლევს საფუძველს დაიწყოს საქმის შესწავლა და გარემოებების გამორკვევა, კერძოდ, დაადგინოს, ხომ არ აქვს სახელმწიფო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მხრიდან ადგილი უკანონო შემოწირულების განხორციელებას მმართველი პარტიის სასარგებლოდ. საიამ აღნიშნული პრობლემა რამდენიმე შეხვედრაზე წამოჭრა, მათ შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზეც და მოითხოვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან შესაბამისი წარმოების ჩატარება აღნიშნულის გამოსაკვლევად. გენერალური აუდიტორის მიერ შეხვედრებზე გაკეთებული განმარტებების მიხედვით, ამ საქმის შესწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატს არ მიეკუთვნება. მართლაც, აღნიშნულ უწყებას დღემდე არც ერთი გადაწყვეტილება სახელმწიფო უწყებების მიერ პარტიის სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულების საკითხზე არ მიუღიათ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოზიციის საწინააღმდეგოს ამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, აკრძალულია შემოწირულებების მიღება „სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა." ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-2 და მე-2[1] პუნქტების მიხედვით, შემოწირულებად ითვლება პარტიის ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრები, აგრეთვე, პარტიის მიერ უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი), ასევე, პარტიის ან ამ კანონის 26[1] მუხლით გათვალისწინებული პირის მხარდასაჭერად გაცემული ფულადი სახსრები, უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით გაცემული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა ან გაწეული მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი). შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებული იყო, გადაედგა შესაბამისი ნაბიჯები აღნიშნული საქმის გამოსაკვლევად, უკანონო შემოწირულების დადგენის შემთხვევაში კი, შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაეგზავნა ის სასამართლოსათვის. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გაუჩნდებოდა ეჭვი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთასთან დაკავშირებით, საქმის მასალები უნდა მიეწოდებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

ეჭვები მმართველი პარტიის აქტივისტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებასთან დაკავშირებით

2012 წლის 5 ივლისს ტელეკომპანია მაესტროს ეთერში გავიდა გადაცემა „აკრედიტაციის გარეშეს" მორიგი სიუჟეტი. აღნიშნულ სატელევიზიო პროგრამაში გადაიცა მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი კოორდინატორის, რუსუდან წიკლაურის ვრცელი ინტერვიუ. რესპონდენტის განმარტებით, ის იყო ნაძალადევის საარჩევნო ოლქის 48-ე საარჩევნო უბნის უფროსი, ე.წ. კოორდინატორი და, იმავდროულად, მუშაობდა ქ.თბილისის 32-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში, როგორც თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებით. ჟურნალისტის კითხვაზე, სამეურვეო საბჭოს წევრად დანიშვნისას იცოდა თუ არა, რომ ეს ფორმალური იყო და, სინამდვილეში, ხელფასს აიღებდა როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორი, რუსუდან წიკლაური პასუხობს, რომ იცოდა აღნიშნულის შესახებ, ასევე, ასახელებს პირს, რომელმაც ამ შინაარსის ინფორმაცია მიაწოდა. ეს პირი პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი მამუკა გუგეშაშვილია, რომელიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად თბილისის საკრებულოს წევრი გახდა. ჟურნალისტის შეკითხვაზე რუსუდან წიკლაური ასევე პასუხობს, რომ მსგავსი წესით სხვადასხვა თანამდებობაზე კოორდინატორები მხოლოდ თბილისში არიან დანიშნულნი – ბაღის გამგის მოადგილეების ან სკოლაში სამეურვეო საბჭოს წევრების სახით. პირადად მისმა ანაზღაურებამ შეადგინა თვეში 500 ლარი. აღნიშნული თანხის ნაწილი აღებული აქვს ხელზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისში, დადიანის ქ.№105-ში. ამის შემდეგ რუსუდან წიკლაური საუბრობს პარტიულ სტრუქტურაზე, თუ რა დაქვემდებარებაშია სხვადასხვა მუშაკი ერთმანეთთან, როგორია მათი სამუშაო არეალი და მეთოდები.

კოორდინატორების დაქვემდებარებაში არიან მიკროკოორდინატორები ანუ სოცაგენტები. აღნიშნული პირების ადამიანურ რესურსს ქალაქის თვითმმართველობა იყენებს სხვადასხვა გამოკითხვის ჩასატარებლადაც. მაგალითად, 2011 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ჩატარდა მოსახლეობის კარდაკარ გამოკითხვა, პროგრამა „დაგეგმე შენი ქალაქის ბიუჯეტის“ ფარგლებში. ამისათვის გამოიყენეს სწორედ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ დასაქმებული პირები, რის სანაცვლოდაც მათ ხელზე გარკვეული თანხა, კერძოდ, 150 ლარი აიღეს. აღნიშნული პროგრამა განახორციელა თბილისის მერიამ. „კარდაკარის“ დროს მოსახლეობას ეკითხებოდნენ მათი პოლიტიკური შეხედულებების შესახებაც, კერძოდ, რომელ პარტიას უჭერდნენ ისინი მხარს. გადაცემაში რუსუდან წიკლაური საუბრობს არჩევნების გაყალბების რამდენიმე სქემაზეც.

საიას განსაკუთრებული ყურადღება მოცემულ გადაცემაში მიიპყრო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული მუშაკების, ე.წ. კოორდინატორების დაფინანსების სქემამ, რომლის მიხედვითაც, მათი ძირითადი შემოსავლის წყარო ქ.თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტი იყო. პარტიული მუშაკები ადგილობრივ თვითმმართველობაში სხვადასხვა თანამდებობაზე იყვნენ დასაქმებულნი და სამუშაოზე მათი აყვანის ძირითადი განმაპირობებელი გარემოება სწორედ პარტიისათვის გაწეული განსაკუთრებული სამსახური იყო. ძირითადი პოზიციები, სადაც კოორდინატორების დასაქმება ხდებოდა, თბილისის თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები იყო. ერთ შემთხვევაში, კოორდინატორები თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლები იყვნენ სამეურვეო საბჭოებში, ხოლო მეორე შემთხვევაში – საბავშვო ბაღების გამგეების მოადგილეები.

აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად და უფრო მეტი მონაცემის შესაგროვებლად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის განცხადებებით მიმართა რამდენიმე უწყებას: ქ.თბილისის მერიას, ქ.თბილისის საკრებულოს, ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, ასევე, პ/გ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.“ აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ჩვენ მიერ გამოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება კანონით დადგენილ ვადებში. კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში 2012 წლის 10 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე საუბარი აღნიშნულ თემასაც შეეხო. კერძოდ, კამპანიაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია:

> *„ჩვენ ასევე გვახსოვს, რომ არავითარი რეაგირება ამ დრომდე არ მოჰყოლია ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემაში „აკრედიტაციის გარეშე“ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი კოორდინატორის მიერ საჯაროდ გავრცელებულ სკანდალურ ინფორმაციას მმართველის პარტიის მიერ ჩადენილი კანონდარღვევების თაობაზე, მათ შორის, პარტიის კოორდინატორების სახელმწიფო სამსახურში დასაქმებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, აღნიშნული საკითხის გადამოწმების მიზნით, ჩვენ მიერ წარდგენილი განცხადებების მიუხედავად, საქართველოს კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, თბილისის მერიასა და საკრებულოს არავითარი ინფორმაცია არ მოუწოდებია.*
>
> *მართლაც, განსაკუთრებით თვალშისაცემია სახელმწიფო უწყებების დახურულობა, მათი სურვილი, არ გასცენ საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური სრულიად გაუმართლებელ და უპრეცედენტო გამჭვირვალობას სთხოვს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებთან არიან დაკავშირებულნი. ამ პირობებში, კიდევ უფრო მეტად იზრდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა, ადეკვატური და დროული რეაგირება მოახდინოს ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ გამოყენების შემთხვევებზე, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მხრივ არ გვახსენდება მის მიერ მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება.“*

მხოლოდ აღნიშნული პრესკონფერენციის შემდეგ მივიღეთ ჩვენ მიერ გამოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი თბილისის მერიისა და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოდან. თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მას თბილისის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში დანიშნული ჰყავს 1 წარმომადგენელი. აღნიშნული პირების სახელფასო უზრუნველყოფის მიზნით, ქ.თბილისის 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 840 000 (რვაასორმოცი ათასი) ლარი. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით წარდგენილ განცხადებაში საია ითხოვდა დეტალურ ინფორმაციას სამეურვეო საბჭოებში ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენელთა შერჩევის კრიტერიუმების, პროცედურებისა და დანიშვნის წესის შესახებ. აღნიშნულის პასუხად გვეცნობა, რომ სამეურვეო საბჭოში ქ.თბილისის მერიის წარმომადგენლებს ნიშნავს ქ.თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. დანიშვნის ასეთი წესი, რომელიც კონკურსის გარეშე პირების სამსახურში აყვანასა და ამ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებას ეფუძნება, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მოქალაქეთა დასაქმებისას პარტიული ინტერესების გატარებისათვის.

ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ქ.თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში დირექტორი ყოველგვარი კონკურსის გარეშე იღებს სამსახურში აღმზრდელ-პედაგოგებსა და სხვა თანამშრომლებს, მათ შორის, მოადგილეს. თავად დირექტორს ნიშნავს ბაგა-ბაღის დამფუძნებელი, ანუ თბილისის მერია. სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორები 2007 წელს ქ.თბილისის მთავრობის მიერ დანიშნული იქნენ კონკურსის წესით შერჩევის საფუძველზე.

ჩვენ მიერ გაგზავნილი განცხადების პასუხად, სააგენტომ მოგვაწოდა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების 158-კაციანი სია, თუმცა, არ მოუწოდებია ინფორმაცია დირექტორების მოადგილეების შესახებ. რუსუდან წიკლაურის ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორები საბავშვო ბაგა-ბაღებში სწორედ დირექტორის მოადგილის პოზიციაზე იყვნენ დასაქმებულნი. შესაბამისად, ამ ინფორ-

მაციის გადამოწმების საშუალება არ მოგვეცა. პარალელურად, ქ. თბილისის მერიამ მოგვაწოდა იმ 175 წარმომადგენლის სია, რომლებიც ქ.თბილისის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებში არიან დანიშნულნი. თავდაპირველად, პ/გ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წერილობით გვითხრა უარი პარტიის კოორდინატორებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაზე, ხოლო მოგვიანებით მოგვაწოდა ამ ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი, ჩვენ მიერ განცხადების შედგენიდან თვენახევრის გასვლის შემდეგ. აღნიშნული სიების ურთიერთშედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღების 158 დირექტორიდან 3 მათგანის სახელი და გვარი ემთხვევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორების 3601-კაციან სიაში ფიქსირებულ 3 სახელსა და გვარს. კოორდინატორების სიის შედარება საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების მოადგილეების სიასთან ვერ მოხერხდა ამ უკანასკნელის არქონის გამო. თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების 175 წევრიდან 4-ის სახელი და გვარი ემთხვევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორთა სიას. დამთხვევათა სიხშირე მაღალი არ არის, თუმცა, აღნიშნული შედეგების სიზუსტის გადამოწმებისას, პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს თვითმმართველობის ორგანოებისა და პარტიის მიერ მოწოდებული სიების ავთენტურობა და აკურატულობა.

საიას მიერ განხორციელებული გადამოწმება სრულყოფილი არ არის. მით უფრო, რომ მონიტორინგისათვის საჭირო მრავალი ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საქმე უნდა გახდეს კომპეტენტური ორგანოების შესწავლის საგანი ტელევიზიით გაჟღერებულ ბრალდებათა სერიოზულობის გამო.

ხონის მუნიციპალიტეტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში ახალი პროექტის წამოწყება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე კრძალავს შემდეგი სახის ღონისძიებების წამოწყება-განხორციელებას:

- ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში;
- იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც უკვე გათვალისწინებული იყო სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში;
- არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ადგილობრივ ბიუჯეტში;
- გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

აღნიშნული აკრძალვა ემსახურება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შეზღუდვას წინასაარჩევნო პერიოდში, რათა მათ ბოროტად არ ისარგებლონ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებით და პარტიული ინტერესების სასარგებლოდ არ მოახდინონ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. საია წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგს უწევდა აღნიშნული ნორმის შესრულებას. საინტერესო აღმოჩნდა ხონის მუნიციპალიტეტის შემთხვევა, რა დროსაც საკრებულომ წინასაარჩევნო პერიოდში შეტანილი ცვლილებებით გაზარდა სოციალური დახმარების მასშტაბები.

საქმე ეხება ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2012 წლის 27 იანვრის №4 დადგენილებას, რომლითაც განისაზღვრა ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი. აღნიშნულ დადგენილებაში ამავე წლის 15 აგვისტოს[16] შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლითაც განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეთა ოჯახებისათვის დამატებით განისაზღვრა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წინასაარჩევნო პერიოდში შესაძლებელი გახადა ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივ ბიუჯეტში, რითაც დაარღვია საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსი უფლებამოსილ პირებს ანიჭებს უფლებას, მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ ხარჯების შეჩერება. საიამ გამოიყენა აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი, თუმცა, ხონის მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, საიას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა და საქმე მხოლოდ სოციალური პროგრამების ბენეფიციართა დაზუსტებას შეეხებოდა, რაც არ მოდიოდა წინააღმდეგობაში საარჩევნო კოდექსის დებულებებთან.

5.2. ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები

ამომრჩევლის მოსყიდვა, იმის მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდშია ის ჩადენილი თუ არა, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს. კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით, ის შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ან სისხლის სამართლის დანაშაულს. წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, კერძოდ, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევაში, დამატებით გათვალისწინებულია საარჩევნო სუბიექტის (პარტია, ბლოკი ან პარლამენტის წევრობის კანდიდატი) საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება სასამართლოს გადაწყვეტილებით. აგვისტოსა და სექტემბრის თვის განმავლობაში საიამ ამომრჩევლის მოსყიდვის სულ 3 საქმე შეისწავლა.

[16] წინასაარჩევნო პერიოდი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის გულისხმობს პერიოდს 1 აგვისტოდან 19 ოქტომბრამდე.

ზურაბ ოტიაშვილის მიერ დუშეთის ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

2012 წლის 27 აგვისტოს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია[17] ზურაბ ოტიაშვილის მიერ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვასთან დაკავშირებით. მედია-საშუალებისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალიდან ირკვევა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარგალში 2012 წლის 25 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობისა და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის ორგანიზებით, გაიმართა სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“. აღნიშნული ღონისძიების მიმდინარეობისას, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ზურაბ ოტიაშვილი ადგილობრივ მაცხოვრებელს გიორგი ბასილაშვილს 500 ლარით დაეხმარა. მოიპოვება ფაქტის დამადასტურებელი რამდენიმე მტკიცებულება. კერძოდ:

icmm.გე-ზე გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერში[18] გიორგი ბასილაშვილი ადასტურებს ზურაბ ოტიაშვილის მხრიდან მისი დახმარების ფაქტს;

ჟურნალისტისთვის მიცემულ კომენტარში თავად ზურაბ ოტიაშვილიც ადასტურებს ამ ინფორმაციას და ამბობს: „გაჭირვებული იყო და ადამიანურად დავეხმარე. თქვენც რომ ნახოთ, თქვენც დაეხმარებით“;

ტელეკომპანია მაესტროს მიერ მომზადებულ სიუჟეტში[19] გიორგი ბასილაშვილი და მისი მეგობარი კიდევ ერთხელ ადასტურებენ ზურაბ ოტიაშვილის მხრიდან ამომრჩევლის დახმარების ფაქტს. კერძოდ, ისინი მიუთითებენ, რომ ბასილაშვილს თანხა კონცერტის წამყვანმა გადასცა, რომელმაც გამოაცხადა, რომ ის ზურაბ ოტიაშვილისგან იყო.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 18 აგვისტოს, ვაჟაობის დღესასწაულამდე 1 კვირით ადრე ზურაბ ოტიაშვილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ბაქრაძემ მაჟორიტარობის კანდიდატად წარუდგინა მოსახლეობას. ბატონი ოტიაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს სწორედ მაჟორიტარი კანდიდატის რანგში ატარებდა, რასაც არაერთი ვიდეომასალა მოწმობს. მაგალითად, 23 აგვისტოს გამოქვეყნებულ ვიდეომასალაში[20] ადგილობრივი მოხელე წყარუაშვილი ზურაბ ოტიაშვილთან ერთად ხვდება მოსახლეობას და სააგიტაციო შეხვედრას ატარებს, სადაც კანდიდატის დამსახურებებზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნული ფაქტების ერთობლიობა ადასტურებს, რომ ზურაბ ოტიაშვილი პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ მოქმედებს და საარჩევნო მიზნები გააჩნია. ამა წლის 31 აგვისტოს გავრცელებული ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი დუშეთის საარჩევნო ოლქში იქნება არა ზურაბ ოტიაშვილი, არამედ ნინო ხუციშვილი,[21] თუმცა, ეს ცვლილება გავლენას არ ახდენს 25 აგვისტოს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1] მუხლის მიხედვით, საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ პირისათვის ფულის გადაცემა ამომრჩევლის მოსყიდვის დანაშაულს წარმოადგენს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით. პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ზურაბ ოტიაშვილის მიერ განხორციელებულ ქმედებაში იკვეთება სწორედ ამომრჩევლის მოსყიდვის დანაშაულის ნიშნები. შესაბამისად, ამა წლის 4 სექტემბერს საიამ საჯარო განცხადებით მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და მოუწოდა, დროულად გამოიძიონ აღნიშნული ფაქტი და გაატარონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორისი კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე დაწყებულია გამოძიება. გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია ჩვენთვის ცნობილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ საიას დაკვირვებით, ოპოზიციის აქტივისტების მიერ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები მყისიერ რეაგირებას ახდენდნენ, რასაც ვერ ვიტყვით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატსა და აქტივისტზე ზურაბ ოტიაშვილზე. მაგალითად, პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აქტივისტებს: მიხეილ მესხს, გაგა ამბროლაძესა და ნინო ყურუას, რომელთა შესახებაც წინა ანგარიშში ვწერდით, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის განხორციელებიდან 3 დღეში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდათ პატიმრობისა (მესხი, ამბროლაძე) და გირაოს (ყურუა) სახით. აღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ ამომრჩევლისათვის მატერიალური ფასეულობის გადაცემის დაპირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ოტიაშვილის შემთხვევა უფრო მძიმეა, რამეთუ ამომრჩევლისათვის დაპირების ნაცვლად ფულადი თანხების გადაცემას ჰქონდა ადგილი, სამართალდამცავი ორგანოებისაგან ასეთი ტიპის რეაგირება არ გვინახავს.

---

[17] http://www.icmm.ge/ka/site/articles/2376/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C.htm

[18] იხ: იქვე.

[19] http://maestro.ge/?address=uc&id=34482&page=3

[20] http://www.youtube.com/watch?v=4Y2LVCOpSLE

[21] http://icmm.ge/ka/site/news/2412/%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98-%E2%80%9E%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E2%80%9C-%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AD%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1.htm

თენგიზ სარიშვილის მიერ ფოთის ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

ამა წლის 6 და 11 სექტემბერს საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9"-ის ვებ-გვერდზე გავრცელდა ორი სიუჟეტი, რომლებიც ასახავს ფოთის №70 საარჩევნო ოლქში პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს" მაჟორიტარი კანდიდატის თენგიზ სარიშვილის შეხვედრას ადგილობრივ მოსახლეობასთან. ორივე შეხვედრის განმავლობაში პარლამენტის წევრობის კანდიდატი ამომრჩევლების თვალწინ აწარმოებს სატელეფონო საუბრებს, რომლის განმავლობაშიც მოსახლეობას ჰპირდება მათ წინაშე არსებული საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას, როგორებიცაა: გზის მოხრეშვა და წყლის მილის შეკეთება. აშკარაა, რომ მაჟორიტარი კანდიდატი ცდილობს ამომრჩევლების დაინტერესებას მათთვის გზის მოხრეშვისა და წყლის მილის შეკეთების დაპირებით, რაც ამომრჩევლის მოსყიდვას წარმოადგენს.

"ინფო 9"-ის 6 სექტემბრის სიუჟეტი[22] შეეხება თენგიზ სარიშვილის წინასაარჩევნო შეხვედრას ფოთში, დუმბაძის ქუჩის მაცხოვრებლებთან. ვიდეოში კარგად ჩანს, რომ მაჟორიტარი კანდიდატი ამომრჩევლების თვალწინ ესაუბრება „სამსახურის უფროსს", ვინმე ბატონ ნუგზარს და ახდენს მოქალაქეთა დაინტერესებას მატერიალური ფასეულობების გადაცემის დაპირებით: „ბატონო ნუგზარ, თენგო ვარ სარიშვილი. აქ დუმბაძეზე არის.. შეერთების ნაწილია დაზიანებული. ხოდა დუმბაძეზე... პორტში ვარ ეხლა, აქ შეხვედრაზე ვარ მოსახლეობასთან და... მე მგონი იქ რა... არა, პრობლემა არ იყო და მაგრამ იქ გამორჩენილი აქვთ, თითქოსდა... იქ, რა ქვია იმას, აპარატი, აპარატურა იყო გაფუჭებულიო და თუ ეს აპარატურა აღდგენილია, გამოუშვით ერთი და ეს ამ ხალხს... კი ბატონო, კაი ჩემო ნუგზარ, კაი. კი ბატონო, კაი, გმადლობთ. (ამომრჩევლებს მიმართავს) დღესვე მოვა თვითონ სამსახურის უფროსი. კი, კი ბატონო, აგერ ესმის მოსახლეობას თქვენი დაპირება ბატონო ნუგზარ." სიუჟეტში მოცემულია ერთ-ერთი ამომრჩევლის დოდო ვაშაძის კომენტარიც, სადაც ის ამბობს: „ძალიან დიდი მადლობელი ვართ ბატონი თენგიზის. მოგვისმინა, მიიღო ჩვენი შენიშვნები, შეგვპირდა და ეხლა, დღეს, პირდაპირ დღეს მოვა წყლის გასაკეთებლად პიროვნება." აღნიშნული კომენტარი ზუსტად იმას ადასტურებს, რომ ბატონი სარიშვილის ქმედებები მოსახლეობის მხრიდანაც დაპირებად აღიქმება. სიუჟეტის დასაწყისში ჩანს ერთი ასაკოვანი ამომრჩეველი, რომელიც გამოხატავს უკმაყოფილებას წყლის პრობლემის ერთი თვის განმავლობაში გადაუჭრელობის გამო. პრესსამსახურის ხელმძღვანელი მაგდა მენაბდე განმარტავს, რომ შეხვედრა მიმდინარეობდა გურიის ქუჩის მაცხოვრებლებთან და მათთან საუბარს ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში.

„ინფო 9"-ის 11 სექტემბრის სიუჟეტი[23] შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი კანდიდატის კიდევ ერთ წინასაარჩევნო შეხვედრას. მედიასაშუალების მიერ გადაღებულ ვიდეომასალაში დაფიქსირებულია ბატონი სარიშვილის სატელეფონო საუბარი, რომლის განმავლობაშიც ამომრჩევლების თვალწინ ის უცნობ პირს აღნიშნულ ქუჩაზე ე.წ. „ხრეშის" დაყრას ავალებს. კერძოდ, ვიდეომასალაში ისმის შემდეგი საუბარი: „გაუვალია ეს ადგილები და... ჩვენ... ახლა რომ დავიწყებთ... აქეთ რომ გადმოვიყვანთ გრეიდერს და იმას... აქ, იმაზე, ჩიტაძეზე და მელიქიშვილზე და იმაზე, დიდგორზე, აი მაშინ ის გრეიდერი გადავატაროთ იქით და ერთი-ორი მანქანა ხრეში დავაყრევინოთ ირას."

მოქალაქეების თვალწინ ასეთი სატელეფონო საუბრების წარმოება ქმნის ამომრჩევლის მოსყიდვის შემადგენლობას, რამეთუ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების დაინტერესებას „მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა)." აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა კანდიდატის მხრიდან გაკეთებულ ყველა დაპირებას უკანონოდ არ მიიჩნევს. მაგალითად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს კანონის 25^2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კანონიერია ის საარჩევნო დაპირება, რომელიც უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებასა და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარი კანდიდატის თენგიზ სარიშვილის დაპირებები გამოდის კანონიერი ჩარჩოდან, რამეთუ შეეხება არა საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებასა თუ სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას, არამედ მოსახლეობის წინაშე მდგარი საყოფაცხოვრებო პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას და, ამ გზით, მათ დაინტერესებას ისახავს მიზნად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამა წლის 28 სექტემბერს საიამ სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს და საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს" მაჟორიტარი კანდიდატის თენგიზ სარიშვილისათვის რეგისტრაციის გაუქმება. სასამართლომ აღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ თენგიზ სარიშვილის პირადი სახსრებით ამომრჩევლის მოსყიდვას ადგილი არ ჰქონია. სასამართლოს განმარტებით, მაჟორიტარმა კანდიდატმა მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა პასუხისმგებელ პირებს, რომელთაც ევალებოდათ მათი მოგვარება. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, ფოთის თვითმმართველობის მიერ ხორციელდებოდა წყლის მილების გაყვანა და გზების მოპირკეთება, რაც წარმოადგენდა მის კომპეტენციაში შემავალ საქმიანობას, ხოლო აღნიშნული არ მოიცავდა საარჩევნო კოდექსით აკრძალულ საქმიანობასა და ამომრჩევლის მოსყიდვას. საიას სააპელაციო საჩივრის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

[22] http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4014

[23] http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4373

გია გოგუაძის მიერ ლანჩხუთელი ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

2012 წლის 20 სექტემბერს „მე-9 არხის“ 3 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც ასახავს ლანჩხუთის №61 საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ მაჟორიტარი კანდიდატის გიორგი გოგუაძის წარმომადგენლის, ქეთუნა ცინცაძის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტს. კერძოდ, სიუჟეტის მიხედვით, გიორგი გოგუაძემ თავისი წარმომადგენლის ქეთუნა ცინცაძის მეშვეობით 100 ლარი გაუგზავნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათის მაცხოვრებელს თამარ გურგენიძეს. ვიდეომასალაში წარმოდგენილია თამარ გურგენიძის კომენტარი, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ ფაქტს. ის ამბობს: „ჩემთან მოვიდა ჩოჩხათის გამგებლის მოადგილე ქეთუნა ცინცაძე, რომელმაც მომცა 100-ლარიანი და ასე მითხრა, რომ ეს თანხა გამოგიგზავნათ გია გოგუაძემ და აბა თქვენ იცით, დანარჩენზე დაგეხმარებით, შემდეგ იქნება კიდევ დახმარებაო. მე აქამდე თავს ვიკავებდი და იმიტომ, რომ კიდევ ვერიდებოდი მაგათ, მაგრამ ეხლა უკვე აღარ ვიკავებ თავს და აღარ ვერიდები. თუ დახმარება მანამდე უნდოდათ, არჩევნებამდე დამხმარებოდნენ.“

ამომრჩევლის მოსყიდვა საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ქმედებაა.

აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად, საიას წარმომადგენელი ამა წლის 25 სექტემბერს იმყოფებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩოჩხათში. გურგენაძის თქმით, ის რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მისი მეუღლე ლოგინადაა ჩავარდნილი და საჭიროებს ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობას, ოჯახს მატერიალურად უჭირს. ქალბატონ თამარს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მიუმართავს მატერიალური მხარდაჭერის მოთხოვნით, თუმცა, რაიმე თანხა მისი ოჯახის დასახმარებლად არ გამოყოფილა. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დღით ადრე თამარ გურგენიძეს რწმუნებულმა გადასცა 100 ლარის ოდენობის თანხა და შეჰპირდა, რომ ერთჯერად დახმარებას მომავალშიც გაუწევდნენ.

5.3. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წინასაარჩევნოდ

დამოუკიდებელი კანდიდატის გიორგი გლუნჩაძის რეგისტრაციის საქმე

2012 წლის 10 აგვისტოს ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა, დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატის გიორგი გლუნჩაძის რეგისტრაციის მიზნით, საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის, მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია წარადგინა. სიაში არსებულ ხელმოწერათა გარკვეული ნაწილის ბათილად ცნობის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიამ საინიციატივო ჯგუფს ხარვეზის შესავსებად 2 დღიანი ვადა განუსაზღვრა. საინიციატივო ჯგუფმა მოთხოვნილი ხელმოწერები წარადგინა. იმავე დღეს, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინებით, გიორგი გლუნჩაძის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტები კომისიიდან იქნა ამოღებული. 2012 წლის 16 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე №48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის განცხადება გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებელი კანდიდატის გიორგი გლუნჩაძის რეგისტრაცია შეჩერებული იყო გაურკვეველი ვადით, კომისიიდან გლუნჩაძის კანდიდატის დასარეგისტრირებლად საჭირო დოკუმენტაციის დედნის ამოღების გამო.

საიას მოსაზრებით, აღნიშნულ საქმეში შესაბამის უწყებებს უნდა ეხელმძღვანელათ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვითაც: „**თუ ამოღებული და სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი საჭიროა** მიმდინარე აღრიცხვისათვის, ანგარიშგებისა და სხვა **მართლზომიერი მიზნებისათვის, ის ან მისი ასლი შეიძლება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად**“. ასეთ მართლზომიერ მიზანს უდავოდ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოზე – საოლქო საარჩევნო კომისიაზე – დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რაც გამოიხატება კანდიდატის რეგისტრაციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში.

საიამ მედიის საშუალებებით გაკეთებული საჯარო განცხადებებით არაერთხელ მიმართა ხარაგაულის №48 საოლქო საარჩევნო კომისიას, შესაბამისი ორგანოებიდან დაუყოვნებლივ მოეთხოვა ამოღებული დოკუმენტების უკან დაბრუნება, ხოლო შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს – დაუყოვნებლივ წარედგინათ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის აღნიშნული დოკუმენტები. ამ საკითხზე საიამ ინფორმაცია მიაწოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორის კომისიასაც. მოგვიანებით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საიას რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა. 2012 წლის 21 აგვისტოს კანდიდატის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები დაბრუნდა ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო 22 აგვისტოს, აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი კანდიდატის გიორგი გლუნჩაძის რეგისტრაციაში გატარების თაობაზე.

დაუშვებელია რაიმე ხელოვნური მიზეზებით რისკის ქვეშ დგებოდეს საქართველოს მოქალაქეების უფლება, იყარონ კენჭი საქართველოს პარლამენტის არჩევნებში. საია მიესალმება ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიისა და პროკურატურის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას და დამოუკიდებელ კანდიდატ გიორგი გლუნჩაძეს მიეცა პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების საშუალება.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზების საკითხი

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მეორე შუალედურ ანგარიშში[24] საია წერდა იმ პრობლემაზე, რომელიც საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვას უკავშირდებოდა. საქმე შეეხებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებას, რომლითაც ცვლილებები შევიდა საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების წესში. კერძოდ, აღნიშნული ბრძანებით საკონსულო აღრიცხვის გასავლელად აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტების რიცხვს ემატებოდა ცნობა საზღვარგარეთ საცხოვრებელი ადგილიდან. 2012 წლის 24 ივლისს საია აღნიშნულ ცვლილებას უარყოფითად გამოეხმაურა[25] და მიიჩნია, რომ ის ნეგატიურ გავლენას მოახდენდა საზღვარგარეთ მყოფი იმ მოქალაქეების საარჩევნო უფლებაზე: 1) რომლებიც არალეგალურად იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ; 2) რომელთა ადგილსამყოფელი ქვეყნებიც ასეთ ცნობას არ გასცემდნენ. მოგვიანებით შესული ცვლილებით მეორე პრობლემა აღმოიფხვრა, თუმცა პირველი დარჩა ძალაში.

საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფ ამომრჩევლებში საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებამ დიდი დაბნეულობა გამოიწვია. სამართლებრივი თვალსაზრისით, ვითარება მართლაც არასახარბიელო იყო, რასაც საფუძვლად ედო მარეგულირებელი ნორმების ბუნდოვნება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საკმაოდ გვიან, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, 2012 წლის 9 სექტემბერს გამოეხმაურა აღნიშნულ პრობლემას.[26] ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებით დაზუსტდა, რომ საარჩევნო მიზნებისათვის საკონსულოში დასარეგისტრირებლად საკონსულო აღრიცხვაზე არმყოფი პირების მხრიდან საკმარისი იყო განცხადებისა და მასზე დართული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა. დოკუმენტების წარმოდგენის ვადა, ამავე დადგენილებით, გაგრძელდა 3 დღით და ბოლო ვადად 13 სექტემბერი განისაზღვრა.

მიგვაჩნია, რომ ცესკოს მიერ აღნიშნული საკითხისადმი დაგვიანებულმა გამოხმაურებამ მნიშვნელოვნად დააზარალა საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობა, რაც გამოიხატა საარჩევნო მიზნებისათვის დარეგისტრირებულ პირთა მცირე რაოდენობაში.

არჩევნების დღეს ფოტო-ვიდეო გადაღების წესის დადგენა[27]

2012 წლის 24 სექტემბერს ცესკომ მიიღო დადგენილება №42/2012 „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ."[28] საიას მოსაზრებით, აღნიშნული აქტი არღვევდა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისათვის (მათ შორის ჟურნალისტებისა და დამკვირვებლებისათვის) საქართველოს საარჩევნო კოდექსით მინიჭებულ უფლებას – კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება. დადგენილებით მიღებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა. აღნიშნული დადგენილება და საიას მიერ გატარებული ღონისძიებები აღწერილია თავში – „ქმედებები მედიის წინააღმდეგ."

საუბნო საარჩევნო კომისიების განთავსების პრობლემა

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისია არ უნდა განთავსდეს და კენჭისყრის ადგილი არ უნდა გამოიყოს იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია: პარტია, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა შესაფერისი შენობა ამ კანონის შესაბამისად კენჭისყრის ჩასატარებლად. სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია), პოლიციის სამსახურები (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიისა). რამდენიმე შემთხვევაში, საიამ მიმართა სარჩევნო ადმინისტრაციას და მოითხოვა კანონის მოცემული დანაწესების დარღვევის თავიდან აცილება. 2012 წლის სექტემბერში მივმართეთ №53 ვანის საოლქო საარჩევნო კომისიას სოფელ გადიდში გამგეობის შენობაში №7 საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსებასთან დაკავშირებით. საიას მოთხოვნას წარმოადგენდა ზემოაღნიშნული ფაქტის შესწავლა და საუბნო საარჩევნო კომისიის სოფელ გადიდის საჯარო სკოლაში განთავსების შესაძლებლობის განხილვა.

ამა წლის 17 სექტემბერს საიამ მიმართა №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიას, სოფელ სერგიეთის ტერიტორიული ორგანოს შენობაში №34 საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსებასთან დაკავშირებით. კომისიის მიერ 20 სექტემბერს შედგენილი პასუხით გვეცნობა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსებისათვის შესაფერისი შენობა-ნაგებობა არ არის.

---

[24] საანგარიშო პეროდი: 1 აპრილი - 31 ივლისი; გამოცემის თარიღი: 2012 წელი; გვ. 5.

[25] იხ: http://gyla.ge/geo/news?info=725

[26] ცესკოს დადგენილება 2012 წლის 9 სექტემბრის №37/2012 დადგენილება „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების რეგისტრაციის, სიების შედგენისა და მათი ცესკოსა და ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიისათვის გადმოცემის ახალი ვადებისა და წესის განსაზღვრის შესახებ".

[27] „საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების რეგისტრაციის, სიების შედგენისა და მათი ცესკოსა და ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიისათვის გადმოცემის ახალი ვადებისა და წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის #37/2012 დადგენილება. იხ: http://cesko.ge/files/2012/DADGENILEBA/D_37.pdf

[28] იხ: http://cesko.ge/files/2012/DADGENILEBA/d_42.pdf

5.4. წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევა

სიძულვილის ენის გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიაში

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინმსწრები საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ერთ-ერთ პრობლემას პარტიების წარმომადგენლებისა თუ კანდიდატების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება წარმოადგენდა. საია აღნიშნულ საკითხს რამდენჯერმე გამოეხმაურა. კერძოდ, 2012 წლის 5 აპრილს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის, საიამ განცხადება გაავრცელეს,[29] რომლითაც სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდეს უარი ეთქვათ ქსენოფობიური, რელიგიური და ეთნიკური შეუწყნარებლობის შემცველ რიტორიკაზე. 2012 წლის 25 აპრილს საია ასევე განცხადებით გამოეხმაურა[30] პარლამენტარ აზერ სულეიმანოვის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას და მას თავშეკავებისაკენ მოუწოდა. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი, მათ შორის, საია 2012 წლის 19 ოქტომბერს ქართული ოცნების კანდიდატის, დავით დარახველიძის მიერ ამბროლაურის რაიონში ჩატარებული საარჩევნო კამპანიის დროს სიძულვილის ენისა და რასისტული გამონათქვამების გამოყენებასაც გამოეხმაურა.[31]

წინასაარჩევნო პერიოდში, ანუ არჩევნების დანიშვნის დღიდან, საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებში სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების წამოწყება ხდება შესაძლებელი. ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელდა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ წინასაარჩევნო რეკლამა.[32] აღნიშნული პარტია ცესკოს მიერ დარეგისტრირებულია, როგორც საარჩევნო სუბიექტი და მონაწილეობას იღებს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. რეკლამაში მოცემულია პ/გ „თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო პროგრამა, ანუ მისი ხედვა რიგი საკითხების მიმართ, რომელთა განხორციელებასაც ის აპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. რეკლამაში სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად დასახელებულია შემდეგი:

„მოვახდენთ უცხოელების მიერ მიტაცებული ტყეების და საძოვრების ნაციონალიზაციას.

მიწას დავუბრუნებთ ქართველ გლეხს.

ინგლისურ წარწერებს და თურქულ დროშებს ქართულით შევცვლით.

შევაჩერებთ აზიზიეს კომპლექსის მშენებლობას ბათუმში.

ავკრძალავთ ჰომოსექსუალიზმის და სექტების ზღვარგადასულ პროპაგანდას.“

აღნიშნული საკითხების ჩამონათვალთან ერთად, მნიშვნელოვანია ის კადრებიც, რომლებიც რეკლამაშია გამოყენებული. მაგალითად, უცხოელების ნეგატიურ კონტექსტში ხსენებისას რეკლამაში ჩანან ჩინელი მუშები, ხოლო „ჰომოსექსუალიზმის და სექტების ზღვარგადასული პროპაგანდის“ აკრძალვაზე საუბრისას ჩანს ლგბტ (ლესბი, გეი, ბი, ტრანსსექსუალი) პირთა მიერ 2012 წლის 17 მაისს გამართული მშვიდობიანი და კანონით დაცული მანიფესტაციის კადრები. აღნიშნულ მსვლელობას აგრესიულად განწყობილ პირთა ჯგუფებმა შეუშალეს ხელი, რაც მკაცრად დაიგმო როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნოდ დამზადებული კლიპების შინაარსი/მათი წინასაარჩევნო პროგრამა რამდენიმე მოთხოვნას უნდა პასუხობდეს. კერძოდ, ის არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისა ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას. საიას აზრით, პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ მიერ დამზადებული კლიპი/საარჩევნო პროგრამა არღვევდა აღნიშნულ აკრძალვებს, რამეთუ შეიცავდა ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისაკენ მოწოდებას. მართალია საარჩევნო კოდექსი არ განმარტავს ტერმინს „მოწოდება“, თუმცა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეს არის „განცხადება, რომლის ავტორიც მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას.“ მოცემულ შემთხვევაში, პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამის ავტორი იყო, მიზნად ისახავდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა მიმხრობას, მათ დაინტერესებას და, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სთავაზობდა უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების საწინააღმდეგოდ მკაცრი ზომების გატარებას. პოლიტიკური პარტიის მსგავსი გეგმები შეუთავსებელია დემოკრატიულ ღირებულებებთან და ადამიანის უფლებათა სამართალთან. საარჩევნო სუბიექტის მიერ აღნიშნული პროგრამის ამომრჩევლისათვის შეთავაზება და მხარდაჭერისაკენ მოწოდება შეიცავს ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდების ნიშნებს.

ამ კონტექსტში საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. დაახლოებით მსგავსი საქმე სასამართლომ 2009 წელს განიხილა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში „ფერე ბელგიის წინააღმდეგ“[33] მომ-

[29] იხ: http://gyla.ge/geo/news?info=656

[30] იხ: http://gyla.ge/geo/news?info=666

[31] იხ: http://gyla.ge/geo/news?info=787

[32] იხ: http://www.youtube.com/watch?v=L9HZIjogcIc

[33] *Féret v. Belgium* - 15615/07, Judgment 16.7.2009 [Section II]

ჩივანს წარმოადგენდა რადიკალური მემარჯვენე პარტიის პრეზიდენტი ბელგიაში, რომელიც მსჯავრდებულ იქნა საზოგადოებაში დისკრიმინაციისა და რასობრივი სიძულვილის გაღვივების გამო, რომელსაც ახდენდა საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გავრცელებული ლიფლეტებით.

ბატონი ფერე "Front National-Nationaal Front" პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე და ბელგიის წარმომადგენელთა პალატის წევრი იყო. აღნიშნულმა პარტიამ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გაავრცელა ლიფლეტები და პოსტერები, რომლებშიც არაევროპელი იმიგრანტი საზოგადოება წარმოჩენილი იყო, როგორც კრიმინალურად მოაზროვნე და მიდრეკილი იმისკენ, რომ გამოეყენებინა ის ბენეფიტები, რომელსაც ბელგიაში ცხოვრებით იღებდნენ. ლიფლეტები შეიცავდა ასევე დაცინვის ტექსტებს მათი მისამართით, რასაც თან ახლდა გარდაუვალი რისკი, რომ მოხდებოდა უნდობლობის, უარყოფის ან სიძულვილის გამოწვევა უცხოელების მიმართ. პროკურორის თხოვნით, ბატონ ფერეს მოეხსნა საპარლამენტო იმუნიტეტი, მის წინააღმდეგ დაიწყო სისხლის სამართლის წარმოება და მიესაჯა 250 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რომელიც უკავშირდებოდა ემიგრანტების ინტეგრაციას, ასევე, 10-თვიანი პირობითი საპატიმრო სასჯელი. ბატონი ფერე გამოცხადდა არაუფლებამოსილად, დაეკავებინა თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში 10 წლის განმავლობაში.

ევროსასამართლოს განმარტებით, პოლიტიკური გამოხატვა, რომელშიც შერეულია რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ ცრურწმენებზე დამყარებული სიძულვილი, დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალურ მშვიდობას და პოლიტიკურ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. ხოლო დაკავებული თანამდებობა, პარლამენტის წევრობის სახით, არ უნდა იყოს მიჩნეული, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. პოლიტიკოსებისათვის გადამწყვეტია, რომ საჯაროდ გამოხატვისას თავიდან აიცილონ ისეთი კომენტარები, რომლებსაც შეუძლია შეუწყნარებლობა გააძლიერონ. მათ მოვალეობას წარმოადგენს, დაიცვან დემოკრატია და მისი პრინციპები, რამეთუ მათი საბოლოო მიზანი მმართველობის განხორციელებაა. ევროსასამართლომ ბელგიის წინააღმდეგ განხილულ ამ საქმეში სათანადო ყურადღება დაუთმო წინასაარჩევნო კამპანიის მნიშვნელობასაც, რომელიც სიძულვილის ენას უფრო ამძაფრებს. სასამართლოს განმარტებით: „...იქ, სადაც რასისტული ან ქსენოფობიური კომენტარებია, საარჩევნო კონტექსტი ხელს უწყობს, გაღვივდეს სიძულვილი და შეუწყნარებლობა და ამ ტიპის გამოხატვის გავლენა უფრო უარესდება და უფრო საზიანოც ხდება... [პოლიტიკურ პარტიებს] აქვთ შესაძლებლობა, შესთავაზონ [საზოგადოებას] იმ პრობლემების გადაწყვეტის გზები, რომლებიც იმიგრაციასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მშვიდობიანი სოციალური კლიმატისათვის შეუფერებელი რეაქციების გაღვივებისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ადამიანების ნდობის დაკარგვის გარეშე. შეურაცხმყოფელი ტექსტების განხილვისას გამოაშკარავდა, რომ ის სიტყვათა წყობა, რომელიც მომჩივანმა გამოიყენა, ნათლად წარმოადგენდა დისკრიმინაციისა და რასობრივი სიძულვილისაკენ მოწოდებას, რაც არ უნდა შენიღბულიყო საარჩევნო კამპანიით." შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მიმართ გატარებული ღონისძიებები არ არღვევდა ევროკონვენციის მე-10 მუხლს – გამოხატვის თავისუფლებას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილით საარჩევნო სუბიექტებისათვის წინასაარჩევნო პერიოდში დადგენილ შეზღუდვას ეხმიანება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, სადაც (პარა. 90) მითითებულია: „დაუშვებელია, რომ კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისაკენ იყოს მიმართული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს ქმნიდეს. გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს. „საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და განამტკიცებს აზრისა და გამოხატვის უფლებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, მაგრამ, ამავე დროს, ითვალისწინებს უფლების შეზღუდვის საფუძვლებსაც, მათ შორის ისეთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, როგორიცაა სხვათა უფლებების დაცვა. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც გამოხატვა კვეთს ზღვარს, გავლებულს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის." [34]

პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს" მიერ გავრცელებული რეკლამა ხელს უწყობს იმ სტერეოტიპების გაძლიერებას, რომლებიც ხელს უშლის რელიგიური, ეროვნული თუ სექსუალური უმცირესობის სრულყოფილ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს წინასაარჩევნო პერიოდი, რა დროსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საარჩევნო სუბიექტებს. „პოლიტიკურ დისკურსში რასისტული, ანტისემიტური და ქსენოფობიური ელემენტების გამოყენების შესახებ" რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის 2005 წლის 17 მარტის დეკლარაციაშიც ხაზგასმულია პოლიტიკური სუბიექტების განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებული როლისა და პასუხისმგებლობის გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, სანქცია განსაზღვრულია ამავე კოდექსის 79-ე მუხლით. მითითებული ნორმის მიხედვით, სამართალდარღვევას წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო" წინასაარჩევნო აგიტაციას ახორციელებდა და, შესაბამისად, აღნიშნულ აგიტაციაში მონაწილეობდა 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევით, რისთვისაც 2000 ლარის ოდენობის ჯარიმაა გათვალისწინებული.

[34] იხ. ასევე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება, პარა. 6.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა, საერთო-სამოქალაქო მოძრაობამ „მრავალეროვანი საქართველო“, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა, ლგბტ საქართველომ, „იდენტობამ“ წერილობით მიმართეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მოუწოდეს, პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ მიმართ შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაეგზავნა შესაბამისი სასამართლოსთვის. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების შესახებ. შედეგად, ცესკოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი გადაეგზავნა სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც, პარტია „თავისუფალ საქართველოს“ 2 000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

ეკლესიისა და სასულიერო პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში

საინფორმაციო სააგენტო „frontnews”-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,[35] წინასაარჩევნო პერიოდში საგურამოს წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძრის გალავანზე „ქართული ოცნების“ დროშა იყო განთავსებული. აღნიშნულს ადასტურებს სააგენტოს მიერ გავრცელებული ფოტო-მასალა. სტატიაში მოყვანილია ამავე ტაძრის სასულიერო პირების მოსაზრებები, რომლებიც არათუ არ უარყოფენ აღნიშნულ ფაქტს, არამედ ღიად აფიქსირებენ სიმპათიებს კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიმართ და ეკლესიის გალავანზე საარჩევნო სუბიექტის დროშის აღმართვაში კანონსაწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავენ.

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, აღნიშნული ქმედება წარმოადგენს თუ არა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას. საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ *„აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე,* კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.“ ამ მუხლით დადგენილი შეზღუდვის მიზანია, აიკრძალოს იმ დაწესებულებებსა და შენობებზე სააგიტაციო მასალის განთავსება, რომელთაც, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის ვალდებულება აქვთ და ისინი ასეთად უნდა აღიქმებოდნენ საზოგადოების მიერ. შესაბამისად, ლოგიკურია, ამ დაწესებულებებზე იკრძალებოდეს სხვადასხვა მასალის გამოფენა, თუმცა, კანონის ეს მუხლი შეზღუდვას მხოლოდ საარჩევნო პლაკატებზე ადგენს, რაც საკმაოდ ვიწრო შეზღუდვას გულისხმობს. მივიჩნევთ, რომ ნორმის განმარტებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მისი მიზნებიდან გამომდინარე, რაც ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს აკრძალვის დადგენას არა მხოლოდ საარჩევნო პლაკატების განთავსებაზე, არამედ ნებისმიერ მასალაზე, რაც წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნებს ემსახურება.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ განმარტავს, თუ რა წარმოადგენს სააგიტაციო მასალას, თუმცა, კოდექსი ადგენს წინასაარჩევნო აგიტაციის ცნებას: „ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე, ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.“

მივიჩნევთ, რომ ზემოთ მითითებული მუხლების ერთობლიობაში განმარტების პირობებში, საკულტო ნაგებობაზე უნდა იკრძალებოდეს არა მხოლოდ სააგიტაციო პლაკატების გაკვრა, არამედ ნებისმიერი მასალის განთავსება, რომელიც მიმართულია საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, აღნიშნული განმარტების ქვეშ მოხვდება ყველა ის მასალა, მათ შორის კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის დროშა, რომელიც მიმართულია საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.

შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში დაირღვა საქართველოს საარჩევნო კოდექსის რეგულაციები.

წინასაარჩევნო პერიოდის მანძილზე დაფიქსირდა სასულიერო პირების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას პოლიტიკური მოსაზრებების აშკარა გამოხატვისა და წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობის სხვადასხვა ფაქტი, რაც კანონმდებლობით აკრძალული არ არის. თუმცა, ვფიქრობთ, სასულიერო პირებს, მათი სტატუსიდან და საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცხოვრებაში მათი როლიდან გამომდინარე, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას. აღნიშნულს გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ წმინდა სინოდის წევრები, რომელთა მიერ ასევე ჰქონდა ადგილი წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისა და პოლიტიკური მოსაზრებების მკაფიოდ დაფიქსირების ფაქტებს,[36] რაც ასევე არ იკრძალება კანონმდებლობით. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კანონი ითვალისწინებს პირდაპირ შეზღუდვას, შეეხება წინასაარჩევნო აგიტაციისას რელიგიური ორგანიზაციის მონაწილეობის აკრძალვას. რელიგიურ ორგანიზაციას შესაძლოა წარმოადგენდნენ მხოლოდ კონკრეტული პირები და სუბიექტები. მაგალითისთვის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას, როგორც რელიგიურ ორგანიზაციას, სპეციალური უფლებამოსილების

[35] იხ. ბმული http://www.frontnews.ge/?action=news_read&npid=5030&lang=geo; შემოწმებულია 2012 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით.

[36] მაგალითისთვის იხილეთ ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მცხეთაში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის ფაქტი http://www.youtube.com/watch?v=tAKFlZ9FaKo&feature=player_embedded#!;

გარეშე წარმოადგენს საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით).[37] კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის არეალი მცირეა, რაც ვერ უზრუნველყოფს კანონის მიზნის მიღწევას. შესაბამისად, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს კანონის მიზნებისათვის შეზღუდვას დაქვემდებარებულ პირთა წრის გაფართოების საკითხი.

5.5. სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში აქტუალური იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ლექტორების პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლებების საკითხი. აღნიშნული საფუძვლით, საიას ლელა გაფრინდაშვილმა და ხათუნა ჩარკვიანმა მომართეს. მათი თქმით, სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად სწორედ მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები დაედო.

ლელა გაფრინდაშვილის საქმე

ლელა გაფრინდაშვილი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატია და 2001 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს. 2008-2012 წლებში ის იყო თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

2012 წლის 19 ივნისს გამოცხადდა კონკურსი თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. ამავე წლის 26 ივლისს ლელა გაფრინდაშვილმა უნივერსიტეტში წარადგინა განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რასაც დაურთო შესაბამისი დოკუმენტაცია. სექტემბრის ბოლოს მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა სხვა კანდიდატი, მისი ერთადერთი კონკურენტი, რომელსაც გააჩნდა უფრო მცირე გამოცდილება. ლელა გაფრინდაშვილის განცხადებით, კომისიის მიერ მისი უარყოფითად შეფასებისა და პრეტენდენტად არცნობის თაობაზე გადაწყვეტილება უკანონოა, რაც ლახავს მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ლელა გაფრინდაშვილის უარყოფითი შეფასების საფუძვლად მითითებულია, რომ მის მიერ არ ყოფილა წარდგენილი სილაბუსი. თუკი განცხადებაზე არ იქნებოდა დართული რაიმე დოკუმენტი, მისთვის უნდა მიეცათ დარღვევების გამოსწორებისათვის ვადა, რაც არ მიუციათ.[38] გარდა ამისა, საკონკურსო კომისიას შეეძლო მისი სილაბუსები ენახა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ან, კანონის შესაბამისად, მიეცათ მისთვის 2 დღე აღნიშნული სილაბუსების კომისიისათვის წარსადგენად.

2. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ასევე ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ „წარმოდგენილი კონცეფცია არ შეესაბამება სამეცნიერო კონცეფციისთვის წაყენებულ მოთხოვნებს". ლელა გაფრინდაშვილის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი კონცეფცია სრულად შეესაბამებოდა კონცეფციისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. 2009 წელს ასევე ჩატარდა კონკურსი, რომლის საფუძველზე ის დაინიშნა ასოცირებულ პროფესორად. ამ კონკურსშიც წარდგენილი ჰქონდა მსგავსი მეთოდიკით შედგენილი კონცეფცია, თუმცა, მასთან დაკავშირებით არავის არანაირი პრეტენზია არ გამოუხატავს. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს რაიმე აქტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კონცეფცია.

3. საკონკურსო კომისიის მესამე არგუმენტიც ტექნიკურია: საუბარია იმაზე, რომ შესაფასებლად წარდგენილ ნაშრომში 6 გვერდი ორჯერ არის წარმოდგენილი, 13 გვერდი დაუნომრავია, სარჩევის გვერდები არ ემთხვევა. ლელა გაფრინდაშვილის მტკიცებით, ეს არგუმენტიც არასერიოზული და არააკადემიურია. კომისიას უნდა შეეფასებინა ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, რაზეც მათ არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ, ხოლო მხოლოდ ტექნიკური ხარვეზის გამო უარყოფითი შეფასება გაუგებარია.

ლელა გაფრინდაშვილის განცხადებით, საკონკურსო კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა მისი აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური გამოცდილება, ნაშრომები და პუბლიკაციები და ამის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება, რაც კომისიას არ გაუკეთებია. მისთვის გაუგებარია საკონკურსო კომისიის მიერ მინიჭებული დაბალი შეფასება მესამე კატეგორიაში (სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა) მაშინ, როცა ანკეტაში შეტანილი ჰქონდა 8 პუბლიკაცია, 4 სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, 6 საგრანტო პროექტში მონაწილეობა და 2 შემთხვევაში თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, კონკურსზე წარმოდგენილი ნაშრომი და კვლევის კონცეფცია.

ლელა გაფრინდაშვილის განცხადებით, მისი მოხსნა კონკურსის პირველი ეტაპიდანვე იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა – აკადემიური დონის დაწუნება. აღნიშნულის მიზეზი იყო ის, რომ ლელა გაფრინდაშვილი მხარს უჭერდა სტუდენტების პროტესტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წინააღმდეგ. მას მიაჩნდა, რომ სტუდენტთა მოთხოვნები (სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა, სტუდენტური თვითმმართველობის მოძალადე ნაწილის დასჯა და უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა) იყო სამართლიანი და ემსახურებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლელა გა-

[37] კონსტიტუციური შეთანხმება "საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" მუხლი 1.

[38] „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ» აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის დადგენილების მე-5 მუხლის მეცხრე პუნქტი.

ფრინდაშვილი ფიქრობს, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ დაეშვათ კონკურსში მისი გამარჯვება და დაგეგმეს, მოეხსნათ კონკურსის პირველივე ეტაპიდან, რათა არ მისცემოდა საკონკურსო კომისიასთან გასაუბრებისა და მათი დარწმუნების საშუალება.

ლელა გაფრინდაშვილს უნივერსიტეტის წინააღმდეგ დავაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმარება. პირველი ინსტანციის სასამართლომ წარდგენილი სარჩელი საკონკურსო კომისიისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება ამჟამად სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული.

ხათუნა ჩარკვიანის საქმე

ხათუნა ჩარკვიანი არის ჟურნალისტიკის დოქტორი და 2005 წლიდან ლექციებს კითხულობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2012 წლის 19 ივნისს გამოცხადდა კონკურსი თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. ამავე წლის 3 აგვისტოს ხათუნა ჩარკვიანმა განცხადება შეიტანა ასისტენტ-პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, რომელსაც დაურთო შესაბამისი დოკუმენტები. აგვისტოს ბოლოს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ჩატარდა კონკურსის მეორე ტური, რომელზეც ვერ გავიდა. მოგვიანებით შეიტყო, რომ აღნიშნული თანამდებობა დაიკავა სხვა პირმა, ხოლო 1 თანამდებობა დარჩა ვაკანტური. ხათუნა ჩარკვიანის განცხადებით, მასთან მიმართებით საკონკურსო კომისიამ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, რითაც შეილახა მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები. კერძოდ:

1. ხათუნა ჩარკვიანის უარყოფითი შეფასების საფუძვლად მითითებულია, რომ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი იყო ბუნდოვანი და არასრული, ხოლო სილაბუსში სწავლის შედეგები არ იყო სათანადოდ გაწერილი. მისი განცხადებით, აღნიშნული არგუმენტები არის სრულიად დაუსაბუთებელი, ვინაიდან წლების განმავლობაში ასწავლიდა აღნიშნული სილაბუსებით, გამარჯვებული იყო 3-ჯერ კონკურსში, თუმცა, მანამდე არც მის სილაბუსებსა და არც სამოტივაციო წერილზე არავის არანაირი პრეტენზია არ ჰქონია.

2. ხათუნა ჩარკვიანი არასწორად მიიჩნევს იმასაც, რომ მესამე კატეგორიაში (სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა) მიღებული აქვს დაბალი შეფასება, რის გამოც არ მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი. მისი განცხადებით, კომისიას გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა მიეღო მისი საგაზეთო პუბლიკაციები, კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

ხათუნა ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ მის მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან პოლიტიკური ნიშნით დევნა დაიწყო გაზაფხულზე, როდესაც გააქტიურდა მისი პოლიტიკური საქმიანობა და საზოგადოებრივი აქტივობა.[39] ხათუნა ჩარკვიანი მიიჩნევს, რომ კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა პოლიტიკური ნიშნით და იგი უკანონო და დაუსაბუთებელია. ხათუნა ჩარკვიანმა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა. სარჩელის შედგენაში მას საია დაეხმარა. ამ ეტაპზე სასამართლო განხილვა გრძელდება.

5.6. ზეწოლისა და მუქარის ფაქტები

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში დაფიქსირდა მუქარისა და ზეწოლის ფაქტები. შემთხვევების უმეტესობაში ფიგურირებდნენ დაუდგენელი პირები, თუმცა, ერთ შემთხვევაში, მოსახლეობის განცხადებებით, თავდასხმის ფაქტში პოლიციელების მონაწილეობაც შეინიშნებოდა. საიას დაკვირვებით, ამ საქმეებში იკვეთებოდა სისხლისსამართლებრივი ქმედების ნიშნები, მათ შორის, შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ისევე როგორც მფლობელობაში უკანონო შეღწევისა და მუქარის ფაქტებს.

აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო, საიას არ ჰქონდა შესაძლებლობა, საბოლოო შეფასებები გაეკეთებინა. თუმცა, ამის მიუხედავად, საია მოუწოდებდა შესაბამის ორგანოებს სათანადო რეაგირებისა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი შემთხვევების გამოძიებისკენ.

აბესალომ კუჭაშვილის საქმე

2012 წლის სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია „ქართული ოცნების“ მარნეულის ორგანიზაციის აქტივისტის, სოფელ წერეთელში მცხოვრები აბესალომ კუჭაშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული მუქარის შესახებ.

ინფორმაციის თანახმად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კუჭაშვილის ოჯახს დაუდგენელი პირი უგზავნიდა მუქარის წერილებს, რომელშიც იყო მოწოდება აბესალომ კუჭაშვილის მიმართ, რომ გაეწყვიტა კავშირი „ქართულ ოცნებასთან“. გავრცელდა ასევე ინფორმაცია კუჭაშვილის ბეღელში გაურკვეველ ვითარებაში ცეცხლის გაჩენის შესახებ.

ინფორმაცია საიას თანამშრომლებმა ადგილზე გადაამოწმეს და აბესალომ კუჭაშვილს პირადად გაესაუბრნენ. კუჭაშვილმა დაადასტურა, რომ „ქართული ოცნების წევრი” იყო და აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ საქმიანობაში, რის გამოც, მისი აზრით, 2012 წლის მაისის თვიდან დაიწყო მისი და მისი ოჯახის წევრების

[39] ხათუნა ჩარკვიანი 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარლამენტის წევრობის კანდიდატად იყო რეგისტრირებული და საარჩევნო სუბიექტის - „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“ პარტიულ სიაში მე-9 ნომრად იყო მითითებული.

მიმართ მუქარა და დაშინება. კუჭაშვილის განმარტებით, ეს გამოიხატებოდა ანონიმური წერილების მიღებით, ფანჯრების ჩამსხვრევევით, ხანძრის გაჩენის მცდელობით. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა გამოძიება. დაიკითხნენ აბესალომ კუჭაშვილი და მისი ოჯახის წევრები.

მოგვიანებით, საია კვლავ შეეცადა ოჯახთან დაკავშირებას, თუმცა სატელეფონო საუბარზე მათგან უარი მიიღო. კუჭაშვილების ოჯახმა ასევე არ მიიღო საიას შეთავაზება ადგილზე ჩასვლისა და პირადად გასაუბრების თაობაზე. როგორც კუჭაშვილის ადვოკატმა საიასთან საუბარში განაცხადა, რომ ფაქტთან დაკავშირებით მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკითხვა განხორციელდა მისი მონაწილეობის გარეშე, დაკითხვის დროს კი, ადგილი ჰქონდა გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. მისი განცხადებით, დაკითხვის მიმდინარეობისას მაგიდაზე კუჭაშვილის დასანახად დადეს ხელბორკილები. ასევე, ადვოკატის განცხადებით, ყველა ფაქტთან, მათ შორის დაკითხვის დროს დაფიქსირებულ ფაქტებთან დაკავშირებით, პროკურატურაში შეტანილ იქნა განცხადება. საიას ინფორმაციით, გამოძიებას აწარმოებდა მარნეულის რაიონული პროკურატურა. გამოძიების შემდგომი მსვლელობა საიასთვის უცნობია.

ინციდენტი თხილისწყაროში

2012 წლის 10 სექტემბერს საინფორმაციო საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია,[40] რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილისწყაროში რამდენიმე ოჯახში შეიჭრნენ შეიარაღებული პირები. ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებდა, რომ შეიარაღებული პირები იყვნენ პოლიციელები.

ფაქტის შესწავლის მიზნით, საიას წარმომადგენელი შეხვდა მოსახლეობას და გამოკითხა ორი დაზარალებული – ქეთინო ხატიაშვილი და ელზა ტიღაშვილი. ორივე პირმა მიუთითა, რომ მათთან შესული პირები ეცნობოდნენ, როგორც პოლიციელები. ამასთან, ორივე შემთხვევაში, თავდამსხმელს ჰქონდა იარაღი და იმყოფებოდნენ ნასვამ მდგომარეობაში. ტიღაშვილის ოჯახის მიმართ თავდამსხმელები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აგრესიით. ერთ-ერთმა მათგანმა ელზა ტიღაშვილს მიმართა, თუ რატომ იმყოფებოდა მთელი სოფელი „ქართული ოცნების“ აქციაზე. აღსანიშნავია, რომ თხილისწყაროში, რამდენიმე ოჯახზე განხორციელებულ თავდასხმებამდე 1 დღით ადრე, თელავში „ქართული ოცნების“ აქცია გაიმართა.

საიას მონიტორი ასევე გაესაუბრა „ქართული ოცნების“ სოფ. თხილისყაროს კოორდინატორს, რომლის თქმით კიდევ ორი პიროვნების ოჯახში შეიჭრნენ შეიარაღებული პირები, მაგრამ შიშის გამო ისინი უარს ამბობდნენ ფაქტის გახმაურებაზე. კოორდინატორის განცხადებით, ამ ფაქტების შემდეგ დაუკავშირდნენ პოლიციას, თუმცა, უბნის ინსპექტორმა მათ ურჩია, რომ გაჩუმებულიყვნენ. აღნიშნულ საქმეზე გამოძიების დაწყების და მისი მსვლელობის შესახებ საიას ინფორმაცია არ აქვს.[41]

ინციდენტი დიცში, გორი

2012 წლის 16 სექტემბერს სოფელ დიცში მცხოვრები „ქართული ოცნების“ აქტივისტის ზაქარია ვატიტაძის ოჯახში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. დაახლოებით საღამოს 19.00 საათისთვის ერთ-ერთი აქტივისტი ერასტი არჩვაძე იმყოფებოდა სახლის წინ, ქუჩაში, რა დროსაც მანქანებით ჩამოიარეს გოგიტა გოჩაშვილმა, ლევან მაისურაძემ – ქურთის თემის გამგეობის თანამშრომელმა და ბესო კახნიაშვილმა.

ერასტი არჩვაძეს ეცვა ქართული ოცნების მაისური. მის დანახვაზე მანქანები გაჩერდნენ და ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა ერასტი არჩვაძეს მაისურის გახდა და მისი დაგლეჯა მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. უარის მიღების შემდეგ ერასტი არჩვაძე სცემა დაახლოებით 10-მა ადამიანმა. ჩხუბს თან ახლდა ლანძღვა-გინება. ხმაურზე სახლიდან გამოვიდნენ ოჯახის უფროსი და სხვა პირები, ასევე, ოჯახში სტუმრად მყოფი გოჩა და მანანა საძაგლიშვილები, რომლებიც ჩხუბის მონაწილეებს აშველებდნენ, მაგრამ მათაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. გოჩა და მისი ძმა სცემეს, ხოლო ქალბატონს სახეში მოხვდა მოჩხუბართა მიერ მოქნეული ხელი და თვალის არე ჩაულურჯდა. აღნიშნული ფაქტი საიას თანამშრომლებს დაუდასტურა გოჩა და მანანა საძაგლიშვილების შვილმა.

ჩხუბის შედეგად სხეულის დაზიანებები აღენიშნებოდა 6 ადამიანს, რომლებიც გადაიყვანეს გორის საავადმყოფოში, თუმცა მაშინვე გაწერეს. ყველა დაზარალებული გადაიყვანეს პოლიციის ტყვიავის განყოფილებაში, სადაც ჩამოართვეს ახსნა-განმარტებები. საქმეზე დაიწყო გამოძიება.

ზეწოლის და მუქარის ფაქტები ნინოწმინდაში

2012 წლის სექტემბრის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნინოწმინდაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიმართ ადგილი ჰქონდა მუშაობაში ხელშეშლის ფაქტებს. კერძოდ, ისინი ვერ ახერხებდნენ

[40] ob: http://ick.ge/ka/articles/12298--video.html

[41] მედიასაშუალებებით ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 2012 წლის 9 სექტემბერს თელავში „ქართული ოცნების“ მიერ გამართული აქციის შემდეგ თავდასხმა განხორციელდა სამ პირზე. დაუდგენელმა პირებმა სამი ახალგაზრდა ცემეს, რომლებიც არსებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ აქციაზე დასასწრებად პანკისიდან იყვნენ ჩამოსულები. საიას მიერ ამ ფაქტზე ინფორმაციის მოგროვებისას, თავდამსხმელების ვინაობა დაუდგენელი იყო. საიასთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ გამოძიების პროცესში დაკითხულ იქნენ დაზარალებულები. ასევე, დაგეგმილი იყო მათთვის ექსპერტიზის ჩატარება.

შტაბისთვის ოფისის დაქირავებას მესაკუთრეებზე ზეწოლის გამო. ასევე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განმარტებით, მათ მიმართ ხორციელდებოდა ინტენსიური თვალთვალი. აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა საინფორმაციო საშუალებებითაც.[42] ვითარების გამორკვევის მიზნით, საიას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ნინოწმინდაში, სადაც ადგილზე შეხვდნენ „ქართული ოცნების“ შტაბის წარმომადგენლებს. მათი განმარტებით, ყველა მესაკუთრე, რომელთანაც ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ფართის დაქირავების თაობაზე, უშუალო ზეწოლას განიცდიდნენ გამგებლის მხრიდან, რის გამოც, საბოლოოდ უარს აცხადებდნენ ფართის გაქირავებაზე. აღნიშნული პრობლემის გახმაურების შემდეგ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათშორისმა კომისიამ „ქართული ოცნების“ ნინოწმინდის შტაბს შესთავაზა 3 ალტერნატიული ფართი, თუმცა, მათ უარი განაცხადეს ამ ფართებით სარგებლობაზე იქიდან გამომდინარე, რომ ისინი მათი მიზნებისთვის უსარგებლო იყო. შტაბის წევრებმა საიას წარმომადგენლებს ასევე აჩვენეს იმ მანქანების ფოტოსურათები, რომლებიც, მათი განმარტებით, დაჰყვებოდნენ როგორც ნინოწმინდაში, ისე ახალქალაქში, თვალთვალის მიზნით. საიას წარმომადგენლები, შტაბის წევრებთან საუბრის შემდეგ, შეხვდნენ ნინოწმინდის გამგებლის მოადგილეს ალექსანდრე მიქელაძეს, რომელმაც უარყო გამგებლის ან გამგეობის სხვა წარმომადგენლების მხრიდან მოსახლეობაზე ზეწოლის ფაქტები.

სხვადასხვა პირის მიერ საიასთვის მიწოდებული ინფორმაცია, ნინოწმინდაში წინასაარჩევნოდ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მიუთითებდა, რომ არსებობდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჩარევისა და გარემოებების დამატებით მოკვლევის საჭიროება. კერძოდ, დასადგენია გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტე მოსახლეობაზე ზეწოლის, პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლებზე თვალთვალისა და პირის გაურკვეველი მიმართულებით წაყვანის შემთხვევების თაობაზე, ისევე როგორც ამ ქმედებებში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობა, რაც შემდგომი რეაგირების საფუძველი უნდა გახდეს.

ელგუჯა თაბორიძის საქმე

2012 წლის 8 აგვისტოს კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ელგუჯა თაბორიძეზე მუქარა განხორციელდა. აღნიშნული ფაქტი საიას თანამშრომლებთან საუბარში თავად ელგუჯა თაბორიძემ დაადასტურა. მისი განმარტებით, 2012 წლის 8 აგვისტოს, როდესაც თავის შვილთან ერთად კასპის აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მუშაობდა, მასთან მივიდა კასპის კრიმინალური პოლიციის უფროსი მალხაზ ბარნოვი და დაემუქრა: თუ მისი შვილი არ შეწყვეტდა აქტიურობას საზღვარგარეთიდან, სახლ-კარს დაკარგავდნენ.

აღსანიშნავია, რომ ელგუჯა თაბორიძის შვილი ლევან თაბორიძე ცხოვრობდა და საქმიანობდა ბრიუსელში. ის მოჭიდავეა და ბრიუსელშიც სპორტულ საქმიანობას ეწეოდა. ამასთანავე, ლევან თაბორიძე პოლიტიკურად აქტიური პირია. 2004-2005 წლებში იგი იყო ლეიბორისტულ პარტიაში, ხოლო 2011 წლიდან არის „ქართული ოცნების” მხარდამჭერი და აქტიურად მონაწილეობდა საზღვარგარეთ აღნიშნული კოალიციის აქციებში. 2012 წლის 15 ივლისს იგი ორგანიზებას უწევდა და მონაწილეობდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ აქციაში, რომელიც ტელეკომპანია მე-9 არხის საშუალებით გაშუქდა საქართველოში. სწორედ ამ სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ განხორციელდა პოლიციის უფროსის ვიზიტი და თაბორიძის ოჯახის დაშინება.

ელგუჯა თაბორიძის განმარტებით, მე-9 არხზე ზემოხსენებული სიუჟეტის გასვლის შემდეგ, იგი ესაუბრა თავის შვილს და სთხოვა, შეეწყვიტა პოლიტიკური აქტიურობა, რათა საქართველოში მყოფ ოჯახს გაფრთხილებოდა, რაზეც უარი მიიღო.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის ლუკა კურტანიძის მუქარა სოფლის რწმუნებულებისადმი

2012 წლის სექტემბერში ინტერნეტ-გვერდ „იუთუბზე“ გავრცელდა ვიდეოჩანაწერები,[43] რომლებშიც ასახულია „ქართული ოცნების“ ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ლუკა კურტანიძის საუბარი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების – ნინიგორისა და კაბალის – ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებთან. პარლამენტის წევრობის კანდიდატი ცალ-ცალკე შეხვდა ნინიგორის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს თენგიზ სამხარაძესა და სოფელ კაბალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ჯემალ ნიაზოვს.

ორივე შეხვედრაზე კურტანიძე რწმუნებულებს აფრთხილებს, აღარ გააგრძელონ მმართველი პარტიის აგიტაცია და ჩამოშორდნენ აღნიშნულ პოლიტიკურ საქმიანობას. ვიდეოჩანაწერები ააშკარავებს, რომ მაჟორიტარი კანდიდატის რიტორიკა აღნიშნული საუბრების განმავლობაში იყო საკმაოდ აგრესიული და შეიცავდა მუქარის შემცველ ტექსტს. კერძოდ, ნინიგორის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს თენგიზ სამხარაძეს ლუკა კურტანიძემ მოსთხოვა, რომ თავი დაენებებინა ხალხში სიარულისა და აგიტაციისათვის, ასევე გააფრთხილა, „არ გადაჰყვეს“ მმართველ პარტიას, თუ საქართველოში ცხოვრება სურს. კურტანიძე ვიდეოჩანაწერში ამბობს, რომ მისი პირადი მტერია ყველა, ვინც სააკაშვილის სასარგებლოდ გასწევს აგიტაციას. კურტანიძე სოფელ კაბალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ჯემალ ნიაზოვსაც დაემუქრა, მასაც მოსთხოვა, თავი დაენებებინა „ხალხთან სიარულისათვის“ და შეეწყვიტა სააკაშვილის რეკლამირება, თუ საქართველოში ცხოვრება სურდა.

[42] http://info9.ge/?l=G&m=1000&id=4356

[43] http://www.youtube.com/watch?v=zuD1C8YqjWU

ლუკა კურტანიძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას[44] დაადასტურა რწმუნებულებთან შეხვედრის ფაქტი და განმარტა, რომ ხვდებოდა და აფრთხილებდა იმ ადამიანებს, ვინც მასწავლებლებს სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდა და კანონს არღვევდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოსაზრებით, ლუკა კურტანიძის ქმედებაში შესაძლოა იკვეთებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, რის გამოც აღნიშნულ ფაქტებზე აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შესაბამისი რეაგირება.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დამოუკიდებლობის შეზღუდვის ფაქტები

საიასათვის ცნობილი გახდა ინფორმაცია კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის რამდენიმე წევრის საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობიდან გამოწვევის თაობაზე. საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს კომისიის შემადგენლობაში მყოფი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობას, თუმცა, მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან მიმართებით კანონმდებლობა ადგენს ვადით შეზღუდვას და კრძალავს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევას კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე.

ჩვენთვის უცნობია, აღნიშნულ შემთხვევებში რა დაედო საფუძვლად კომისიის წევრთა გამოწვევას, თუმცა, საუბნო საარჩევნო კომისიის ყოფილი წევრის ლუიზა გოგოხიას მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მისი და მისი კოლეგების კომისიის შემადგენლობიდან გამოწვევის რეალური საფუძველი გახდა საუბნო საარჩევნო კომისიის 10-ზე მეტი წევრის მიერ „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის ზეპირი დირექტივის შეუსრულებლობა, რომელიც კომისიებში დანიშნულ წევრებს უკრძალავდა კომისიის მუშაობისას კენჭისყრაზე დამდგარი კონკრეტული საკითხებისათვის ხმის მიცემას. საარჩევნო კოდექსი განამტკიცებს საარჩევნო კომისიებში დანიშნული თუ არჩეული პირების დამოუკიდებლობის პრინციპს და ადგენს, რომ საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი, იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს. ამასთან, საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.[45]

საია მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ კომისიის წევრებისათვის ისეთი ტიპის დირექტივების გაცემას, რაც ზღუდავდა მათ დამოუკიდებლობას და არღვევდა საარჩევნო კოდექსის მე-8.21 მუხლს, რაც მსგავს ქმედებას პირდაპირ კრძალავს. ამასთან, გამოიკვეთა, რომ მიუხედავად კანონმდებლობის ნებისა, დასჯადი იყოს კომისიის წევრთა დამოუკიდებელ მუშაობაში ჩარევის შემთხვევები, კოდექსი არ ითვალისწინებს ჩანაწერს კანონდარღვევის შესაბამისი შემადგენლობისა და სანქციის მითითებით. მნიშვნელოვანია, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხორციელებისას მოხდეს აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის გათვალისწინება.

5.7. პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება

საიას განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე საგრძნობლად იმატა ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შემთხვევებმა. სხვადასხვა წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყნის რამდენიმე ქალაქში არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე (21 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე პერიოდში), პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის მოტივით, ადმინისტრაციული წესით დაკავების 23 შემთხვევა დაფიქსირდა. დაკავებულთა ნაწილი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის – „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ან/და მასთან დაკავშირებული პირი იყო, რაც საიას დაუდასტურა კოალიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაკავებულები იყვნენ კოალიციის კოორდინატორები და მობილური ჯგუფების წევრები. დაკავებულებს შორის, ასევე, იყვნენ გახმაურებულ ციხის მოვლენებთან[46] დაკავშირებულ საპროტესტო აქციებში აქტიურად ჩართული პირები.

შსს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ინტენსიურად ავრცელებდა ინფორმაციას იდენტურ გარემოებებში, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და შეურაცხყოფის მიყენების მოტივით პირთა დაკავების შესახებ. კერძოდ, გამოქვეყნებული მასალა მიუთითებდა, რომ გარკვეული პირების მხრიდან, ერთ კონკრეტულ დღეს, ადგილი ჰქონდა, ანალოგიურ გარემოებებში ერთი და იგივე სამართალდარღვევის ჩადენას, კერძოდ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე პოლიციის რეაგირების შემდეგ, მათთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას. დროის მცირე მონაკვეთში გარემოებებისა და დარღვევის ხასიათის არსებითი დამთხვევები ქმნიდა ეჭვებს გავრცელებული ფაქტებისა და პოლიციის მიერ გამოყენებული ზომების პოლიტიკურ მოტივაციებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული პატიმრობის არსებული ფორმით მოქმედება ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა გარანტიას. ამასთან, როგორც გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა, ისე ამ მიმართულებით სასამართლოების მიერ განვითარებული არაჯანსაღი პრაქტიკა, ადმინისტრაციული პატიმრობის მექანიზმს სამართალდამცავი ორგანოების ხელში არსებულ შეუზღუდავ ძალაუფლებად აქცევს.

[44] http://ick.ge/ka/articles/12494--video.html

[45] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი. 8.21.

[46] იგულისხმება 2012 წლის 18 სექტემბერსა და მის შემდგომ პერიოდში ციხეში არსებული წამების პრაქტიკის ამსახველი ვიდეომასალის მედიასაშუალებებით გამოქვეყნება.

განსაკუთრებულად სახიფათოა ის გარემოება, რომ ასეთ ვითარებაში სასამართლო ვერ ასრულებს მაკონტროლებლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტის ფუნქციას. უფრო მეტიც, სასამართლო, ძალოვანი უწყებების მიმართ გამოვლენილი სრულიად დაუსაბუთებელი ნდობითა და ლოიალურობით, აფერხებს მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას, რაც პრაქტიკულად უკონტროლოსა და თვითნებურს ხდის ადმინისტრაციული წესით პირთა დასჯის შემთხვევებს. აღნიშნული, თავისთავად ცხადია, ვერ ქმნის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მექანიზმის პოლიტიკური ნიშნით გამოყენების პრევენციასაც.

საიას მოსაზრებით, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე განვითარებულმა მოვლენებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა სასამართლოების მიერ არჩეული ფორმალური და პასიური როლი ადმინისტრაციული პატიმრობის საქმეების განხილვაში. საქმეთა იმ ნაწილში, რომელშიც პასუხისგებაში მიცემული პირის ინტერესებს საიას წარმომადგენელი იცავდა, დამატებით დაფიქსირდა სასამართლოების მიერ კანონის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევები, რამაც დაცვის უფლების უხეში დარღვევა გამოიწვია. საია დაცვის უფლებას ახორციელებდა დავით ფაცაციას, დაჩი ცაგურიასა და კახაბერ ჟორჟოლიანის საქმეებზე. არც ერთ ამ საქმეში სასამართლომ დაცვის მხარეს არ მისცა მოწინააღმდეგე მხარისთვის შეკითხვების დასმის უფლება, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდვა დაცვის უფლების განხორციელება. ამ საქმეებში, მოწმის სახით პოლიციელის დაკითხვის გარდა, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული არ იქნა დაცვის მხარის მიერ დაყენებული არც ერთი შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ. სასამართლომ ასევე უარი განაცხადა შემთხვევის ადგილას არსებული და, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი მტკიცებულების შემცველი ვიდეო ფირებისა და სხვა ტიპის ჩანაწერების ამოღებასა და განხილვაზე. ამგვარ ქმედებებთან ერთად, სასამართლოს მიერ გამოვლენილმა პასიურობამ პოლიციელების მხრიდან დაფიქსირებულ წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებზე, კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვები ამ საქმეებში ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების მოტივაციასა და ინტერესზე.

არსებული ვითარებისა და იმ რისკის გათვალისწინებით, რაც ადმინისტრაციული პატიმრობის პოლიტიკური მოტივაციით გამოყენების შესაძლებლობას უკავშირდება, 2012 წლის 25 სექტემბერს საიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა[47] ყველა რელევანტურ უწყებას, უარი ეთქვათ ადამიანის უფლებებთან წინააღმდეგობაში მყოფი მექანიზმის გამოყენებაზე. ამასთან, საიამ მიმართა სასამართლო ხელისუფლებას და მოუწოდა, არ დაეშვა პირის თავისუფლების თვითნებური, დაუსაბუთებელი და უკანონო აღკვეთა და უზრუნველეყო საქმის სამართლიანი განხილვა სრული ნეიტრალიტეტის საფუძველზე.

საიას განცხადების შემდგომ, 2012 წლის 26 სექტემბერს, პარტიული აქტივისტების ადმინისტრაციულ წესით დაკავებას გამოეხმაურა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათშორისი კომისიის თავმჯდომარე გიგა ბოკერია. მისი განცხადებით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული ადამიანების რიცხვმა 30 შეადგინა. მან მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, რომ „იმ შემთხვევებში, სადაც ეს შესაძლებელი და რაციონალურია, სასჯელის შედარებით მსუბუქი ზომა, მაგალითად, ჯარიმა გამოეყენებინათ.“ მისივე განცხადებით: „ეს არის ჩვენი ძალიან მკაფიო რეკომენდაცია სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.“

ბექა ჯიქიძის საქმე

2012 წლის პირველ სექტემბერს ბექა ჯიქიძე სამართალდამცავებმა მეგობრებთან ერთად დააკავეს. თავდაპირველად ის ვარკეთილში, შუამთის ქუჩაზე მდებარე განყოფილებაში გადაიყვანეს, ხოლო მოგვიანებით ქ.თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. საია ბექა ჯიქიძის ინტერესების დამცველს დაუკავშირდა, რომელმაც ბექა ჯიქიძესთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული ფაქტები დაადასტურა.

ბექა ჯიქიძე „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი უბნის კოორდინატორი, ხოლო დედამისი „ქართული ოცნების“ წევრი იყო. მისი მთელი ოჯახი მხარს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ უჭერდა. ჯიქიძის ადვოკატის განცხადებით, ბოლო ერთი თვის მანძილზე ინტენსიურად ხდებოდა მისი თვალთვალი თეთრი ფერის დაბურულ შუშებიანი „ფოლკსვაგენ ჯეტას“ მარკის ავტომობილიდან.

ბექა ჯიქიძის განმარტებით, პოლიციელები მას აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას და აიძულებდნენ, ეღიარებინა დანის გამოყენებით ძარცვის ჩადენა. პოლიციელებმა მას განუცხადეს, რომ ჰქონდათ კადრები, რითაც დასტურდებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნისას, იქ მომუშავე შსს-ს თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა სიტყვიერი შეურაცხყოფის და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს.

ბექა ჯიქიძემ მიმართა შესაბამის სტრუქტურებს, რათა დაწყებულიყო გამოძიება მის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით და სამართალდამრღვევი პოლიციელების დასჯა მოითხოვა. მან ასევე ითხოვა უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება.

ბექა ჯიქიძის სისხლის სამართლის საქმის განხილვა ამჟამადაც მიმდინარეობს. 2012 წლის დეკემბერში მას აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეეცვალა თავდებობით.

მირზა ხაბარელის და თემურ ჩაგელიშვილის საქმე

ქარელში მცხოვრები „ქართული ოცნების“ წევრებს, მირზა ხაბარელს და თემურ ჩაგელიშვილს, სასამართლომ 60 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული ფაქტი საიას თანამშრომლებს რესპუბლიკური პარტიის ქარელის ორგანიზაციის თავმჯდომარემ სოსო საზანდრიშვილმა დაუდასტურა.

[47] ob: http://gyla.ge/geo/news?info=762

2012 წლის 11 სექტემბერს ქარელის რაიონი სოფ. ძლევისჯვარში მცხოვრები „ქართული ოცნების“ წევრები მირზა ხაბარელი და თემურ ჩაგელიშვილი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობაში რწმუნებულს ესტუმრნენ, რათა გაერკვიათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხი. თემურ ჩაგელიშვილს ეცვა „ქართული ოცნების“ მაისური. ამან რწმუნებული მელორ ელიაშვილი განარისხა, რაც შელაპარაკებაში გადაიზარდა. რწმუნებულის ოთახიდან გამოსვლისას, თემურ ჩაგელიშვილმა იქვე კედელზე შეამჩნია პრეზიდენტის სურათი და მას შეაგინა. ამის საპასუხოდ, მელორ ელიაშვილმა შეაგინა ბიძინა ივანიშვილს და ყველა მის თანამზრახველს. ეს ყოველივე პირად შეურაცხყოფაში გადაიზარდა. მათ კამათში ჩაერივნენ იქ მყოფი თანამშრომლები (ქალები), რომლებმაც ჩაგელიშვილს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მირზა ხაბარელმა მხარეები დააწყნარა, იგი უშუალოდ არ ჩარეულა აღნიშნულ ჩხუბში. დაახლოებით 40 წუთის შემდეგ მირზა ხაბარელი დაბრუნდა მელორ ელიაშვილთან იმის გასარკვევად, თუ რატომ მოხდა ჩაგელიშვილთან შელაპარაკება. მელორმა კვლავ გინება ატეხა ბიძინა ივანიშვილისა და მისი მომხრეების მიმართ. იმავე დღეს 5 საათისთვის ქარელის პოლიციაში დაიბარეს მირზა ხაბარელი და თემურ ჩაგელიშვილი და დააკავეს. მათ 60 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.

ნათიკ რასულოვის საქმე[48]

2012 წლის 25 სექტემბერს დაახლოებით დილის 10 სთ-ზე №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის №41 საარჩევნო უბნის კომისიისა და პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი ნათიკ რასულოვი ავტომობილით გადაადგილდებოდა საარჩევნო უბნიდან საკუთარი სახლის მიმართულებით, რა დროსაც მას წამოეწია საგარეჯოს რაიონის პოლიციის მანქანა და სასიგნალო ფარების ანთებით გაჩერებისკენ ანიშნა. ნათიკ რასულოვმა ავტომობილი გააჩერა, რის შემდეგაც მის ავტომობილთან მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები გია მამისაშვილი და და ბექა როსტიაშვილი და მოსთხოვეს პირადობის მოწმობისა და ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის წარმოდგენა. ნათიკ რასულოვმა შეასრულა პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნა და გადასცა მათ მოთხოვნილი საბუთები. ამის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა მას განუცხადეს, რომ იგი დაკავებულია და უნდა გადაიყვანონ პოლიციის განყოფილებაში, რაც მაშინვე სისრულეში იქნა მოყვანილი. მოგვიანებით, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, ნათიკ რასულოვს დაედო ადმინისტრაციული სახდელი – ადმინისტრაციული პატიმრობა 40 დღე-ღამის ვადით. სასამართლომ დაადგინა, რომ ნათიკ რასულოვმა ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

ნათიკ რასულოვის სამართალდამრღვევად ცნობისას, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ ყოფილა მხედველობაში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მთელი რიგი ნორმები, რასაც მოჰყვა დაუსაბუთებელი და უკანონო დადგენილების მიღება. სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არ იქნა წარმოდგენილი უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულება ნათიკ რასულოვის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის დასადასტურებლად. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა აზად გამზაევმა მისცა სამართალდარღვევის ოქმში მითითებული გარემოებების საწინააღმდეგო და გამომრიცხავი ჩვენება. ნათიკ რასულოვს დაკავებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენისას, შეეზღუდა დაცვის უფლება, არ განემარტა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით დადგენილი უფლებები. გარდა ამისა, სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ შეიძლებოდა კანონისმიერი მიზნის მიღწევა სხვა, უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენების გზით. სასამართლომ მხოლოდ აღნიშნა, რომ „დამრღვევის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, ჯარიმის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნების განხორციელებას“. საიას ადვოკატების დახმარებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 3 ოქტომბერს, არჩევნების დღის შემდგომ მიღებული დადგენილებით, წარდგენილი საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ნათიკ რასულოვი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. მის მიერ მოხდილი ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა მიჩნეულ იქნა საკმარისად.

ზაქარია გაგნიაშვილის საქმე

ზაქარია გაგნიაშვილის განმარტებით, 2012 წლის 25 სექტემბერს მას მანქანა ჰქონდა გაჩერებული და აკეთებდა მწყობრიდან გამოსულ მაგნიტოფონს, რა დროსაც მასთან მივიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და ყოველგვარი მიზეზის გარეშე დააკავეს. დაკავებისას მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია. თავად გაგნიაშვილი მის დაკავებაში პოლიტიკურ სარჩულს ხედავს და აღნიშნულს „ქართული ოცნების” წევრობას უკავშირებს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობას ითვალისწინებს. სამართალდარღვევის ოქმისა და მისი შემდგენი პირის განმარტებით, ზაქარია გაგნიაშვილი ავტოტრანსპორტით მოძრაობდა ღვედის გარეშე, რის გამოც მათ ის გააჩერეს. პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, ზაქარია გაგნიაშვილმა, რომელიც იმავდროულად ნასვამ

[48] აღნიშნული პიროვნება უფრო ადრე, 2012 წლის 17 აგვისტოსაც იყო დაკავებული. მის ინტერესებს საიას ადვოკატი იცავდა.

მდგომარეობაში იმყოფებოდა, მათ შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნულის საფუძველზე, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება ზაქარია გაგნიაშვილის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე და სახდელის სახით შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 40 დღის ვადით. ზაქარია გაგნიაშვილს არ მიეცა დაცვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. დაკავებისას არ განმარტებია უფლებები, ადვოკატისათვის არ უცნობებიათ მისი ადგილსამყოფელი, შესაბამისად, მის გარეშე მოხდა საქმის განხილვა.

სასამართლო, გადაწყვეტილების გამოტანისას, დაეყრდნო მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმსა და მისი შემდგენი პირების განმარტებას. სასამართლო არ დაინტერესებულა საქმის დეტალებით, არ გამოუკვლევია, არსებობდა თუ არა სხვა მტკიცებულებები (ზაქარია გაგნიაშვილის დაკავებას შეესწრო რამდენიმე მოქალაქე), არ გასჩენია არანაირი კითხვა საქმესთან დაკავშირებით, უპირობოდ გაიზიარა ოქმში დაყენებული პოზიცია და ზაქარია გაგნიაშვილს შეუფარდა ისეთი მძიმე სახდელი, როგორიცაა ადმინისტრაციული პატიმრობა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე არ არის აღნიშნული, რაზე დაყრდნობით იქნა აუცილებლად მიჩნეული მისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება.

საიას ადვოკატების დახმარებით, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის დადგენილება ზაქარია გაგნიაშვილისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს მიერ 2012 წლის 4 ოქტომბერს, არჩევნების დღის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებით, წარდგენილი საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ზაქარია გაგნიაშვილი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. მის მიერ მოხდილი ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა მიჩნეულ იქნა საკმარისად.

ხუციშვილისა და როსტიაშვილის საქმე

2012 წლის 5 სექტემბერს მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში პოლიტიკური ნიშნით ლევან ხუციშვილისა და ზ.როსტიაშვილის დაკავების შესახებ. ორივე მათგანი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია. მათი განმარტებით, 2012 წლის 4 სექტემბერს საღამოს საათებში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში, ზ.როსტიაშვილის ოჯახში იმყოფებოდნენ. დაახლოებით ღამის 12 საათზე, აივანზე ყოფნისას, მეზობლად მცხოვრებმა ბაჩო ნიკოლოზიშვილმა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ხუციშვილისა და როსტიაშვილის განმარტებით, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი და გათვლილი პროვოკაცია, ვინაიდან აღნიშნული ინციდენტიდან დაახლოებით 5 წუთში სახლთან პოლიციის ავტომანქანა გაჩერდა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა ისინი დააკავეს. დაკავებულები მოათავსეს ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორში. ადვოკატმა ვერ მოახერხა მათთან შეხვედრა და ვერც მეორე დღეს შეძლო სასამართლო პროცესზე მათი წარმომადგენლობის გაწევა.

ლევან ხუციშვილის დის ნინო ხუციშვილის განმარტებით, ის შემთხვევის ადგილას მივიდა და შეხვდა ბაჩო ნიკოლოზიშვილს. შელაპარაკების დროს ბაჩო ნიკოლოზიშვილმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ხელით შეეხო და სამჯერ გაარტყა სახეში. ნინო ხუციშვილმა მოახერხა შეურაცხყოფის ამსახველი კადრების ტელეფონის საშუალებით ჩაწერა, დახმარებისთვის მიმართა ყვარლის რაიონულ პოლიციას, წარადგინა ვიდეო მასალა და მოითხოვა გამოძიების დაწყება, თუმცა, პოლიციას აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი მოსამართლის ვახტანგ მრელაშვილის მიერ 2012 წლის 5 სექტემბერს მიღებული დადგენილებით, ორივე პიროვნება ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის სახით თითოეულს 400 ლარის ოდენობით ჯარიმა შეეფარდა. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, რის გამოც ის შევიდა კანონიერ ძალაში.

კაპიტონ (კახა) ჟორჟოლიანის საქმე

მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიაში კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიის მიერ დანიშნული წევრი კაპიტონ ჟორჟოლიანი დაკავებულ იქნა ამავე კომისიაში ცესკოს წარმომადგენლის არჩილ სოფრომაძის საჩივრის საფუძველზე. სოფრომაძე აღნიშნავდა, რომ მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე კაპიტონ ჟორჟოლიანმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მესტიის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 23 სექტემბრის დადგენილებით, კაპიტონ ჟორჟოლიანი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სასკ-ის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 40 (ორმოცი) დღე-ღამის ვადით. აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

საქმეში არსებული მასალები, საჩივარზე თანდართული და დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებდა, რომ არჩილ სოფრომაძის საჩივარში მოყვანილ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლოს წარედგინა მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის 20 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე პირების ახსნა-განმარტებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუკითხავს მოწმის სახით და რომლებიც თავიანთ განცხადებაში არ ადასტურებენ კაპიტონ ჟორჟოლიანის მხრიდან არჩილ სოფრომაძის შეურაცხყოფის ფაქტს. პირველი ინსტანციის სასამართლოს უშუალოდ არ დაუკითხავს საჩივრის ავტორი არჩილ სოფრომაძე და არც მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე ფაქტის შემსწრე კომისიის წევრები

(მიუხედავად დაცვის მხარის შუამდგომლობისა). პირველი ინსტანციის სასამართლო, კაპიტონ ჟორჟოლიანის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობისას, დაეყრდნო მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმის შემდგენი პირის მიერ ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებს. დაცვის მხარეს არ მიეცა აღნიშნული პირისათვის კითხვების დასმის საშუალება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. თუმცა, მოგვიანებით, არჩევნების დღიდან მცირე ხანში, პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტის საფუძველზე, მესტიის რაიონულმა სასამართლომ შეცვალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ, შეამცირა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა და კაპიტონ (კახა) ჟორჟოლიანი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან გათავისუფლდა.

ილია ქელეხსაშვილის, მამუკა მაზმიშვილისა და ზვიად იმერლიშვილის საქმე

2012 წლის 23 სექტემბერს კოალიცია „ქართული ოცნების" წევრები ილია ქელეხსაშვილი,[49] მამუკა მაზმიშვილი და ზვიად იმერლიშვილი მოძრაობდნენ ავტომანქანით თბილისიდან ქარელის მიმართულებით. სოფელ ურბნისთან ისინი პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და სოფელ რუისის მიმართულებით წაიყვანეს. პოლიციის თანამშრომლები მათ ეკითხებოდნენ, თუ რატომ უჭერდნენ მხარს „ქართულ ოცნებას" და მის კანდიდატებს. მოგვიანებით, დაკავებულები გადაიყვანეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში, სადაც საქმის განხილვისას დაფიქსირდა, რომ ავტომობილის გაჩერება გამოიწვია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ, კერძოდ, ღვედის გამოუყენებლობამ. ამას კი მოჰყვა ქელეხსაშვილის, მაზმიშვილისა და იმერლიშვილის მხრიდან სამართალდამცავთა კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა. ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებიდან ირკვევა, რომ დაკავებულებმა პოლიციელებს არ მისცეს სამართალდარღვევის ოქმის შევსების საშუალება და გაუწიეს წინააღმდეგობა. ილია ქელეხსაშვილის განმარტებით, მათ პოლიციელებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება. სასამართლომ დაკავებულ პირებს 1 თვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა სასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო.[50] ხაშურის რაიონის სასამართლოს დადგენილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა ძალაში. თუმცა, მოგვიანებით, არჩევნების დღიდან მცირე ხანში პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცვალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ, შეამცირა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა, რის საფუძველზეც, დაკავებული პირები დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

კახაბერ მუმლაძის საქმე

კახაბერ მუმლაძე 2012 წლის 19 აგვისტოს ქ. რუსთავში „ქართული ოცნების" მიერ დაგეგმილ აქციაზე იმყოფებოდა, რომლის დამთავრების შემდეგ მეგობართან ერთად ბარ-რესტორან ელ-დეპოში ვახშმობა გადაწყვიტა. შეკვეთილი ვახშმის მოტანას დიდი დრო დასჭირდა, რამაც კ.მუმლაძისა და მისი მეგობრის უკმაყოფილება გამოიწვია. ცოტა ხნის შემდეგ ბარ-რესტორანში სამი პიროვნება შემოვიდა, რომელთაც ასევე მისცეს შეკვეთა. მათ შორის იყო აზერ მამედოვი, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარწერიანი მაისური ეცვა და ითხოვდა, მომსახურებოდნენ შედარებით უფრო ნაკლებ დროში, რითაც ახდენდა პარტიული ნიშნით ძლევამოსილების დემონსტრირებას. აღნიშნულმა გამოიწვია კახაბერ მუმლაძის გაღიზიანება და აზერ მამედოვს მოუწოდა, გაეხადა განმასხვავებელი მაისური. სიტყვიერ შეურაცხყოფას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. შელაპარაკების შემდეგ აზერ მამედოვი გარეთ გავიდა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოიძახა, რომლებიც უმალ მოვიდნენ. კახაბერ მუმლაძის ადმინისტრაციული წესით იქნა დაკავებული.

2012 წლის 20 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნა დააკმაყოფილა. სასამართლოს წინაშე კახაბერ მუმლაძის ინტერესებს საიას ადვოკატები წარმოადგენდნენ. მას განესაზღვრა სახდელის მაქსიმალური ზომა – 90 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა, სასკ-ის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო. საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ ის, რომ კახაბერ მუმლაძე იყო ოთხი არასრულწლოვანი შვილის მამა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, III ჯგუფის ინვალიდი. საქალაქო სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც აღნიშნული საჩივარი განუხილველი დატოვა. თუმცა, მოგვიანებით, არჩევნების დღიდან მცირე ხანში პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტის საფუძველზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ შეცვალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ, შეამცირა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა, რის საფუძველზეც კახაბერ მუმლაძე დარბაზიდან გათავისუფლდა.

კახაბერ მუმლაძე დაკავების დღიდან შიმშილობდა. აღნიშნულის შესახებ საიას წარმომადგენლებმა 2012 წლის 22 აგვისტოს ოფიციალურად შეატყობინეს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს. 2012 წლის 30 აგვისტოს კახაბერ მუმლაძემ განგვიცხადა, რომ შიმშილობის მთელი პერიოდის განმავლობაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არავის შეუმოწმებია, არ ყოფილა გაყვანილი სუფთა ჰაერზე, არ ეძლეოდა ჰიგიენური საშუალებები (საპონი, პირსახოცი), არ იყო უზრუნველყო-

[49] ილია ქელეხსაშვილი ასევე იყო ქარელის #33 საარჩევნო ოლქის მე-40 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

[50] სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

ფილი შხაპის მიღებით, უარს ეუბნებოდნენ საწერი კალმის და ფურცლების მიცემაზე, წერილები, რომლებსაც უგზავნიდნენ, არ გადაეცემოდა. 2012 წლის 3 სექტემბერს საიას წარმომადგენლებმა საჩივრით მიმართეს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს, კახაბერ მუმლაძის მიმართ განხორციელებულ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საჩივარს კანონით გათვალისწინებული რეაგირება არ მოჰყოლია.

ქამალადინ მამედოვის და ნათიკ რასულოვის საქმე

2012 წლის 17 აგვისტოს საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოს ბაზრის ტერიტორიაზე მოსახლეობას ხვდებოდა ამავე რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ თინათინ ხიდაშელი და მისი მხარდამჭერები. მათ შორის იყვნენ ქალამადინ მამედოვი და ნათიკ რასულოვი. შეხვედრა იყო მშვიდობიანი, მოსახლეობას ურიგდებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ გაზეთები. ახალგაზრდა მამაკაცების დაახლოებით ხუთკაციანი ჯგუფი ცდილობდა, ხელი შეეშალა ოპოზიციური პარტიის კანდიდატისათვის მოსახლეობასთან მშვიდობიან შეხვედრაში, ისინი ყვიროდნენ და შეკრებილებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. აღნიშნულ ინციდენტს ვიდეო კამერით იღებდა ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელსაც ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრები მიუვარდნენ და დაუწყეს ცემა, რაც ვიდეო-მასალითაა დადასტურებული. კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები შეეცადნენ, განემუხტათ სიტუაცია.

2012 წლის 18 აგვისტოს საგარეჯოს რაიონული სასამართლოს დადგენილებით, (მოსამართლე ცისანა სირბილაძე) ქამალადინ მამედოვი და ნათიკ რასულოვი ცნობილ იქნენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების (წვრილმანი ხულიგნობა) ჩამდენ პირებად და შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღის ვადით.

სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება მხოლოდ პოლიციელის ჩვენებას ეყრდნობა, რაც დაუშვებელია და საფრთხის ქვეშ აყენებს ნებისმიერი ადამიანის თავისუფლებას. სასამართლო ვალდებული იყო, საქმის გარემოებები გამოეკვლია სრულად და ობიექტურად და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება, რაც მას არ გაუკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებები, საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს ის საერთოდ არ უხსენებია მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. ეს მტკიცებულებები იყო: ვიდეო ჩანაწერი დისკზე, სადაც ნათლად ჩანს ინციდენტში მონაწილე პირები (მათ შორის არ იყვნენ ქ.მამედოვი და ნ.რასულოვი), მოწმეების ჩვენებები. ქამალადინ მამედოვსა და ნათიკ რასულოვს არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ. საქმეში არსებულ ვიდეო მასალაში, კადრში ჩანან ქ.მამედოვი და ნ.რასულოვი, რომლებიც ზურგით დგანან მოკამათე მხარეებისაგან მოშორებით. აღნიშნული პირების ინტერესებს სასამართლოს წინაშე საიას ადვოკატი იცავდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ფაცაციას, ცაგურიას და ალადოშვილის საქმე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საადვოკატო დახმარებას უწევდა 2012 წლის 21-22 სექტემბერს დაკავებულ დავით ფაცაციას, დაჩი ცაგურიასა და ბექა ალადოშვილს. სამივე მათგანის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა (მოსამართლეები მირანდა ერემაძე და დიმიტრი გვრიტიშვილი) და პოლიციის მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის მოტივით ფაცაციას 40 დღით, ხოლო ცაგურიასა და ალადოშვილს 10 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ. აღნიშნულ საქმეთა ანალიზი გვიქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მითითებულ პირთა დაკავების მიზეზი მათი პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივობა გახდა და არა რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენა.

უნდა აღინიშნოს, რომ დ.ცაგურიასა და ბ.ალადოშვილის განცხადებით, როგორც დაკავების მომენტში, ასევე პოლიციაში მიყვანის შემდეგ ისინი ჯგუფურად სცემეს პოლიციელებმა. პოლიციის შენობაში მათ ცემაში მონაწილეობდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები. დაკავებულთა განცხადებით, ცემის შემდეგ მათ პოლიციელები დასცინოდნენ, მიადეს ცოცხი და ასეთ მდგომარეობაში უღებდნენ ფოტოსურათებს, ასევე, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. საიამ მოუწოდა პროკურატურას, დაუყოვნებლივ გამოიძიოს აღნიშნული ფაქტი.

სამართალდარღვევის საქმის სასამართლოში განხილვის დროს მოსამართლეების მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის არაერთ უხეშ დარღვევას, რამაც დაცვის მხარეს არ მისცა იმის დადასტურების შესაძლებლობა, რომ დაკავებულ პირებს სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ. მოკლედ შევეხებით რამდენიმე ასეთ დარღვევას:

1. მოსამართლეთა განმარტებით, სასამართლოში საქმის განხილვისას არც დაკავებულ პირს და არც მის ადვოკატს უფლება არ აქვს, შეკითხვით მიმართოს მოწინააღმდეგე მხარეს, რადგან ამას თითქოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სასამართლოს ეს განმარტება ცალსახად უკანონოა და ეწინააღმდეგება როგორც საპროცესო კანონმდებლობის კონკრეტულ ნორმებს, ასევე, ფუძემდებლურ პრინციპებს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაცვის უფლება გარანტირებულია”. გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს დაცვის უფლების გარანტირება, თუ პასუხისგებაში მიცემულ პირს ან მის ადვოკატს სასამართლო იმ პოლიციელისთვის შეკითხვის დასმის უფლებასაც კი არ მისცემს, რომელიც დაკავებულს ბოროტ დაუმორჩილებლობას ან სხვა რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენას აბრალებს. აქვე აღსანიშნავია, რომ საიას ადვოკატების მონაწილეობით, ამავე მოსამართლეებს განუხილავთ არაერთი საქმე, სადაც შეკითხვის დასმის ფორმალურ პროცედურაზე პრობლემა არ შეუქმნიათ (მაგალითად, მოსამართლე, დიმიტრი გვრიტიშვილმა

2011 წლის 27 მაისს და 2012 წლის 25 თებერვალს განიხილა დავით ფაცაციას საქმე). მას შემდეგ არ შეცვლილა საქმის განხილვის მარეგულირებელი ნორმები, თუმცა, ფაქტია, რომ შეიცვალა მოსამართლეთა მიდგომა, რომელიც ამ ცვლილების გარეშეც უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს ატარებდა. 2012 წლის 21-22 სექტემბერს საქმეთა განხილვისას ნათლად დასტურდებოდა, რომ პოლიციელები ცრუობდნენ, ისინი ურთიერთშეუსაბამო ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ და იქმნებოდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ სასამართლომ დაცვის მხარეს სწორედ იმიტომ არ მისცა კითხვის დასმის უფლება, რომ პოლიციელთა სიცრუე და მათი ჩვენებების ურთიერთშეუსაბამობა კიდევ უფრო ცხადი არ გამხდარიყო.

2. დაცვის მხარემ თითოეულ საქმეზე დააყენა დაახლოებით 10 შუამდგომლობა, საიდანაც მოწმეთა სახით პოლიციელთა დაკითხვის გარდა არც ერთი არ დაკმაყოფილდა. ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ არ გამოითხოვა დაკავების ადგილას დამონტაჟებული ვიდეო კამერების ჩანაწერები, სადაც მაღალი ალბათობით დაფიქსირებული იქნებოდა დაკავების ამსახველი კადრები; სასამართლომ არ დანიშნა ექსპერტიზა პატრულ-ინსპექტორის პერანგზე, რომელზეც პოლიციელები აცხადებდნენ, რომ ის დაჩი ცაგურიამ შემოახია დაკავების დროს. თუმცა, ამ პერანგს ვიზუალური დათვალიერებით ეტყობოდა, რომ ბასრი საგნით იყო გაჭრილი; სასამართლომ ცაგურიას საქმეზე, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, უარი განაცხადა, ჯერ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ პოლიციელს მიეცა ახსნა-განმარტებები, ხოლო შემდეგ დაკითხულიყო მოწმე პოლიციელი, რათა ოქმის შემდგენს არ მოესმინა მოწმის ჩვენება და შემდეგ იგივე არ გაემეორებინა; ფაცაციას საქმეზე სასამართლომ უარი გვითხრა მოწმის სახით იმ პირის დაკითხვაზე, რომელიც ფაცაციას დაკავებისას ახლდა (იმ მოტივით, რომ ეს პირი დაინტერესებული იქნებოდა და უტყუარ ჩვენებას არ მოგცემდა); საქმეთა მსვლელობის დროს პოლიციელთა მხრიდან გამოვლენილ არაერთ წინააღმდეგობასა და შეუსაბამობაზე არც ერთ მოსამართლეს კითხვა არ გასჩენია. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, არც დაცვის მხარეს მიეცა შეკითხვის დასმის უფლება და ა.შ.

საიამ საქალაქო სასამართლოს დადგენილებები თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ალექსანდრე ცაგარელის საქმე

ალექსანდრე ცაგარელი სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918“-ის წევრია. 2012 წლის 18 სექტემბრიდან იგი აქტიურად იყო ჩართული საპროტესტო აქციებში, რომლებსაც სტუდენტები მართავდნენ პატიმრებისადმი გამოვლენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ. 24 სექტემბერს იგი იყო იმ სტუდენტური საპროტესტო აქციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რომელიც დაიწყო უნივერსიტეტის ეზოდან და გაგრძელდა თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროებთან. აქციის დასრულების შემდგომ ალექსანდრე ცაგარელი ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ესწრებოდა კონცერტს, რომელიც ასევე ციხეებში გამოვლენილი ძალადობის გასაპროტესტებლად იმართებოდა. კონცერტის დასრულების შემდეგ (25 სექტემბერი, დაახლოებით 00:40 საათი) იგი აპირებდა სახლში წასვლას და უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის მოპირდაპირე მხარეს ცდილობდა ტაქსის გაჩერებას. ამ დროს მასთან მივიდა საპატრულო პოლიციის სამი თანამშრომელი, რომლებმაც, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მანქანაში ჩაჯდომა მოსთხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ცაგარელისთვის უცნობი იყო დაკავების მიზეზი, იგი მოთხოვნას დაემორჩილა. აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ თვითმხილველები.[51] დაკავებისას არ გააცნეს უფლებები. მოგვიანებით იგი დიღმის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

2012 წლის 25 სექტემბერს 09.30 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა სასამართლო პროცესი, რომელზეც გაირკვა, რომ ალექსანდრე ცაგარელის მიმართ შედგენილი იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ასკ-ის 166-ე[52] და 173-ე[53] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე. საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ კობა გოცირიძემ, რომელმაც ალექსანდრე ცაგარელი სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

მოსამართლემ საქმის მასალების გასაცნობად დაცვის მხარეს მხოლოდ 5 წუთი მისცა. მოცემულ საქმეზე ალექსანდრე ცაგარელმა ვერ შეძლო, ესარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით. გამოტანილი დადგენილება არის იმ მანკიერი პრაქტიკის გაგრძელება, რომელიც ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით ბოლო წლებში ქართულ სასამართლოებში დაინერგა და, რაც არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი როგორც სახალხო დამცველის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. არც ერთ სამართლებრივ ნორმაში არ ჯდება მტკიცების ის სტანდარტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმეზე გამოიყენა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი უნარ-ჩვევები, რათა ადეკვატურად შეაფასოს მოვლენა. მისი ახსნა-განმარტება თვით სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის ხილვით, თანდასწრებით არის შექმნილი და, შესაბამისად, მტკიცებულების ეს წყარო არის შეუცვლელი.“ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა დაკავების ფაქტის თვითმხილველი მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ „ეს გამოიწვევდა მხოლოდ საქმის ხელოვნურ გაჭიანურებას“, მიუხედავად იმისა, რომ მოწმეები სასამართლოს შენობაში იმყოფებოდნენ. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეს პროცესის დასრულე-

[51] იხ. ბმული: http://www.youtube.com/watch?v=BPSYX6YKkzg

[52] წვრილმანი ხულიგნობა.

[53] სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

ბა განსაკუთრებით ეჩქარებოდა და არაერთხელ აღნიშნა, რომ 10:00 საათზე სხვა საქმე უნდა განეხილა და დიდი დრო არ ჰქონდა დაცვის მხარის მოსასმენად. მოსამართლემ ასევე არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ვიდეოთვალის ჩანაწერების გამოთხოვნის თაობაზე, რომელიც დამონტაჟებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამის არგუმენტად სასამართლომ მიუთითა: „გაურკვეველია ის ფაქტი, თუ აღნიშნული ჩანაწერი რამდენად არის სრულყოფილი და რამდენად ასახავს მომხდარ ფაქტს". აღსანიშნავია, რომ ამის გარკვევა სწორედ სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების გამოკვლევისას უნდა მომხდარიყო. საქმეში „აშუღიანი სომხეთის წინააღმდეგ" ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით: [...პირველ რიგში, ეროვნული სასამართლოების საქმეა მტკიცებულებათა შეფასება ...] [... მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად ჩაითვლება, როდესაც სასამართლომ არ გამოიკვლია დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, არ გამოიძახა დაცვის მოწმეები და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღო სხვადასხვა მტკიცებულების შეფასების საფუძველზე...].

სასამართლომ ერთადერთ და უტყუარ მტკიცებულებად პოლიციელის ახსნა-განმარტება მიიჩნია, თუმცა, დაცვის მხარეს მისთვის შეკითხვების დასმის უფლებაც არ მისცა. სასამართლო არ დაინტერესდა, ალექსანდრე ცაგარელის დაკავება ხომ არ უკავშირდებოდა ბოლო დღეებში მიმდინარე სტუდენტურ საპროტესტო აქციებში მის აქტიურ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ეჭვი საზოგადოებაში ცაგარელის დაკავებისთანავე გაჩნდა.

მოცემულ საქმეში ალექსანდრე ცაგარელს სამართლებრივ დახმარებას საია უწევდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დატოვა უცვლელი.

5.8. წინასაარჩევნო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აგრძელებდნენ დაკვირვებას პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებული საჯარო შეხვედრების მიმდინარეობაზე და ახორციელებდნენ შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველყოფის მონიტორინგს. ორგანიზაციის დამკვირვებლები მონიტორინგს უწევდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ 8 სექტემბერს საქართველოს 10 ქალაქში (ზუგდიდი, ოზურგეთი, ბათუმი, ამბროლაური, ახალციხე, ქუთაისი, გორი, თელავი, რუსთავი და მცხეთა) ჩატარებული ყრილობის მიმდინარეობას, ასევე „ქართული ოცნების" მიერ ბათუმში (2012 წლის 5 აგვისტო), რუსთავში (2012 წლის 19 აგვისტო), ამბროლაურში (2012 წლის 27 აგვისტო), თელავში (2012 წლის 9 სექტემბერი), ახალციხეში (2012 წლის 15 სექტემბერი), ზუგდიდში (2012 წლის 22 სექტემბერი), თბილისსა და ქუთაისში (2012 წლის 29 სექტემბერი) ჩატარებულ წინასაარჩევნო შეხვედრებს. მონიტორინგის განმავლობაში რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და შეხვედრებმა მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა.

„ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრა ჯგალში

2012 წლის 22 აგვისტოს სოციალური ქსელებისა და მედიის მეშვეობით[54] გავრცელდა ინფორმაცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯგალში მომხდარი ინციდენტის შესახებ. ვიდეო მასალიდან ირკვეოდა, რომ საარჩევნო სუბიექტის – „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გიორგი ნაჭყებიას მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრის დროს და ადგილას, სპეციალური სამანქანო დანადგარის გამოყენებით, განხორციელდა თეთრი პეპლების წინააღმდეგ მცენარეთა დაცვის სამუშაოები უსაფრთხოების ნორმების დარღვევით. ინციდენტის დღესვე სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის უწყებათშორისმა კომისიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღინიშნა:

> *„დაგეგმილი წამლობის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა წინასწარ იყო გაფრთხილებული, რაც არის დამკვიდრებული პრაქტიკა დასავლეთ საქართველოში. ვიდეო მასალა, რომელიც ქართულმა ოცნებამ კომისიას მიაწოდა, ადასტურებს, რომ წამლობა სავალი გზის მთელ პერიმეტრზე მიმდინარეობდა – მსგავსი პრაქტიკა მთელს რეგიონში აპრობირებულია – და არავითარ მიზანმიმართულ შესხურებას იქ შეკრებილთა მიმართ ადგილი არ ჰქონია. წამლობისას გამოყენებული პრეპარატი უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ადგილობრივი საავადმყოფოების ცნობით, მათთვის ამერიკული პეპლების საწინააღმდეგო გაზით მოწამვლის შედეგად არავის მიუმართავს."*

კომისია გავრცელებულ განცხადებაში სათანადო ყურადღებას არ უთმობს უსაფრთხოების საკითხებს და ამ სფეროში მოქმედი ნორმების დაცულობის შემოწმებას. განცხადებაში მხოლოდ „დამკვიდრებულ პრაქტიკასა" და მოსახლეობის წინასწარ გაფრთხილებაზეა მითითება, რაც ვერ ჩაითვლება უსაფრთხოების საკმარის ზომად. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ: „წალენჯიხაში დაგეგმილი წამლობის შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია 21 აგვისტოს მიეწოდა. ამასთან, გაფრთხილება კიდევ ერთხელ უშუალოდ წამლობის დაწყების წინაც მოხდა."[55] სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, „უშუალოდ წამლობის დაწყების წინ, მეგაფონების საშუალებით მოხდა მოსახლეობის გაფრთხილება". გავრცელებული ვიდეო მასალა არ ადასტურებს უშუალოდ წამლობის მიმდინარეობისას მოსახლეობის

[54] http://tv9.ge/?m=6&id=5374

[55] http://www.moa.gov.ge/index.php?pg=nw&id=454

გაფრთხილებას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გამოიყენებოდა ამერიკული პრეპარატი „დეცისი“, რომელსაც, სახელმწიფო კატალოგის მიხედვით, მიკუთვნებული აქვს III კლასი, რაც „ნაკლებად საშიშს“ ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ თეთრი პეპლების საწინააღმდეგო პრეპარატი „დეცისი“ მიეკუთვნება პესტიციდს, რომლის გამოყენების წესებიც რამდენიმე ნორმატიულ აქტში არის მოცემული. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 30 ნოემბრისა[56] და 2010 წლის 17 მაისის[57] ბრძანებების მიხედვით:

- ქალაქების და დასახლებული პუნქტების მწვანე ნარგავების დამუშავების წინ, მცენარეთა დაცვის სამსახურები ვალდებულნი არიან, გააფრთხილონ მოსახლეობა ჩასატარებელი შესხურების შესახებ. **დამუშავებული ფართობების საზღვარზე (შესასვლელსა და გასასვლელში) უნდა განთავსდეს ერთიანი გამაფრთხილებელი ნიშნები გარკვეული ვადით. ამ ვადებში დამუშავებულ ფართობებზე ადამიანებისა და შინაური ცხოველების ყოფნა აკრძალულია**;
- პესტიციდების გამოყენება შესაძლებელია შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ, რომელიც მოიცავს აგრონომიული და მცენარეთა კომპლექსური დაცვის საფუძვლების და პრინციპების, აგრეთვე, ადამიანისა და გარემოსათვის უსაფრთხო გამოყენების წესების ცოდნას;
- აკრძალულია ნებისმიერი პესტიციდის გამოყენება საბავშვო, სპორტული, სამედიცინო დაწესებულებების, სკოლების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების ... საცხოვრებელი სახლების და ჰაერ-შემწოვი დანადგარების უშუალო სიახლოვეს;
- ეზოებსა და სახლებთან მიმდებარე ნაკვეთებზე დასაშვებია პესტიციდების შერჩევითი კერობრივი დამუშავება ხარჯვის მინიმალური ნორმით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია მავნებელთა მასობრივი გამრავლება ან მწვანე ნარგავების დაავადებანი.

გავრცელებული ვიდეომასალიდან ჩანს, რომ სოფელ ჯგალში წამლობის მიმდინარეობისას უსაფრთხოების ნორმები სრულყოფილად არ იყო დაცული. ასევე, საეჭვოა, რამდენად ეფექტურად შეიძლება ჩაითვალოს განხორციელებული გაფრთხილება მაშინ, როდესაც უშუალოდ შეწამვლის მიმდინარეობისას დასამუშავებელ ფართობზე შეკრებილი იყო რამდენიმე ადამიანი, რომელთა ყოფნაც იმ ადგილას არ შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პირებისათვის ხილული იყო ტერიტორიაზე ადამიანების ყოფნა, მათ არ შეუწყვეტიათ შეწამვლის პროცესი და არ მოუწოდებიათ მათთვის, დაეტოვებინათ ტერიტორია.

უსაფრთხოების ნორმების დარღვევა იმისგან დამოუკიდებლად, ემთხვევა ის წინასაარჩევნო აგიტაციასა და შეკრებებს თუ არა, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების ნორმების დარღვევას დაემთხვა მოსახლეობასთან პარტიული შეხვედრის გამართვა, აღნიშნულმა გარკვეული გავლენა იქონია შეკრების მიმდინარეობაზე. შესაბამისად, ჩნდება ეჭვები შეკრების ან მანიფესტაციის მიმდინარეობის ხელშეშლასა და მასში გარკვეულ ჩარევასთან დაკავშირებით. უსაფრთხოების ნორმების დაუცველობამ დაარღვია მოქალაქეთა სიმშვიდე და წესრიგი და გარკვეული გავლენა მოახდინა მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე. გავრცელებული მასალის მიხედვით, შეკრებილ ადამიანებს აღენიშნებათ ხველება, ნესტოებისა და თვალების წვა.

გაზვიადებულია საარჩევნო სუბიექტის – „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა განცხადებები მოსახლეობის შხამიანი გაზით მოწამვლასთან დაკავშირებით, თუმცა, საიას მოსაზრებით, ეს არ ათავისუფლებს უწყებათშორის კომისიასა თუ კომპეტენტურ უწყებებს, უფრო ფრთხილად და საფუძვლიანად შეისწავლონ საქმის გარემოებები, შეაფასონ მისი სრული შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და საბოლოო დასკვნები გამოიტანონ მხოლოდ აღნიშნული საკითხების სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ. კომისიას ჯეროვნად არ გამოუკვლევია, იყო თუ არა დაცული უსაფრთხოების ნორმები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯგალში თეთრი პეპლების წინააღმდეგ წამლობისას და რა გავლენის მოხდენა შეეძლო აღნიშნული ნორმების დარღვევას იქ მყოფ ადამიანებზე. წინამდებარე საქმეში სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან ადგილი აქვს უსაფრთხოების ნორმების დარღვევას, რის გამოც იკვეთება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174^2 (შეკრებისა ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 98^1 (პასუხისმგებლობა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნები. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 2012 წლის 8 სექტემბერს საიამ წერილობით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს ბაჩანა ახალაიას, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს დავით კობერიძეს და მოუწოდა, გულდასმით შეესწავლათ ზემოთ მითითებული საკითხი და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირება მოეხდინათ.

2012 წლის 3 ოქტომბერს მივიღეთ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის დავით კობერიძის წერილობითი პასუხი,[58] რომლითაც გვეცნობა, რომ „სააგენტოს თანამშრომლის მიერ ადგილი არ ჰქონია მიზანმიმართულ შეფრქვევას შეკრებილთა მიმართ.“ აღნიშნულ დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია, თუ რა მტკიცებულებების გამოკვლევა მოხდა სამართალდარღვევის საქმეზე მიმდინარე წარმოების განმავლობაში.

[56] სოფლის მეურნეობის მინისტრის #2-211 ბრძანება „პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ“, მე-12 და 23-ე მუხლები.

[57] სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება #2-75 "საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების შესახებ", 24-ე მუხლი.

[58] #1-7-10/1466

ასევე, არ არის მსჯელობა ჩვენ მიერ მითითებული უსაფრთხოების ნორმების დაცულობის საკითხზე, რაც გადაწყვეტილებას სრულიად დაუსაბუთებელს ხდის.

საიას მიერ გაგზავნილი ინფორმაცია რეაგირებისათვის ცესკომ №68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისიას გადაუგზავნა. სწორედ აღნიშნულ კომისიას უნდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა ადგილი შეკრებისა ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამა წლის 27 სექტემბერს მიღებული განკარგულებით,[59] №68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი გვითხრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ კომისია განკარგულების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ სახელმწიფო უწყებების – თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორისი კომისიის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციას და არ დაინტერესებულა წინასაარჩევნო შეკრების ორგანიზატორებისა თუ მასში მონაწილე პირების გამოკითხვით. კომისიის დასკვნით: „დასტურდება, რომ ამერიკული თეთრი პეპლის შეწამვლა განხორციელდა გეგმის შესაბამისად, წამლობის დაწყებამდე მოსახლეობას ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე, რაც არის დამკვიდრებული პრაქტიკა და იქ შეკრებილთა მიმართ მიზანმიმართულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, არ შეიძლება ვინმეს მიმართ დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან კომისიის მიერ მხოლოდ ერთი მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ზედაპირულ ანალიზს ჰქონდა ადგილი, რთულია, ვილაპარაკოთ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობაზე.

„ქართული ოცნების“ აქცია სიღნაღში

2012 წლის 26 სექტემბერს გაიმართა „ქართული ოცნების” ლიდერის ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა სიღნაღის მოსახლეობასთან. საიას თელავის ოფისმა მიიღო შეტყობინება აღნიშნული შეხვედრის თაობაზე და წარმომადგენელი მიავლინა მისი მიმდინარეობის მონიტორინგის განსახორციელებლად. შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის წინ. თუმცა, მოქალაქეებს აღარ მიეცათ აღნიშნულ ადგილზე შეკრების შესაძლებლობა, ვინაიდან მოედანზე ავტომობილები იყო თავმოყრილი. სიღნაღის შესასვლელთან, პროკურატურის შენობასთან ახლოს, მობილიზებული იყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაისურში ჩაცმული აქტივისტები, რომლებსაც საავტომობილო გზაზე ე.წ. „სირცხვილის კორიდორი” ჰქონდათ გაკეთებული. საიას თელავის ოფისის ავტომობილს ქალაქში შესვლისას მოუწია აღნიშნულ კორიდორში გავლა.

საბოლოოდ, „ქართული ოცნების” ლიდერის ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა გაიმართა პოლიციის შენობის უკან მდებარე მოედანზე. შეხვედრის დასრულების შემდეგ, როდესაც „ქართული ოცნების” ავტომობილები ტოვებდნენ სიღნაღს, მათ უწევდათ ე.წ. „სირცხვილის კორიდორის” გავლა, რა დროსაც მათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ურტყამდნენ ფეხებს, ესროდნენ პლასტმასის ბოთლებს, ასხამდნენ წყალს, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა რამდენიმე აქტივისტი, რომლებიც, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. აგრესიულობით გამოირჩეოდნენ ქალბატონებიც. აღნიშნულ ფაქტს თვალყურს ადევნებდნენ პოლიციელები.

ჟურნალისტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ საიას წარმომადგენლების ჩასვლამდე „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებსა და „ქართული ოცნების” მხარდამჭერებს შორის ინციდენტს ჰქონდა ადგილი, რა დროსაც დაშავდა „ქართული ოცნების” ერთი აქტივისტი და ერთი ჟურნალისტი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები გამოირჩეოდნენ აგრესიით, ხელში ეჭირათ დროშები და ბოთლები, რომლებსაც იყენებდნენ ავტომობილების დასაზიანებლად. ერთ-ერთმა აქტივისტმა ჩაამტვრია ავტომობილის შუშა და დაიზიანა ხელი. ასევე, იყო შეძახილები: „მოღალატეების ადგილი საქართველოში არ არის”. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს ხელმძღვანელობდა ლევან ბეჟაშვილი – ამავე პარტიის მაჟორიტარი კანდიდატი სიღნაღის საარჩევნო ოლქში. ის შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა, ზემოაღწერილ დარღვევებზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

5.9. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

მოცემულ თავში საუბარია საანგარიშო პერიოდში საიას მიერ გამოვლენილ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევებზე. თითოეული მათგანი მოითხოვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლას.[60]

[59] #26/2012

[60] რაც შეეხება აღნიშნულ საქმეებზე დამრღვევებისათვის სანქციის დაკისრებას, ეს უკვე აღარ არის შესაძლებელი 2012 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მიხედვით, მისი „მიზანია ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება, რომელთაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრათ ან შეიძლება დაეკისროთ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე განხორციელებული ქმედებისათვის.“ ამის მიუხედავად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევასა და სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობის დადასტურებას შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა პარტიების დაფინანსების კუთხით სათანადო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული შემომწირველები

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მეორე შუალედურ ანგარიშში საია მიუთითებდა შემოწირულებების განმახორციელებელ იმ პირებზე, რომლებიც, იმავდროულად, ფიქსირდებოდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. 2012 წლის 1 იანვრიდან 8 აგვისტომდე პერიოდში შემოწირულების განმახორციელებელი 2322 ფიზიკური პირიდან 151 წარმოადგენდა სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრს. პირთა აღნიშნული ჯგუფის მიერ განხორციელებული შემოწირულებების მინიმალური ოდენობა 50 (ორმოცდაათი) ლარს, მაქსიმალური კი 60000 (სამოციათასი) ლარს შეადგენდა. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 18 შემომწირველის მიერ გადარიცხული თანხების წარმომავლობა.

საიამ მიიჩნია, რომ შემომწირველთათვის მონაცემთა ბაზით მინიჭებული კატეგორიისა და შეწირული თანხის ოდენობების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ეჭვს იწვევდა 48 მათგანის[61] მიერ განხორციელებული შემოწირულების წარმომავლობა. შესაბამისად, საიამ აღნიშნული შემთხვევების შესწავლის მოთხოვნით მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, თუმცა, აღნიშნულ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია.

მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირების მიერ შემოწირულებების განხორციელების პრაქტიკა გაგრძელდა წინასაარჩევნო პერიოდში. 2012 წლის 8 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების მიმართ შემოწირულება განხორციელდა 486 ფიზიკური პირის მიერ. ამათგან, 14 პირი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ეჭვს იწვევს 6 მათგანის მიერ განხორციელებული შემოწირულების წარმომავლობა.

აქედან 3 შემომწირველი, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, მიეკუთვნება ღატაკი ოჯახების კატეგორიას. ასეთად კი „შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, თუ მის წევრებს ძნელად თუ შეუძლიათ საკვების შეძენა. მათი შემოსავალი სრულად ვერ ჰყოფნის იმ საკვების შეძენასაც კი, რაც საჭიროა შინამეურნეობის წევრების ნორმალური კვებისათვის.“ აღნიშნული ფიზიკური პირები სახელმწიფოსგან იღებენ საარსებო შემწეობას, მიიჩნევიან გადახდისუუნაროდ და ენიჭებათ სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, სამართალწარმოებისას გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევის ვაუჩერით და თვითნებურად დაკავებული მიწა უსასყიდლოდ გადაეცემათ საკუთრებაში.

დანარჩენი 3 შემომწირველი, პირადი განცხადებისა და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თანახმად, მიეკუთვნა სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის კატეგორიას. თუმცა, შედარებით მაღალი სარეიტინგო ქულიდან გამომდინარე, როგორც წესი, არ სარგებლობენ ფინანსური დახმარებითა და სხვა სახის შეღავათებით.

მივიჩნევთ, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევებს უნდა მოჰყოლოდა სათანადო რეაგირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან, რაც არ მომხდარა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მონაცემები იმ შემოწირულებების შესახებ, რომელთა განმახორციელებლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში:

№	სახელი და გვარი	პარტია	ქულა	თანხა (ლარებში)	შემოწ. განხორც. პერიოდი	შენიშვნა
57. 001 და ნაკლები ქულა						
1	ავთანდილ თეთრაძე	ქართული ოცნება	54920	30	8.22.2012	
2	ელიკო კვანჭიანი	ეროვნულ - დემოკრატიული პარტია	32780	200	8.24.2012	
3	აკაკი გაჩეჩილაძე	გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება	42230	616	8.28.2012	არაფულადი შემოწირულება
100 000-დან ზემოთ ქულა						
4	მაია დეკანოსიძე	თავისუფალი საქართველო	143500	16200; 6100; 13850; 22300 ჯამი: 58450	9.12.2012; 9.22.2012; 9.14.2012; 9.20.2012	
5	ამირანი იამანიძე	გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება	119760	2100	8.28.2012	არაფულადი შემოწირულება
6	დიმიტრი ჯორბენაძე	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	418260	40000	8.31.2012	

[61] იხ. „წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი, მეორე შუალედური ანგარიში“, საია, 2012 წელი აპრილი-ივლისი, გვ.27.

აშშ-ში ლობისტების დაქირავებაზე გაწეული ხარჯები

2012 წლის 6 სექტემბერს არასამთავრობო ორგანიზაციებმა – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება – ერთობლივი განცხადება გაავრცელეს ლობისტურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ორგანიზაციების განცხადებით, 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, საარჩევნო კამპანია მხოლოდ საქართველოს საზღვრებში არ მიმდინარეობდა. კერძოდ, ოპოზიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა და საქართველოს მთავრობის ეროვნული უშიშროების საბჭომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობისტური ფირმები დაიქირავეს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიჩნიეს, რომ უცხოელი ლობისტების როლი და მათი საქმიანობის შესაძლო გავლენა საარჩევნო კამპანიაზე უფრო ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო. როგორც ვებ-გვერდზე Civil.ge გავრცელებული ინფორმაციით გაირკვა, საქართველოს მთავრობა სულ მცირე 1,83 მლნ. აშშ დოლარს უხდიდა ვაშინგტონში მოქმედ ლობისტებს (the Podesta Group, Orion Strategies LLC, Prime Policy Group, Gephardt Group Government Affairs, LynxDC), ასევე, კონსულტანტ გრეგორი ა.მანიატისს. მათ მიერ გასაწევი მომსახურება მოიცავდა სტრატეგიულ რჩევებს, მხარდაჭერას კომუნიკაციის სფეროში, ლობისტურ საქმიანობას და „სამთავრობო ურთიერთობებთან დაკავშირებულ მომსახურებას“ ისეთ თემებზე, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობა, საქართველოს ინტეგრაცია ნატოსა და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში, „დემოკრატიის საკითხები”, ასევე „დახმარება წინასაარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.” არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი თვეში 300 000 აშშ დოლარზე მეტს უხდის ოთხ ლობისტურ ფირმას (Parry and Roman Associates Inc, Patton Boggs LLP, Downey McGarth Group Inc, National Strategies LLC). გასაჯაროებული კონტრაქტების თანახმად, დაქირავებული კომპანიების მოვალეობები მოიცავს აშშ-ის კონგრესისა და პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის წევრთა ლობირებას, მედიის მონიტორინგსა და ინფორმაციის მოძიებას, მედიასთან ურთიერთობებს და ციფრული საშუალებებით კამპანიის წარმოებას, მათ შორის, ვიდეორგოლებისა და დოკუმენტური ფილმების მომზადებას და აშშ-ში, ევროპასა და საქართველოში „მხარდამჭერთა ქსელის” შექმნას სოციალური მედიისა და ვებ-გვერდის (http://www.democracyingeorgia.org) საშუალებით.

„უცხო ქვეყნის წარმომადგენლის რეგისტრაციის აქტის” თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელ კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტები უნდა დარეგისტრირდეს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში. ეს კონტრაქტები ქვეყნდება ვებ-გვერდზე.[62] ივანიშვილისა და საქართველოს მთავრობის ლობისტები ასევე მოქმედებენ ბრიუსელსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში, თუმცა, ამ საქმიანობის დეტალები ბურუსით არის მოცული, რადგანაც ევროკავშირში რეგისტრაციის მკაცრი მოთხოვნები არ მოქმედებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიჩნიეს, რომ, როგორც საქართველოს მთავრობას, ისე ბიძინა ივანიშვილს, საჯარო უნდა გაეხადათ ლობისტურ კომპანიებთან დადებული ყველა ხელშეკრულება და გამოექვეყნებინათ დამატებითი ინფორმაცია დაქირავებული ლობისტების საქმიანობის მიზნებისა და საქმიანობის შესახებ, რათა საზოგადოება დარწმუნებულიყო, რომ აღნიშნული კონტრაქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა არ ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აგრეთვე, ორგანიზაციების მოსაზრებით, როგორც საქართველოს მთავრობას, ისე ბიძინა ივანიშვილს არ უნდა დაეშვა, რომ აღნიშნულ საქმიანობას გადაჭარბებული გავლენა მოეხდინა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ზემოაღნიშნული განცხადებით დაყენებული ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნის მიუხედავად, არც საქართველოს მთავრობასა და არც ბიძინა ივანიშვილს დამატებითი ინფორმაცია ლობისტურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით არ გამოუქვეყნებია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეისწავლა საქართველოს მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიერ დადებული ის ლობისტური ხელშეკრულებები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია. საიას მიზანი იყო, გადაემოწმებინა აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისობა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე[63] გამოქვეყნებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ამერიკულ ლობისტურ კომპანიებთან დადებული აქვს 5, ხოლო კერძო პირ ბიძინა ივანიშვილს – 2 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან 2 მათგანში პირდაპირაა აღნიშნული, რომ ლობისტებმა დახმარება უნდა გასწიონ წინასაარჩევნო საკითხებთან დაკავშირებითაც. ხელშეკრულებაში ამ თვალსაზრისით სხვა რაიმე კონკრეტიკა მოცემული არ არის. ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან 3 მათგანში მითითებულია, რომ ლობირება უნდა მოხდეს იმ საკითხებზეც, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან. ხელშეკრულებაში ასეთი პუნქტის არსებობა ნიშნავს, რომ მხარეთა თავისუფალი მოქმედებისათვის დიდი სივრცეა დარჩენილი. ამ ნაწილშიც უცნობია, თუ კონკრეტულად რა საკითხებზეა მხარეთა შეთანხმება შესაძლებელი. ყველა ხელშეკრულება ლობისტებს ავალდებულებს, წარმოადგინონ პერიოდული ანგარიშები მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით. არსებული გამოცდილებით, აღნიშნული ანგარიშების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი არ არის. მაგალითად, 2009 წელს საიამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, სხვა დოკუმენტებთან ერთად, გამოითხოვა ლობისტური კომპანიის „ორი-

[62] http://www.fara.gov/qs-foreignprincipal.html

[63] http://www.fara.gov/qs-foreignprincipal.html

ონ სტრატეჯის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშები. სამინისტროს მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ პასუხში მითითებულია, რომ ლობისტების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ სამინისტროს ეცნობებოდა ზეპირი ფორმით. „სამინისტროში არ მოიპოვება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ წერილობითი ანგარიში.“ ვინაიდან ანგარიშების წარმოდგენას ადგილი ჰქონდა ზეპირი ფორმით, დაწესებულებაში საერთოდ არ იყო დაცული რაიმე წერილობითი დოკუმენტი, რომლის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის ვალდებულებაც ექნებოდა სამინისტროს.

ზემოაღნიშნული ბუნდოვანებებისა და დეტალური ინფორმაციის არარსებობის ფონზე, მნიშვნელოვანია, სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტები და მთლიანად საზოგადოება დარწმუნდეს, რომ საბიუჯეტო სახსრებითა და საქართველოს სახელით დადებული ლობისტური ხელშეკრულებები არ გამოიყენება მმართველი პარტიის ლობირებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება ადმინისტრაციული რესურსების უკანონო ხარჯვა და სახელმწიფო ორგანიზაციის მხრიდან პარტიის სასარგებლოდ განხორციელებული უკანონო შემოწირულება, რისთვისაც კანონით შესაბამისი პასუხისმგებლობაა დადგენილი. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საბიუჯეტო თანხებით შეძენილ ლობისტურ მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულად გამჭვირვალე უნდა იყოს. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უნდა დაინტერესდეს, ლობირების პროცესში ჰქონდა თუ არა ადგილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, ჯეროვნად და დროულად გამოიძიოს ეს საკითხი და ობიექტური და მიუკერძოებელი მოკვლევის შედეგები საზოგადოებას გააცნოს.

საარჩევნო კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს კერძო პირის ბიძინა ივანიშვილის მიერ დადებული ლობისტური ხელშეკრულებები. ერთი ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების საგანია კლიენტისათვის ადვოკატირების გაწევა და რჩევების მიცემა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხზე, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და ადმინისტრაციის ინფორმირება ბიძინა ივანიშვილისა და „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გამოყენებული სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ. პირველი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, მეორე ხელშეკრულებაში გამოკვეთილია საარჩევნო მიზნები და მითითებულია, რომ ლობისტები გასწევენ ცალკეულ ლობისტურ და „კამპანიის“ მომსახურებას, რაც სხვა დანარჩენებთან ერთად გულისხმობს: კამპანიის, გუნდთან კოორდინაციით, „მესიჯების“ პლატფორმის შექმნას, რაც გამოყენებული იქნება ქვეყნის შიდა კამპანიისა და აშშ-ში კონსულტანტების საქმიანობისათვის, „Citizens for Democracy in Georgia” (მოქალაქეები დემოკრატიისათვის საქართველოში) კოალიციის ორგანიზებას, მისი ვებ-გვერდის შექმნასა და სხვა. ხელშეკრულების მიხედვით, ვებ-გვერდზე, სხვა დანარჩენთან ერთად, მითითებული იქნება ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ვებ-გვერდებთან დამაკავშირებელი ბმულები, გამოყენებული იქნება „ქართული ოცნების“ ონლაინ აქტივები. ხელშეკრულების მიხედვით, კონსულტანტები შეაგროვებენ ონლაინ მხარდამჭერების არმიას, „რაც შეძლებს, გაზარდოს პოზიტიური სენტიმენტები კლიენტის (შენიშვნა: ბ.ივანიშვილი) კამპანიის მიმართ. აღნიშნულის მიზანია, მხარდამჭერების ქსელის შექმნა აშშ-ში, ევროპასა და, უფრო მეტად, საქართველოს შიგნით, რათა ხელი შეეწყოს კლიენტის „მესიჯებით“ დაინტერესებასა და მათ გავრცელებას.“ ხელშეკრულებაში სხვა საინტერესო საკითხებიც არის მითითებული, რომლის განხორციელებაზეც მხარეები შეთანხმებულნი არიან.[64]

National Strategies-თან დადებული ლობისტური ხელშეკრულების მიზნები ეხმიანება კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის მიზნებს. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება დადებულია არა პოლიტიკური პარტიის, არამედ კერძო პირის – ბიძინა ივანიშვილის მიერ. შესაბამისად, ვინაიდან ხარჯების გამწევი, პარტიის ნაცვლად, კერძო პირია, მაღალი ალბათობით, ადგილი აქვს მის მიერ უკანონო შემოწირულების განხორციელებას. საიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და დაადგინოს, ხომ არ ჰქონდა ადგილი ბიძინა ივანიშვილის მიერ უკანონო შემოწირულების განხორციელებას კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

5.10. ქმედებები მედიის წინააღმდეგ

წინასაარჩევნო პერიოდში მედიის განსაკუთრებული წუხილის საგანი გახდა ცესკოს მიერ 2012 წლის 24 სექტემბერს მიღებული დადგენილება №42/2012 „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“. საიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული აქტი დაუსაბუთებელი იყო და არღვევდა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისათვის (მათ შორის ჟურნალისტებისა და დამკვირვებლებისათვის) საქართველოს საარჩევნო კოდექსით მინიჭებულ უფლებას, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელშეშლის გარეშე, აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება. დადგენილებით მიღებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, მათ შორის:

1. ფოტო-ვიდეო გადაღება კენჭისყრის შენობაში უნდა წარმოებდეს კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილებიდან, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი;

2. მინიმალური მანძილი ნებისმიერი პირისთვის ფოტო-ვიდეო გადასაღებად უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრით დაშორებული გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან;

3. იმ შემთხვევაში, თუკი კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი კამერით გადაადგილდება ან ტოვებს კენჭისყრის შენობას, კარგავს ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოების უფლებას.

საიამ მიიჩნია, რომ ცესკო, აღნიშნული აქტის მიღებით, გასცდა კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენცი-

[64] http://www.fara.gov/docs/6123-Exhibit-AB-20120807-1.pdf

ის ფარგლებს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ცესკო უფლებამოსილია, მიიღოს დადგენილება ცესკოს კომპეტენციას მიკუთვნებულ, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელ საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზეც.“ ამავე კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, ცესკოს დადგენილება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის მიღებაც შეიძლება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. დადგენილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ცალკეული საარჩევნო პროცედურის ინსტრუქციაც, რომელიც არ უნდა შეიცავდეს ამ კანონით დადგენილისგან განსხვავებულ ან ახალ ნორმას და რომელიც შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ამ კანონით დადგენილი პროცედურის დაწვრილებით აღწერას.

კომისიის მიერ მიღებული დადგენილება წარმოადგენს ახალ და განსხვავებულ აქტს. იმავდროულად, კომისიამ ვერ დაასახელა შემთხვევები, როცა მედიის წარმომადგენლებმა ხელი შეუშალეს კენჭისყრის დღის პროცესის მიმდინარეობას. კომისიის პოზიციის თანახმად, აქტის მიღების საფუძველი გახდა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ვიდეოთვალის ჩანაწერების ამოღების თაობაზე. საიას მოსაზრებით, ვენეციის კომისიის რეკომენდაცია მიმართული იყო სახელმწიფოს მიერ ამომრჩევლების შესაძლო კონტროლსა და არა მედიის ანდა დამკვირვებელთა უფლებების დაუსაბუთებელ შეზღუდვაზე. გარდა ამისა, მიღებული აქტი ვერ ამართლებს კომისიის პოზიციას, რომ ამომრჩეველს ეშინია ვიდეოკამერების ჩანაწერების, რადგან სპეციალური ადგილიდან ანდა საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრიდან გადაღების შემთხვევაში, შიშის ფაქტორის აღმოფხვრისათვის მიღებული ზომები სრულიად უსარგებლოა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კომისიამ არ გაითვალისწინა საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი მითითებები, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეშლის არსებობისას. ცესკომ ასევე ვერ დაადასტურა მიზანშეწონილობა, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს გადაღება კენჭისყრის პერიოდში. ცალსახაა, რომ კომისიამ მხოლოდ ფორმალურად შეინარჩუნა საარჩევნო კოდექსის ჩანაწერი ფოტო-ვიდეო გადაღების თაობაზე, თუმცა, იმავდროულად, დაადგინა კანონისაგან განსხვავებული ხისტი ნორმები. თავად აქტის შინაარსი კი, არ არის მიმართული ხელშეშლის შემთხვევების განსაზღვრისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აქტის მიღება მოხდა არჩევნებამდე შვიდი დღით ადრე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცესკოს დადგენილება ვერ აკმაყოფილებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

2012 წლის 26 სექტემბერს ცესკოს აღნიშნული დადგენილება სასამართლოში გაასაჩივრეს: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, საქართველოს მედია-კლუბმა, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ და თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაციამ. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა დადგენილების ბათილობა მოითხოვეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მიჩნეულ იქნა, რომ „ცესკო უფლებამოსილი იყო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განესაზღვრა ფოტო-ვიდეო გადაღების კონკრეტული წესები, კერძოდ, რა პირობებში უნდა მოხდეს ფოტო-ვიდეო გადაღება ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საარჩევნო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას“. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც.

საანგარიშო პერიოდში (1 აგვისტო - 30 სექტემბერი) ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და მათი პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებმა, წინა პერიოდთან შედარებით, იკლო, თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ინციდენტი მაინც დაფიქსირდა.

ინციდენტი ზუგდიდში

2012 წლის 21 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარმა კანდიდატმა ზუგდიდში როლანდ ახალაიამ და მისმა მეზობლებმა კანდიდატის სახლთან შეკრებილ ჟურნალისტებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და პროფესიული საქმიანობის განხორციელების საშუალება არ მისცეს.

როგორც ჟურნალისტები აცხადებენ, ინციდენტის დროს ნელი სვლით ჩაიარა საპატრულო პოლიციის მანქანამ, შეკრებილებს ტროტუარზე გადასვლა ურჩია და, მათი მიმართვის მიუხედავად, რეაგირება არ მოუხდენია.

აღნიშნული შემთხვევა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, საჭიროა, მოხდეს ფაქტზე მყისიერი რეაგირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მედიის წარმომადგენლების პირადი უსაფრთხოება და მოხდეს მსგავსი ფაქტების პრევენცია.

ელისო ჯანაშიას და იზა სალაყაიას საქმე

2012 წლის 13 სექტემბერს ფოთის მშენებარე ტაძრის ეზოში ინტერვიუს ასაღებად მისულ ინტერნეტ-გამოცემა TSpress-ის რედაქტორ ელისო ჯანაშიასა და ჟურნალისტ იზა სალაყაიას მეუფე გრიგოლმა და სხვა სასულიერო პირებმა გადაღების საშუალება არ მისცეს.

ელისო ჯანაშიას განცხადებით, სასულიერო პირებმა მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, კამერა ძალის გამოყენებით წაართვეს და გადაუგდეს. ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, როგორც საქმიანობის განხორციელების ხელშეშლის, ისე ქონების დაზიანების თაობაზე, დასტურდება ვიდეოჩანაწერით. ამ ეტაპზე საქმის გამოძიება დასრულებული არ არის.

სტუდია GNS-ის ჟურნალისტ ვასილ დაბრუნდაშვილისა და ოპერატორ ბაჩანა ბულისკერიას საქმე

2012 წლის 22 აგვისტოს ახმეტაში სტუდია GNS-ის ჟურნალისტ ვასილ დაბრუნდაშვილისა და ოპერატორ ბაჩანა ბულისკერიას მიმართ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტი დაფიქსირდა. ადგილი ჰქონდა ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას ჟურნალისტების მიმართ.

ჟურნალისტის განმარტებით, ხე-ტყის გადასამუშავებელი საამქროს შესახებ ინფორმაციის გადასამოწმებლად მისულებს მათთვის უცნობი პირები თავს დაესხნენ, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და დაუზიანეს გადამღები აპარატურა.

ფაქტს განცხადებით გამოეხმაურა შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც აღნიშნა, რომ სტუდია GNS-ის გადამღებ ჯგუფსა და ყაჩმაზაშვილი-ჭიჭიაშვილის დაპირისპირების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამ დრომდე გამოძიება არ დასრულებულა.

ჟურნალისტ ნოდარ ჩაჩუას ბინაში შეჭრა

2012 წლის 14 აგვისტოს, გვიან ღამით საკუთარ სახლში დაბრუნებულ „მეცხრე არხის“ ჟურნალისტს ნოდარ ჩაჩუას ბინა არეული დახვდა. ჟურნალისტის აზრით, მის ბინაში შეჭრა წარმოადგენდა მისი დაშინების მცდელობას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2012 წლის 27 ივლისს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ჟურნალისტის ნოდარ ჩაჩუას მიმართ განხორციელდა ზეწოლა. ჟურნალისტის განცხადებით, მას სამი უცნობი პირი აშანტაჟებდა და ინფორმაციის მიწოდებას აიძულებდა, ხოლო ამის სანაცვლოდ, ფინანსურ ანაზღაურებას სთავაზობდა.

ნოდარ ჩაჩუას თქმით, უცნობი პირები მას სთხოვდნენ ინფორმაციას ტელევიზიაში არსებულ სიტუაციაზე. ასევე, აიძულებდნენ, სქესობრივი კავშირი დაემყარებინა „მეცხრე არხის“ თანამშრომელ მამაკაცთან. მისივე განმარტებით, აღნიშნულმა პირებმა მას თავი გააცნეს რაღაც „სამსახურის“ წარმომადგენლებად, რომლებიც „ადამიანებს უგვარებენ პრობლემებს, მაგრამ ამასთანავე, უქმნიან ძალიან დიდ პრობლემებს“.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა მოახერხა უცნობი პირების რამდენიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მითითება. კერძოდ, ცნობილია ტელეფონის ნომერი, საიდანაც მას ურეკავდნენ და იმ ავტომობილის სერია და სახელმწიფო ნომერი, რომლითაც ეს პირები გადაადგილდებოდნენ. საქმეს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება იძიებს. ამ დრომდე ნოდარ ჩაჩუას წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიება დასრულებული არ არის.

ხურვალეთის ინციდენტი

2012 წლის 8 აგვისტოს ტელეკომპანია „მაესტროს“ გადამღები ჯგუფი გორში, ხურვალეთის დევნილთა ჩასახლებაში, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დევნილთა შესახებ რეპორტაჟს ამზადებდა. ჟურნალისტ თამთა გაზაშვილის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა აგრესია გამოხატა და მას გადაღების საშუალება არ მისცა. მაცხოვრებლები ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ მათთან საუბრის „უფლება“ მხოლოდ მამასახლისებს აქვთ. ერთ-ერთმა მამასახლისმა კი ჟურნალისტს უთხრა, რომ ჩასახლებაში არსებულ სიტუაციას ისინი თავად აკონტროლებენ. საბოლოოდ, მოქალაქეთა ჯგუფმა ჟურნალისტს ქვები დაუშინა და ტერიტორიის დატოვება აიძულა. ამ დრომდე მომხდარ ფაქტზე სათანადო რეაგირება არ მომხდარა.

6. კენჭისყრის დღე

საიას გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კენჭისყრის დღეს უბნებზე მივლენილი და მობილურ ჯგუფებში გადანაწილებული დამკვირვებლების მეშვეობით, საია დაკვირვებას 35 საარჩევნო ოლქსა და საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე ახორციელებდა.[65]

ჩვეულებისამებრ, საია დაკვირვებას ახორციელებდა სხვადასხვა კომპილაციური მეთოდის გამოყენებით: უშუალოდ უბანზე დაკვირვება კენჭისყრის მთელი დღის განმავლობაში; დაკვირვება მობილური ჯგუფების მეშვეობით, როდესაც მობილური ჯგუფის წევრები ახდენდნენ ოლქის ტერიტორიაზე უბნების შემოვლას დარღვევების არსებობა-არარსებობის გამოვლენის მიზნით; წარმომადგენლობა საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში სამართლებრივი დოკუმენტების შექმნის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისა და სამართლებრივი ექსპერტიზის გაწევის მიზნით. საარჩევნო უბნების დახურვამდე მობილური ჯგუფების წევრებმა შეარჩიეს მეტ-ნაკლებად პრობლემური უბნები და დარჩნენ იქ ხმის დათვლისა და შეჯამების პროცესზე დასაკვირვებლად.

გარდა ამისა, საიაში მთელი დღის განმავლობაში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლოთ საარჩევნო დარღვევების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება. საჭიროების შემთხვევაში, შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირებას ადგილზე გასვლით ახდენდა შესაბამისი მობილური ჯგუფი.

[65] 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობას საია შემდეგ საარჩევნო ოლქებში აკვირდებოდა: მთაწმინდა, ვაკე, საბურთალო, კრწანისი, ისანი, სამგორი, ჩუდურეთი, დიდუბე, ნაძალადევი, გლდანი, ქუთაისი, წყალტუბო, საჩხერე, ბათუმი, ხელვაჩაური, ქობულეთი, ხულო, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, გორი, ხაშური, ქარელი, კასპი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, დუშეთი. ასევე – დიდ ბრიტანეთში (ლონდონი), უნგრეთში (ბუდაპეშტი), აშშ-ში (ნიუ-იორკი), საფრანგეთში (პარიზი) და გერმანიაში (ბერლინი).

თბილისში საია 92 დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი. მათ შორის, ცალკეულ უბნებზე განაწილებული იყო 70 დამკვირვებელი, რომლებსაც დახმარებას უწევდა დამკვირვებლებისგან შემდგარი 15 მობილური ჯგუფი. საია 7 დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საარჩევნო უბნებზე დაკვირვებას ახორციელებდა საიას 215 დამკვირვებელი.

არჩევნების დღეს და შემდგომი პროცედურების წარმართვისას, 35 საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუდმივად იმყოფებოდნენ საიას დამკვირვებლები.

კენჭისყრის დღეს, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ **მედიაცენტრში** ჩატარდა რამდენიმე ბრიფინგი. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია შესაბამისი საათისათვის ასოციაციის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული და ცხელი ხაზით შეტყობინებული საარჩევნო დარღვევების შესახებ.

კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევები

საია არჩევნების მიმდინარეობას თბილისისა და **9** რეგიონის **35** საარჩევნო ოლქსა და საზღვარგარეთ გახსნილ **5** საარჩევნო უბანზე აკვირდებოდა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი.

მიუხედავად გარკვეული პროცედურული დარღვევებისა, დღის განმავლობაში პროცესი ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. გამონაკლისი იყო ხაშურის №35 ოლქი, სადაც სპეციალური დანიშნულების რაზმი რამდენიმე უბანზე ჩაერია ხმის დათვლის პროცესში. ვინაიდან, აღნიშნული წარმოადგენდა ამ უბნებზე შედეგების ბათილობის საფუძველს, საიამ შესაბამისი საჩივრით საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა.

საიას დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ისეთი პროცედურული დარღვევები, როგორიცაა:

- მარკირებასთან დაკავშირებული ხარვეზები;
- სხვა პირის ნაცვლად არჩევნებში მონაწილეობა;
- საარჩევნო სიებში არსებული უზუსტობები, განსაკუთრებით საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირთა არყოფნა საარჩევნო სიაში და სამოქალაქო პირთა რეგისტრირება სპეციალურ უბნებზე;
- კენჭისყრის უბნებზე ვიდეო გადაღების უკანონო შეზღუდვა;
- დამკვირვებლის უკანონოდ გამოძევება რამდენიმე უბნიდან;
- სხვა პროცედურული დარღვევები (ხარვეზით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები; ბიულეტენების და კონვერტების არასაკმარისი რაოდენობა; ლუქის ერთიანობის დარღვევა და სხვა).

საიას დამკვირვებლებმა კენჭისყრის დღეს დააფიქსირეს სულ 147 შენიშვნა/საჩივარი. აქედან:

- უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე **10** საჩივარი და **40** შენიშნვა;
- კენჭისყრის დაწყებიდან კენჭისყრის პროცესის დასრულებამდე **59** საჩივარი და **32** შენიშვნა;
- შედეგების შეჯამების პროცედურებთან დაკავშირებით – **6** საჩივარი.

უბნების გახსნისა და ხმის მიცემის დაწყების დროს დაფიქსირებული დარღვევები

უბნების გახსნისა და ხმის მიცემის დაწყების დროს რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა ბიულეტენების პაკეტის ლუქის მთლიანობის დარღვევა[66] და წილისყრის შემდეგ კომისიის წევრების მიერ ფუნქციების თვითნებურად გადანაწილება.[67]

დარღვევები ხმის მიცემის პროცესის განმავლობაში

ხმის მიცემის დროს საიას დამკვირვებლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა მედიის საქმიანობის შეზღუდვის, კანონის დარღვევით აგიტაციის წარმოების, წევრების მიერ უფლებამოსილების არასათანადოდ განხორციელების, ასევე, გადასატან ყუთთან დაკავშირებული პრობლემები. კონკრეტულად:

- არაერთ უბანზე დაფიქსირდა უკანონო აკრძალვები ვიდეო გადაღების დროს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგარეჯოს ოლქი. კომისიის წევრები ოპერატორებს მიუთითებდნენ, რომ გადაეღოთ მხოლოდ საარჩევნო ყუთი და არ აძლევდნენ მთლიანად კენჭისყრის უბნის გადაღების საშუალებას, რაც კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს;
- საგარეჯოში, იორმუღანლოში ხშირი იყო უბანზე აგიტაციის შემთხვევები, მათ შორის ბიულეტენის შემოხაზვა დემონსტრაციულად, რაზეც კომისიის მხრიდან არ ხდებოდა კანონით გათვალისწინებული რეაგირება. საგარეჯოს №45 უბანზე აგიტაციას ეწეოდა კომისიის თავმჯდომარე;
- საბურთალოს №28 უბანზე კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველმა, რომლის გასწვრივ სიაში იყო აღნიშვნა „იმყოფება საკონსულო აღრიცხვაზე“, რაც დარღვევას წარმოადგენდა;

[66] საჩხერის #73-ე და დიდუბის #1 საარჩევნო უბნები.

[67] საბურთალოს #3 საარჩევნო ოლქის #91-ე სპეციალური უბანი.

- მიღება-ჩაბარების აქტებზე რეკვიზიტების მითითების პრობლემა დაფიქსირდა წყალტუბოს №5 უბანსა და ისნის №7 უბანზე.

კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე

ზოგიერთ ოლქში საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პირები, რომლებიც აღრიცხავდნენ უბანზე მისულ ამომრჩეველს, რაც წარმოადგენდა არაპირდაპირ კონტროლს ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე, რის გამოც მათ ეზღუდებოდათ საკუთარი ნების თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობა.

საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებულნი იყვნენ პირები, რომლებიც აწარმოებენ მისული ამომრჩევლის აღრიცხვას. საიას, ცხელი ხაზის მეშვეობით, უკავშირდებოდნენ მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნული ფაქტის გამო შეშფოთებას გამოხატავდნენ. საიამ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, შეეწყვიტათ ამომრჩევლის ნების გამოვლენის ამგვარი კონტროლი და საშუალება მიეცათ მოქალაქეებისთვის, თავისუფლად დაეფიქსირებინათ საკუთარი არჩევანი.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საბურთალოს №3 ოლქის №69 უბნის და კრწანისის №4 ოლქის №31 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზება შეინიშნებოდა. ასევე, კრწანისის №4 საარჩევნო ოლქის მე-16, 29-ე და 31-ე უბნების წინ შეინიშნებოდა პოლიციის აქტიური კონცენტრირება. პოლიციის თანამშრომლები უბანზე გამოცხადებულ პირებს ეკითხებოდნენ ვინაობას და უბანზე გამოცხადების მიზეზს. პოლიციისა და საჯარო მოხელეების მობილიზება დუშეთის ოლქში №49 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზეც შეინიშნებოდა.

ამომრჩეველთა სიები

არჩევნების დღეს გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა ამომრჩეველთა სიებთან მიმართებით. არჩევნების დღეს საიას უკავშირდებოდა არაერთი ადამიანი და აღნიშნავდა, რომ მათი გვარები არ იძებნებოდა საარჩევნო სიაში.

იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლებს სიაში მათი სახელისა და გვარის გასწვრივ დახვდა ხელმოწერა. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა ბათუმში №23 და №58, საბურთალოს №21, გორის №63 საარჩევნო უბნებზე.

საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების დარღვევას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სპეციალურ უბნებზე არსებულ სიაში დარეგისტრირებულნი იყვნენ არა მხოლოდ სამხედრო ძალების წარმომადგენლები და თავისუფლებააღკვეთილი პირები, არამედ ამ დაწესებულებებში მომსახურე სამოქალაქო პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარულ არჩევნებში. აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა გორის №111 უბანსა და გლდანის სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში განთავსებულ №115 უბანზე.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არჩევნებამდე საკონსულო აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ, სარჩევნო უბნებზე არსებულ ამომრჩეველთა სიებში არ აღმოჩნდნენ, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია.

დამკვირვებელთა მუშაობისთვის ხელის შეშლის ფაქტები

დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა დაფიქსირდა დუშეთში №49 უბანზე და კასპის ოლქში №32 უბანზე; საიას დამკვირვებელი უკანონოდ გამოაძევეს მარნეულის №50 უბნიდან, როდესაც მან საჩივრის დაწერა გადაწყვიტა. მოგვიანებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჩარევის შედეგად, დამკვირვებელი დაუშვეს უბანზე; №116 სპეც-უბანსა და გლდანის №77 უბანზე საიას დამკვირვებლებს შეექმნათ შესვლის პრობლემა, რომელიც მოგვიანებით აღმოიფხვრა.

პროცედურული დარღვევები, რომლებსაც შეეძლო, შეექმნა გაყალბების რეალური საფრთხე

კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა მარკირებასთან დაკავშირებული ხარვეზები. კერძოდ, სითხე არამდგრადი იყო და საიას დამკვირვებლების მიერ გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ულტრაიისფერი დასხივებით, ხშირ შემთხვევაში, მარკირების კვალი არ ჩანდა.

მარკირების სითხესთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ტიპის პრობლემები:

- ულტრაიისფერი დასხივებით, რამდენჯერმე გადამოწმების მიუხედავად, სითხის კვალი არ ფიქსირდებოდა (მაგალითად, საბურთალოს №91 უბანი, კრწანისის №24 უბანი);
- სითხე იყო უხარისხო და მხოლოდ ძლიერი შენჯღრევის შემდეგ ტოვებდა კვალს (მაგალითად, ნაძალადევის №55 უბანი; ბათუმის №8 უბანი);
- სითხის კვალი არ ფიქსირდებოდა ფრჩხილის ლაქზე (მაგალითად, ქობულეთის №8 უბანი; ნაძალადევის №41 უბანი).
- დაფიქსირდა მარკირებაგავლილი პირების მიერ კენჭისყრაში მონაწილეობის ფაქტები (მაგალითად, საბურთალოს №58 საარჩევნო უბანი).

იმ უბნებზე, სადაც ხსენებული პრობლემა დაფიქსირდა, საიას დამკვირვებლები წერდნენ საჩივრებს და ითხოვდნენ კენჭისყრის პროცესის შეჩერებას, ვიდრე არ მოხდებოდა კომისიისთვის სათანადო ხარისხის სითხის მიწოდება. მიუხედავად რამდენიმე უბანზე საიას დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული საჩივრებისა, კენჭისყრა კვლავაც უხარისხო მარკირების სითხის გამოყენებით ან სულაც მარკირების გარეშე გრძელდებოდა.

ხმის დათვლის და შედეგების შეჯამების პროცედურების დარღვევები

გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა შემაჯამებელი ოქმების შევსებასთან დაკავშირებით. ძირითადად, ხარვეზები გამოიხატებოდა შეცდომების დაშვებაში შემაჯამებელი ოქმების შევსების დროს.

ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ ხმები ყველგან დათვლილი იყო, დილის 6-დან 9 სთ-მდე არ გადაჰქონდათ მონაცემები ოქმებში, ანუ ხელოვნურად აბრკოლებდნენ არჩევნების დღის პროცედურების დასრულებას. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარეები ელოდნენ ოლქიდან შესაბამის მითითებებს.[68]

ხაშურის №35 საარჩევნო ოლქის დაახლოებით 10 საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესი, მათ შორის, აღნიშნულ უბნებზე გამართული არჩევნების შედეგების შეჯამება მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა. კერძოდ, არაერთი მტკიცებულებით და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებებით დასტურდებოდა, რომ აღნიშნულ უბნებზე შედგენილი შემაჯამებელი ოქმების მონაცემები არ ასახავდა ამომრჩეველთა მიერ გამოხატულ ნებას, ანდა ხდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი ოქმების მონაცემების მოგვიანებით შეცვლა. ამასთან, ხაშურის ოლქის რამდენიმე უბანზე ადგილი ჰქონდა სპეციალური დანიშნულების რაზმების შეჭრას და კომისიის წევრების იძულებას, მათი მითითების მიხედვით მომხდარიყო არჩევნების შედეგების ასახვა შემაჯამებელ ოქმებში. შესაბამისად, დაფიქსირდა საარჩევნო კანონმდებლობის არაერთი უხეში დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოქალაქეთა მიერ გამოვლენილი ნების სათანადო ასახვაზე და არსებითად შეცვალა უბნებზე დაფიქსირებული შედეგები. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, რაც სათანადო შესწავლას საჭიროებდა შესაბამისი ორგანოების მხრიდან. საიამ ხაშურის №1, №2, №3, №5, №8, №9, №10, №19, №45, №46 და №26 საარჩევნო უბნების შედეგების ბათილობის საკითხი დააყენა საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუმცა, საჩივრები არ იქნა დაკმაყოფილებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საჩივრის განხილვის პროცესი მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევებით წარიმართა: კომისიის მიერ არ მომხდარა საქმეზე არსებული მტკიცებულებების სათანადო შესწავლა. საიამ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები ზემდგომ სასამართლოში გაასაჩივრა. ასევე, მიმართა მთავარ პროკურატურას, შეესწავლა ის შემთხვევები, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთებოდა.

7. არჩევნების შემდგომ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცედურების მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების დღის შემდგომი პროცედურების დაკვირვებას თბილისსა და 35 საოლქო საარჩევნო კომისიაში ახორციელებდა. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საია შესაბამისი საჩივრებით მიმართავდა საოლქო, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა თუ სასამართლოს.

საჩივრების წარდგენის დროს საიამ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა სამართალდარღვევის ჩამდენი საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხებზე, როგორც დარღვევათა შემდგომი პრევენციის ერთ-ერთ საშუალებაზე.

კენჭისყრის დღის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში სულ წარდგენილ იქნა 98 საჩივარი, ცესკოში – 7, სასამართლოში – 16 (საქალაქო/რაიონული – 12 და სააპელაციო – 4).

საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი 98 საჩივრიდან ორგანიზაცია ითხოვდა:

- **19 საჩივრით** – საუბნო საარჩევნო კომისიის **27** წევრისთვის **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის** შეფარდებას. საოლქო საარჩევნო კომისიებმა 7 საჩივარი დააკმაყოფილეს;
- **57 საჩივრით** – საარჩევნო კომისიის **98** წევრისთვის **დისციპლინური პასუხისმგებლობის** შეფარდებას (მათ შორის, **96** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი და **2** – საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე). საოლქო საარჩევნო კომისიებმა **29** საჩივარი დააკმაყოფილეს;
- **28 საჩივრით** – **41** საარჩევნო უბნის **კენჭისყრის შედეგების ბათილობას**. საოლქო საარჩევნო კომისიებმა **2** საჩივარი დააკმაყოფილეს;
- **19 საჩივრით** – 102 საარჩევნო უბნის **კენჭისყრის შედეგების გადათვლას**. საოლქო საარჩევნო კომისიებმა **1** საჩივარი დააკმაყოფილეს.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებები საიამ ცესკოსა და სასამართლოში გაასაჩივრა.

[68] ბათუმის #79 და ხაშურის #35 საარჩევნო ოლქები.

ცესკოში წარდგენილი 7 საჩივრიდან საია ითხოვდა:

- **5 საჩივრით** – 15 დამრღვევი კომისიის წევრისთვის **დისციპლინური პასუხისმგებლობის** შეფარდებას.
- **5 საჩივრით** – **7** საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების ბათილად ცნობას.
- **1 საჩივრით** – **2** საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების ბათილად ცნობას.
- **2 საჩივრით** – **5** დამრღვევი კომისიის წევრის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენას.

ცესკომ 7 საჩივრიდან 1 საჩივარი დააკმაყოფილა.

საქალაქო სასამართლოებში წარდგენილი 12 სარჩელიდან საია ითხოვდა:

- **2 სარჩელით** – **6** დამრღვევი კომისიის წევრისთვის **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის** შეფარდებას.
- **4 სარჩელით** – **15** საარჩევნო უბნის შედეგების ბათილობას.
- **2 სარჩელით** – **92** საარჩევნო უბნის შედეგების გადათვლას.
- **4 სარჩელით** – **9** დამრღვევი კომისიის წევრისთვის **დისციპლინური პასუხისმგებლობის** შეფარდებას.

საქალაქო/რაიონულმა სასამართლოებმა 12 სარჩელიდან 5 სარჩელი – ნაწილობრივ, 1 – სრულად დააკმაყოფილეს.

სააპელაციო სასამართლოში შესული 4 სარჩელიდან საია ითხოვდა:

- **2 საჩივრით – 4** საარჩევნო უბნის ბათილობას;
- **1 საჩივრით** – 4 დამრღვევი კომისიის წევრისთვის **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის** შეფარდებას;
- **1 საჩივრით –** პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებას და 5 უბნის შედეგების ხელახალ გადათვლას.

სააპელაციო სასამართლომ 2 საჩივარი დააკმაყოფილა.

საოლქო საარჩევნო კომისიებში საიას მიერ წარდგენილი საჩივრებიდან სულ კომისიის 51 წევრს შეეფარდა პასუხისმგებლობა. მათ შორის:

- შენიშვნა – კომისიის 19 წევრს;
- გაფრთხილება – კომისიის 15 წევრს;
- ხელფასის/ხელფასის ნაწილის დაკავება – კომისიის 10 წევრს;
- ჯარიმა – კომისიის 7 წევრს.

წარმოგიდგენთ საიას საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების მონიტორინგის ანგარიშს თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედვით:

– **მთაწმინდის №1 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებს მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ წარუდგენიათ.

– **ვაკის №2 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებს ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ წარუდგენიათ**.**

– **საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიაში 6 საჩივარი წარადგინეს.

საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისიის №91 საუბნო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებელმა ქეთი მამამთავრიშვილმა 3 საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. მათ შორის, ერთ-ერთი საჩივარი მარკირების პროცედურასთან დაკავშირებულ დარღვევებს შეეხებოდა. კერძოდ, მარკირების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მარკირების სითხე ხელის გაწმენდის შემდეგ არ აღინიშნებოდა. საჩივრით საიას დამკვირვებელმა მოითხოვა კენჭისყრის პროცესის შეჩერება და პრობლემის აღმოფხვრა, რაც არ დაკმაყოფილდა. საუბნო საარჩევნო კომისიის უმოქმედობა გასაჩივრდა საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც მოთხოვნილ იქნა: №91 და №80 საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ბათილობა და ორივე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დისციპლინური პასუხისმგებლობა.[69]

[69] №91 საარჩენო უბანი წარმოადგენდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას და იგი მიმაგრებული იყო №80 საუბნო საარჩენო კომისიაზე.

მეორე საჩივარი წარდგენილ იქნა ასევე №91 საუბნო საარჩევნო კომისიაში წილისყრით გამოვლენილი ფუნქციების კომისიის წევრებზე თვითნებურად გადანაწილებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „ზ" პუნქტების დარღვევას. საჩივრით მოთხოვნილ იქნა №91 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც არ დაკმაყოფილდა და, შესაბამისად, გასაჩივრდა საოლქო საარჩევნო კომისიაში. ამ უკანასკნელმა საჩივრები ასევე არ დააკმაყოფილა.[70] ვინაიდან გასაჩივრების პროცედურა იყო ბუნდოვანი, საჩივარი კომისიის წევრების მიერ წილისყრით გამოვლენილი ფუნქციების თვითნებურად გადანაწილებასთან დაკავშირებით წარდგენილ იქნა ცესკოში, ხოლო სარჩელით საიას იურისტებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს. ცესკომ, იმ მოტივით, რომ საკითხი უნდა გასაჩივრებულიყო სასამართლოში, საჩივარი განუხილველად დატოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით,[71] საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისიის 40/2012 განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი და საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა №91 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და კომისიის მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 8 ოქტომბრის განკარგულებით,[72] ქეთი მამამთავრიშვილის საჩივარი კვლავ არ დაკმაყოფილდა. რაც შეეხება საჩივარს მარკირების პროცედურასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საიას დამკვირვებლის საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.[73]

საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებლის კახა კოჟორიძის მიერ დაიწერა საჩივარი შემდეგ გარემოებასთან დაკავშირებით: №1 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დამკვირვებელს დაუდასტურა, რომ ჰქონდა რამდენიმე პირადობის მოწმობა, მათ შორის გარდაცვლილი ადამიანის პირადობის მოწმობა. ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან არსებობდა არჩევნების გაყალბების მაღალი ალბათობა, საიას დამკვირვებლის მიერ მოთხოვნილ იქნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახით, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ განიხილა.[74]

საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებლის სოფო ჯაფარიძის მიერ დაიწერა 2 საჩივარი. პირველი საჩივარი ეხებოდა საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისიის №28 საუბნო საარჩევნო კომისიაში მოქალაქე გვანცა ჭკუასელისათვის (რომელსაც ამომრჩეველთა ერთიან სიაში ჰქონდა მინაწერი „იმყოფება საკონსულო აღრიცხვაზე") ხმის მიცემის უფლების მინიჭებას. საჩივრით მოთხოვნილ იქნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვერა ირემაშვილის დისციპლინური პასუხისმგებლობა. საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნა დააკმაყოფილა და თავმჯდომარის მოადგილეს დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა — შენიშვნა.[75]

მეორე საჩივრით მოთხოვნილ იქნა საბურთალოს №3 საოლქო საარჩევნო კომისიის №87 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამომრჩეველმა, რომელიც იყო დევნილი, მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე განახორციელა კონსტიტუციური უფლება – ხმის მიცემა, რაც წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის დარღვევას. კერძოდ, აღნიშნული პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები პირადობის მოწმობასთან ერთად წარადგენენ დევნილის მოწმობას. საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით აღნიშნული საჩივარი დაკმაყოფილდა და კომისიის თავმჯდომარეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – შენიშვნა.[76]

– **კრწანისის №4 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 4 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა ლალი პეტრიაშვილმა 4 საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და მოითხოვა №11, №21, №23 და №27 საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება. აღნიშნულ უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა გადასატანი ყუთის თანმხლებ კომისიის წევრებს ბიულეტენების მთლიანი ბლოკნოტი გადასცეს, კერძოდ, 50 მაჟორიტარული და 50 პროპორციული ბიულეტენი, მაშინ როდესაც გადასატანი ყუთის სიაში რეგისტრირებული იყო გაცილებით ნაკლები ამომრჩეველი. აღნიშნულით დაირღვა საარჩევნო კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო

[70] საბურთალოს #3 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები #40/2012, #41/2012, #42/2012 და საბურთალოს #3 საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი #6.

[71] საქმე №3/4090-12 05.10.2012.

[72] საბურთალოს #3 საოლქო საარჩენო კომისიის განკარგულება #54/2012.

[73] განჩინება 08.10.2012 საქმე #3ბ/1287 -12.

[74] საბურთალოს #3 საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი #6.

[75] საბურთალოს #3 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება #51/2012.

[76] საბურთალოს #3 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება #52/2012.

ყუთის თანმხლებ საარჩევნო კომისიის წევრებს გადასცემს ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის ბიულეტენებს. საოლქო კომისიამ არ დააკმაყოფილა საიას დამკვირვებლის მიერ წარდგენილი საჩივრები. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება გასაჩივრდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ცესკომ განუხილველად დატოვა საჩივარი იმ მოტივით, რომ იგი უნდა გასაჩივრებულიყო სასამართლოში.

სარჩელი წარდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოშიც. სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ საუბნო კომისიის თავმჯდომარეები უფლებამოსილნი არიან, სუბიექტურად განსაზღვრონ გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისათვის გასატანებელი ბიულეტენების რაოდენობა.

– **ისნის №5 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 2 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა ნიკა გაბლიშვილმა საჩივარი წარადგინა №29 საუბნო საარჩევნო კომისიაში. საჩივრის საფუძველი გახდა კომისიის თავმჯდომარის მიერ, ხმის დათვლის პროცესის მიმდინარეობისას, 143 პროპორციული და მაჟორიტარული ბიულეტენის უკანონოდ ბათილად ცნობა. ვინაიდან საარჩევნო ბიულეტენებზე შემოხაზული იყო მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტი, ხოლო სხვა ყველა სუბიექტი იყო გადახაზული, თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ ბიულეტენებზე არ იყო გამოვლენილი ამომრჩევლის ნება და ერთპიროვნულად მიიღო მათი ბათილად ცნობის გადაწყვეტილება. მას შემდეგ, რაც თავმჯდომარის ქმედებას კომისიის დანარჩენი წევრებისა და დამკვირვებლების მხრიდან პროტესტი მოჰყვა, მან ფორმალურად ჩაატარა კენჭისყრა. საიას დამკვირვებელმა სადავო ბიულეტენების ნამდვილად მიჩნევა და თავმჯდომარის პასუხისმგებლობა მოითხოვა. უბანზე საჩივარი არ ჩაიბარეს. საჩივარი ასევე წარდგენილ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიაში. საიას დამკვირვებელმა №29 უბნის შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, ბიულეტენების ხელახლა გადათვლა, კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო №29 უბანზე ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების შემოწმების გადაწყვეტილება, რის შედეგადაც საოლქო საარჩევნო კომისიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ მაჟორიტარულ და პროპორციულ ოქმებში. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეიცვალა სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობები. საოლქო საარჩევნო კომისიამ პასუხისმგებლობის ზომა არ გამოიყენა.

საიას დამკვირვებელმა ბექა დოჭვირმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №77 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა. კომისიის თავმჯდომარემ დილით, 07 საათსა და 30 წუთზე, საარჩევნო უბანზე გამოცხადებული საიას დამკვირვებელი თამარ ცხადაძე საარჩევნო უბანზე არ შეუშვა და არ მისცა უფლება, დამკვირვებლისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება განეხორციელებინა. თავმჯდომარის განცხადებით, დამკვირვებლები უბანზე დილის 7 საათზე უნდა გამოცხადებულიყვნენ. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, №77 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად **გაფრთხილება** გამოეცხადა.[77]

– **სამგორის №6 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 2 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა ლელა გვიშიანმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №120 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა. №120 უბანზე[78] სპეციალური კონვერტები, ნაცვლად 576-ისა, იყო 600 ერთეული, რითაც დაირღვა საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის მე-8 ნაწილი. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საიას დამკვირვებელმა ქეთევან ქაჩლიშვილმა საჩივრით მიმართა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიას, ვინაიდან №21 საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში მაჟორიტარული წესით გაცემული ბიულეტენების საერთო ჯამი 32-ით ნაკლები აღმოჩნდა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო ოდენობაზე. საიას დამკვირვებელმა საეჭვოდ მიიჩნია მაჟორიტარული ბიულეტენების დათვლის პროცედურის მართებულობა და მაჟორიტარული წესით გაცემული ბიულეტენების ხელახლა გადათვლა მოითხოვა. საოლქო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა. კომისიამ მიიჩნია, რომ მაჟორიტარულ ოქმში არსებული მონაცემები არ წარმოადგენდა მონაცემების სისწორის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს, რადგან სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ჯამი შეიძლება ნაკლები ან ტოლი ყოფილიყო ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაზე, თანახმად, ცესკოს 2012 წლის 3 აგვისტოს №31 დადგენილებით დამტკიცებული „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციისა.“ კომისიამ ჩათვალა, რომ ბიულეტენების დათვლის დროს მიღებულ ოდენობასა და არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო ოდენობას შორის სხვაობა გამოწვეული იყო მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში ბათილი ბიულეტენების მიუთითებლობის გამო. ამიტომ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ხელახლა დაეთვალა საარჩევნო უბნის მაჟორიტარული არჩევნების ბათილი ბიულეტენების

[77] ისნის №5 საოლქო საარჩევნო კომისიის №019/2012 განკარგულება.

[78] გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი უბანი.

რაოდენობა. დათვლის შედეგად, ბათილი ბიულეტენების ოდენობამ შეადგინა 26. საუბნო კომისიის შემაჯამებელ ოქმში ბათილი ბიულეტენების გრაფაში მოხდა შესაბამისი შესწორების შეტანა.

- **ჩუღურეთის №7 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 5 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა ასმათ ჯანგულაშვილმა 2 საჩივარი წარადგინა №18 საუბნო საარჩევნო კომისიაში. მოქალაქეს, რომელიც იყო იძულებით გადაადგილებული პირი, არ ჰქონდა დევნილის მოწმობა და მაინც მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასევე, მოქალაქეს, რომელსაც პირადობის მოწმობა ჰქონდა მისამართის მითითების გარეშე, მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. პირველი საჩივრით საიას დამკვირვებელმა რეგისტრატორისა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა, მეორე საჩივრით კი – მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა. საუბნო საარჩევნო კომისიამ არც ერთ საჩივარზე რეაგირება არ მოახდინა. საიას დამკვირვებელმა ასმათ ჯანგულაშვილმა ორივე შემთხვევაში საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ არც ერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა. კომისიამ მიიჩნია, რომ უმისამართო პირადობის მოწმობის მქონე პირი სამაგიდო სიებში იმყოფებოდა და, ცესკოს დადგენილების თანახმად, მას მისამართის გარეშეც შეეძლო ხმის მიცემა. საიას დამკვირვებელმა ასმათ ჯანგულაშვილმა საჩივარი წარადგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. დამკვირვებელმა ჩუღურეთის №7 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების ბათილობა და №18 საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისა და უბნის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საიას დამკვირვებლის საჩივარი განუხილველად დატოვეს, რადგან ცესკომ მიიჩნია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის წევრისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე უნდა გასაჩივრებულიყო სასამართლოში.

სასამართლოში წარდგენილი საჩივრები – საიას დამკვირვებელმა ასმათ ჯანგულაშვილმა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაავალა, თავიდან ემსჯელა №18 საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისა და უბნის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორს და კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – **გაფრთხილება** შეუფარდა.

საიას დამკვირვებლებმა მაია ხუციშვილმა, მარიამ ბოჭორიშვილმა და მარიამ გოგოსაშვილმა 3 საჩივარი წარადგინეს **№43, №14, №15, №39, №44, №30 და №23 საუბნო საარჩევნო კომისიებში**, ვინაიდან აღნიშნულ უბნებზე მიღება-ჩაბარების აქტებში არ იყო დაფიქსირებული სპეციალური კონვერტების რაოდენობა, რითაც დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 63-ე მუხლის მოთხოვნები. შესაბამისად, საიას დამკვირვებლებმა აღნიშნული უბნებისა და ოლქის კომისიის თავმჯდომარეებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვეს. საჩივრებს რეაგირება არ მოჰყოლია. იმავე მოთხოვნით საჩივრები წარდგენილ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო. საიას დამკვირვებელმა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრეს. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოთხოვნა ასევე არ დააკმაყოფილა. კომისიამ მიიჩნია, რომ ოლქის განკარგულება უნდა გასაჩივრებულიყო პირდაპირ სასამართლოში.

- **დიდუბის №8 საოლქო საარჩევნო კომისია**

დიდუბის №8 საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებლების მიერ დაიწერა 3 საჩივარი.

№1 საუბნო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებლის გიორგი აფრიაშვილის მიერ დაიწერა 2 საჩივარი, რომლებიც შეეხებოდა საარჩევნო ბიულეტენების პაკეტის ლუქის მთლიანობის დარღვევასა და სპეც-სიაში არსებული ამომრჩევლის, როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობას. **პირველ შემთხვევაში დაირღვა საარჩევნო კოდექსის** 61-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 63-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელთა მიხედვით, ბიულეტენების დათვლის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენები კვლავ ილუქება და მხარეები აღნიშნულს ხელმოწერით ადასტურებენ. **მეორე შემთხვევაში** აღნიშნულ უბანზე სპეც-სიაში არსებულ ამომრჩეველს გადასცეს ორი ბიულეტენი, როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული, რაც წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას, რომლის მიხედვით, სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლის ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქში. საუბნო საარჩევნო კომისიის უმოქმედობა გასაჩივრდა საოლქო საარჩევნო კომისიაში. საჩივრით მოთხოვნილ იქნა შესაბამისი კომისიის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება. საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ ვინაიდან ამომრჩევლისათვის 2 სახის ბიულეტენის გადაცემა განხორციელდა ისე, რომ არ იყო განსაზღვრული ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი, საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ოლქმა ასევე არ დააკმაყოფილა №1 საარჩევნო უბანზე გიორგი აფრიაშვილის საჩივარი ბიულეტენების დაულუქავ კონვერტთან დაკავშირებით.

საიას დამკვირვებელმა თამთა მიქელაძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №28 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა, ვინაიდან დევნილ ამომრჩეველს მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე მიაღებინეს არჩევნებში მონაწილეობა, რითაც დაირღვა საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, აღნიშნული პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები პირადობის მოწმობასთან ერთად წარადგენენ დევნილის მოწმობას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელდა. საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 სექტემბრის №41/2012 დადგენილების შესაბამისად, ამომრჩეველი მონაწილეობს არჩევნებში, თუ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ პირად ნომერთან ერთად, სრულად ემთხვევა ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეტანილ მონაცემთაგან 3 მაინც: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.[79] კომისიამ განმარტა, რომ დარღვევას არ შეეძლო, ზეგავლენა მოეხდინა არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებაზე და ამომრჩეველთა მიერ ნების გამოვლენაზე.[80] საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლო გადაწყვეტილებით, საიას დამკვირვებლების საჩივარი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი დიდუბის №8 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასება და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. შედეგად, დიდუბის №8 საოლქო საარჩევნო კომისიამ №28 და №1 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს, ასევე, №1 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გამოუცხადა შენიშვნა.[81]

– **ნაძალადევის №9 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 1 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა ქეთევან კრაწაშვილმა საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი წარადგინა №42 საარჩევნო უბნიდან მისი უკანონოდ გამოძევების გამო და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ყუთის ზედამხედველისა და გაძევების აქტის მხარდამჭერი კომისიის ყველა წევრის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტის შედგენა მოითხოვა, თანახმად საარჩევნო კოდექსის 91-ე მუხლისა. საიას დამკვირვებელმა, რომელიც მობილური ჯგუფის წევრი იყო, უბანზე მისვლისას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წინაშე რამდენიმე შენიშვნა დააფიქსირა. კომისიის წევრების გაღიზიანების მიუხედავად, შენიშვნები გაითვალისწინეს, თუმცა, საიას დამკვირვებელს საარჩევნო უბანი იძულების წესით დაატოვებინეს. მაგალითად, მას უარი უთხრეს სპეციალური კონვერტებისა და ბიულეტენების მიღება-ჩაბარების აქტების ასლების გადაცემაზე; მხოლოდ დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ შეავსეს სადემონსტრაციო ოქმებში მიღებული ბიულეტენების მონაცემები; ერთ-ერთმა რეგისტრატორმა დარღვევით წარმოებული მარკირების პროცედურა საიას დამკვირვებლის შენიშვნის საფუძველზე გამოასწორა; შენიშვნა შეეხო საარჩევნო ყუთზე დაფარებულ დოკუმენტებსაც, რასაც ყუთის ზედამხედველი კომისიის წევრის გაღიზიანება მოჰყვა. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უარი განაცხადა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე. გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული.

საიას დამკვირვებელმა ლინა ღვინიანიძემ საჩივარი წარადგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ნაძალადევის №9 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გრიგოლ გოგუას მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. დამკვირვებელმა მიიჩნია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას, რაც, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 78-ე და 79-ე მუხლების თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდა. საიას დამკვირვებელმა დაინახა, როგორ გააკეთა ჩანაწერი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ №92 საუბნო საარჩევნო კომისიის შესწორების ოქმში, რაც დამკვირვებელმა ადგილზევე შენიშვნის სახით დააფიქსირა. ოლქის თავმჯდომარის მიერ №92 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმის შესწორების ფაქტს ესწრებოდნენ ნაძალადევის №92 საარჩევნო უბნის კომისიის წევრებიც. ამასთან, ნაძალადევის №92 საარჩევნო უბნის პროპორციული კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი, რომელიც მოგვიანებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე განთავსდა, შეიცავდა არა ერთ, არამედ ორ შესწორებას. აღნიშნული კი ადასტურებდა, რომ მეორე შესწორება გაკეთებული იყო მოგვიანებით და პროცედურების დარღვევით. ეს მაშინ, როდესაც კომისიის წევრებისათვის გადაცემული იურიდიული ძალის მქონე შემაჯამებელი ოქმებით, რომლის ასლებიც საიასაც გადმოეცა, დასტურდებოდა, რომ აღნიშნულ უბანზე პროპორციული კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი შეიცავდა მხოლოდ ერთ შესწორებას №24 პუნქტთან დაკავშირებით. აღნიშნულის დადასტურება შეეძლოთ ასევე №92 საარჩევნო კომისიის წევრებს ნაზიკო შიუკაშვილს და შორენა ფურცელაძესაც. აღსანიშნავია, რომ ნაძალადევის №9 საოლქო საარჩევნო კომისიას ამის თაობაზე არ უმსჯელია. ცესკომ საიას დამკვირვებლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება ეყრდნობოდა გარემოებებს, რომლებიც ცესკოს მხრიდან სათანადო წესით შესწავლილი და გამოკვლეული არ ყოფილა. საიას მიერ დასახელებული მოწმეები ცესკოს სხდომაზე არ დაუბარებიათ.

[79] #8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება #27/2012.

[80] #8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები #25/2012 და #26/2012.

[81] #8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები #29/2012, 30/2012 და 31/2012.

სასამართლოში წარდგენილი საჩივრები – ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც საიას სარჩელი არ დააკმაყოფილა. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი მოსარჩელის მიერ წამოჭრილი მტკიცებების დასასაბუთებლად. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა მოწმეთა ჩვენება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა მოგვიანებით, თუმცა, არა ოლქში, არამედ უბანზე, კომისიის არასრული შემადგენლობის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მოწმეთა ჩვენებები შეიცავდა არსებით წინააღმდეგობებს, სასამართლომ ისინი ერთგვაროვნად მიიჩნია და არ დაადგინა ოლქის თავმჯდომარის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. ამასთან, მოსარჩელის მიერ დაყენებული შუამდგომლობა, მოწმის სახით დაკითხულიყო №92 საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი, სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

– **გლდანის №10 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა სულ 3 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა მაკა ბილანიშვილმა საჩივარი წარადგინა გლდანის №10 ოლქის №41 უბანზე. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ კომისიის ერთ-ერთ წევრს - გოჩა ბოხაშვილს, რომელიც შეყვანილი იყო სპეციალურ სიაში, არ მისცემია მაჟორიტარული წესით ხმის მიცემის შესაძლებლობა. საჩივრის ავტორის მოთხოვნას წარმოადგენდა გოჩა ბოხაშვილისთვის აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა და შემდგომში მსგავსი დარღვევების აღკვეთა. საოლქო საარჩევნო კომისიამ ყურადღება გაამახვილა რეგისტრატორის განმარტებაზე, რომლის თანახმად, ამომრჩეველი რეგისტრირებული იყო სხვა საარჩევნო ოლქში. საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა საჩივარი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით.

საიას დამკვირვებელმა ანა ვაჩეიშვილმა საჩივრით მიმართა გლდანის №10 ოლქს და №7 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ ამომრჩევლის გვარის გასწვრივ ამომრჩევლის ხელმოწერის გამორჩენა გაასაჩივრა. მოთხოვნილ იქნა კანონით გათვალისწინებული რეაგირება. საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა საჩივარი, რის საფუძვლადაც მიუთითა, რომ რეგისტრატორის მიერ შედგენილ იქნა ახსნა-განმარტების ბარათი, სადაც თავად რეგისტრატორი უთითებდა, რომ გაუფრთხილებლობით გამორჩენილი ჰქონდა ერთი ამომრჩევლის ხელმოწერა, შესაბამისად, არ არსებობდა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

საიას დამკვირვებელმა ლიკა წიკლაურმა საჩივარი წარადგინა გლდანის №10 ოლქის №115 სპეც-უბანზე იმასთან დაკავშირებით, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილი იყვნენ გლდანის №8 საპყრობილის თანამშრომლები (კანცელარიის მუშაკები, დამლაგებლები და ა.შ.) და მონაწილეობდნენ როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარულ არჩევნებში. ხსენებული პირები ვერ აკმაყოფილებდნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს და, შესაბამისად, არ გააჩნდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. აღნიშნულის დასადასტურებლად საჩივარში მიეთითა მოწმეთა მონაცემები, რომელთაგან ერთმა ამოიცნო №8 საპყრობილის დამლაგებელი, რომელსაც მისცეს როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით არჩევნებში მონაწილეობისთვის განკუთვნილი ბიულეტენი. საჩივრის თანახმად, №115 საარჩევნო უბანზე, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული წესით ხმის მიცემა განახორციელა მზია კაკალაშვილმა, რომელიც რეგისტრირებული იყო სხვა საარჩევნო ოლქში. აღნიშნულმა ქალბატონმა მოწმის თანდასწრებით დამკვირვებელს განუცხადა, რომ არ იყო სამხედრო მოსამსახურე და მუშაობდა კადრების განყოფილებაში, კანცელარიაში. საიას დამკვირვებელმა მოითხოვა იმ პირთათვის მაჟორიტარული წესით არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ საარჩევნო კოდექსის 31.5 „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ასევე – №115 სპეც-უბნის მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების ბათილობა. დაწერილ იქნა ანალოგიური შინაარსის საჩივარი გლდანის საარჩევნო ოლქში. საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოთხოვნილ იქნა: 1) ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის მიერ ცესკოსთვის გადაცემული გლდანის №10 საოლქო საარჩევნო კომისიის №115 სპეციალური უბნის ერთიანი სიის ბათილობა იმ ნაწილში, რომელშიც შეყვანილ იქნენ პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს; 2) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების და გლდანის №10 ოლქის №115 სპეციალური უბნის მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რის საფუძვლადაც მიუთითა, რომ ამომრჩეველთა სიებში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს არა სიის ბათილად ცნობას, არამედ ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის პროცედურებს, რომელიც შეზღუდულია ვადებში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ №115 საარჩევნო უბნის სიის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მიიჩნია უსაფუძვლოდ. ასევე, სასამართლომ გამოითხოვა მზია კაკალაშვილის თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმად, აღნიშნული პიროვნება იყო მაიორი. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი მტკიცებულებების, მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, ვერ დადასტურდა ის გარემოება, რომ №115 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობდა კანონდარღვევით და არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

– **საგარეჯოს №11 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 8 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებლის მერაბ ჩიქოვანის მიერ №45 უბანზე 2 საჩივარი დაიწერა. პირველი საჩივარი შეეხებოდა საარჩევნო უბნის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის მიმდინარეობის დროს აგიტაციის გაწევის ფაქტს და მოთხოვნილ იქნა კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა. კომისიის თავმჯდომარემ ამომრჩეველს და მის დასახმარებლად კაბინაში შესულ პირს აზერბაიჯანულ ენაზე უთხრა, შემოეხაზათ „ბეში." აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ უბანზე მყოფი ამომრჩევლები და დამკვირვებლები. საგარეჯოს №11 საარჩევნო ოლქის კომისიის გადაწყვეტილებით, №45 საარჩევნო უბნის თავმჯდომარის ელდარ ჯალილოვის მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და საქმის მასალები გადაეგზავნა სასამართლოს. მეორე საჩივრით საიას დამკვირვებელმა მერაბ ჩიქოვანმა, №45 უბანზე სისტემატური აგიტაციის გამო, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა და ზემო ლამბალოს საარჩევნო უბნის ბათილად ცნობა მოითხოვა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თავისი უმოქმედობით ხელს უწყობდა სისტემატურ აგიტაციას, რის გამოც დამკვირვებლის მიერ ჩანაწერთა წიგნში გაკეთდა შენიშვნაც, მაგრამ უშედეგოდ. საგარეჯოს №11 საოლქო საარჩევნო კომისიამ ბათილად არ ცნო №45 უბნის კენჭისყრის შედეგები.

საიას დამკვირვებელმა ბორის მაჭარაშვილმა №49 საარჩევნო უბნის ბათილად ცნობა და საარჩევნო უბნის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა, ვინაიდან კენჭისყრის მაჟორიტარულ შემაჯამებელი ოქმი შეტანილ იქნა ცვლილება, რის თაობაზეც არ იქნა შედგენილი შესწორების ოქმი. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საჩივარი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩათვალა, რომ შემაჯამებელ ოქმში დაშვებული შეცდომა იყო ტექნიკური ხასიათის, რაც აღმოიფხვრა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. კომისიის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტი გავლენას ვერ მოახდენდა კენჭისყრის შედეგების კანონიერი შედეგის დადგენაზე.

სასამართლოში წარდგენილი საჩივრები: საიამ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება გაასაჩივრა საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში. მოთხოვნას წარმოადგენდა საგარეჯოს №11 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების ბათილობა და დამრღვევი პირების მიმართ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება. საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ბათილად იქნა ცნობილი №11 საარჩევნო ოლქის კომისიის №35/2012 განკარგულება; ბათილად იქნა ცნობილი №11 საარჩევნო ოლქის კომისიის №49 საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და №11 საარჩევნო ოლქის კომისიას დაევალა №49 საუბნო კომისიის შედეგების გადათვლა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება. სასამართლომ №11 საარჩევნო ოლქის კომისიას დაავალა №49 კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის მიმართ, საარჩევნო კოდექსის 87-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ფაქტზე, სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. საოლქო საარჩევნო კომისიის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, №49 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა და საქმის მასალები სასამართლოს გადაეგზავნა.

– **ლაგოდეხის №15 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში **9** საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა ალექსი ტუსნიაშვილმა 3 საჩივარი წარადგინა №13 ჭიაურის საარჩევნო უბნის მაჟორიტარულ და პროპორციულ შემაჯამებელ ოქმებში, №19 კაბალის საარჩევნო უბნის პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში და №35 განჯალის საარჩევნო უბნის პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორების გამო, ვინაიდან შემაჯამებელ ოქმებს არ ახლდა შესწორების ოქმები. საიას დამკვირვებელმა №13, №35, №19 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობა, ბიულეტენების ხელახლა დათვლა, კომისიის თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა, თანახმად, საარჩევნო კოდექსის 87-ე მუხლისა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი №13 და №35 საარჩევნო უბნებთან დაკავშირებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა: კომისიამ ორივე უბანთან დაკავშირებით უარი თქვა ოქმების ბათილად ცნობისა და ბიულეტენების გადათვლის მოთხოვნაზე. კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინა და საქმის მასალები სასამართლოში გადააგზავნა, ხოლო უბნის თავმჯდომარეებისათვის პასუხისმგებლობა არ დაუდგენია. საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. რაც შეეხება №19 საარჩევნო უბანს, საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის მოტივით და არ შეადგინა სამართალდარღვევათა ოქმი არც მდივნის და არც თავმჯდომარის მიმართ.

საიას დამკვირვებელმა ალექსი ტუსნიაშვილმა საჩივარი წარადგინა №22 ყარაჯალის საარჩევნო უბანთან დაკავშირებით, ვინაიდან პროპორციულ შემაჯამებელ ოქმზე დართული შესწორების ოქმში სუბიექტების მიერ მიღებული ხმების და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ჯამი ნაკლები აღმოჩნდა ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო რაოდენობაზე. საიამ შემაჯამებელი ოქმისა და მასზე დართული შესწორების ოქმის ბათილობა და ბიულეტენების ხელახლა გადათვლა მოითხოვა. საჩივრის პასუხად, საოლქო კომისიამ განმარტა, რომ 2012 წლის 3 ოქტომბერს საარჩევნო კომისიის სხდომაზე განიხილეს ამავე უბანზე არსებულ დარღვევებზე წარდგენილი ანალოგიური საჩივარი, რაც დაკმაყოფილდა კომისიის მიერ, რის შედეგად, №22 ყარაჯალის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხელფასის 25% და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს ხელფასის 15% დაუკავდა.[82]

[82] ლაგოდეხის №15 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 ოქტომბრის №18 და №19 განკარგულებები.

საიას დამკვირვებელმა ალექსი ტუსნიაშვილმა საჩივარი წარადგინა №4 მაწიმის საარჩევნო უბანთან დაკავშირებით, ვინაიდან მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ჯამი 21 ერთეულით ნაკლები აღმოჩნდა ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე. მოთხოვნილ იქნა მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა, ბიულეტენების ხელახლა დათვლა და კომისიის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საიას დამკვირვებელმა ციალა უთიაშვილმა საჩივარი წარადგინა №26 ჭაბუკიანის საარჩევნო უბნის მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორების გამო, ვინაიდან ოქმს არ ახლდა შესწორების ოქმი. საიამ კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ ოქმში გადასწორება არ დასტურდებოდა.

საიას დამკვირვებელმა ციალა უთიაშვილმა საჩივარი წარადგინა №20 განჯალის საარჩევნო უბნის მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორების გამო. ოქმს არ ახლდა შესწორების ოქმი. საიამ კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა მოითხოვა. ოქმში გადასწორებული იყო კომისიის ერთ-ერთი წევრის ზ.ველიევის გვარი. საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ გვარის შესწორებაზე შემაჯამებელი ოქმი არ დგება.

საიას დამკვირვებელმა ციალა უთიაშვილმა საჩივარი წარადგინა №21 უზუნთალის საარჩევნო უბნის პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორების გამო და კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საიას დამკვირვებელმა ციალა უთიაშვილმა №7 გურგენიანის საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმში კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერის არარსებობის გამო საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი წარადგინა და კომისიის მდივნისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიღებული საჩივარი დააკმაყოფილა.

საიას დამკვირვებელმა ციალა უთიაშვილმა საჩივარი წარადგინა №14 კართუბნის საარჩევნო უბნის პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორების გამო. შემაჯამებელ ოქმს არ ახლდა შესწორების ოქმი. საიას დამკვირვებელმა საარჩევნო უბნის პროპორციული შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა, ბიულეტენების ხელახლა დათვლა, კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისათვის ჯარიმის დაკისრება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს №16 ბაისუბნის საარჩევნო უბანთან დაკავშირებით. საიას დამკვირვებელმა ალექსი ტუსნიაშვილმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში, ვინაიდან უბნის მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ჯამი 19 ერთეულით ნაკლები აღმოჩნდა ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე. საიამ შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა, ბიულეტენების ხელახლა დათვლა და კომისიის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საიას საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დაკმაყოფილდა. საიას დამკვირვებელმა ციალა უთიაშვილმა მეორე საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში, შემაჯამებელ ოქმებში ოქმის შედგენის თარიღისა და დროის არარსებობის გამო და კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ მეორე საჩივარში დაყენებული მოთხოვნა დააკმაყოფილა. თავმჯდომარეს და მდივანს გამოეცხადა გაფრთხილება.

საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს №24 გიორგეთის საარჩევნო უბანთან დაკავშირებით. პირველი საჩივრით საიას დამკვირვებელმა ალექსი ტუსნიაშვილმა საჩივარი პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორების გამო წარადგინა. ოქმს არ ახლდა შესწორების ოქმი. საიას დამკვირვებელმა №24 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა, ბიულეტენების ხელახლა დათვლა, კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. საოლქო კომისიამ არ დააკმაყოფილა ოქმის ბათილად ცნობისა და ბიულეტენების გადათვლის მოთხოვნა. კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინა და საქმის მასალები სასამართლოში გადააგზავნა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პასუხისმგებლობა არ დააკისრა. **საიას დამკვირვებელმა ციალა უთიაშვილმა №24 გიორგეთის საარჩევნო უბნის** შემაჯამებელ ოქმში მისი შედგენის თარიღისა და დროის არარსებობის გამო მეორე საჩივარი წარადგინა და კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. №24 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით დაეკისრა გაფრთხილება.

სასამართლოში წარდგენილი საჩივრები: საიას დამკვირვებლებმა ოლქის გადაწყვეტილებები გაასაჩივრეს გურჯაანის რაიონულ სასამართლოში. მოთხოვნას წარმოადგენდა №15 ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის ოქტომბერს მიღებული №24 №25 №26 №27 და №28 განკარგულებების ბათილად ცნობა; №13, №14, №19, №24, №35 უბნების შემაჯამებელი ოქმების ბათილობა და ბიულეტენების ხელახლა გადათვლა; №14 და №19 უბნების კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისათვის ჯარიმის დაკისრება. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ საიას სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო. საიამ გურჯაანის რაიონული

სასამართლოს განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება, №13, №14, №19, №24, №35 უბნების შემაჯამებელი ოქმების გაბათილება და ბიულეტენების ხელახლა დათვლა, ასევე №14 და №19 უბნების კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისათვის ჯარიმის დაკისრება მოითხოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

– **თელავის №17 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 5 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა მარეხ მგალობლიშვილმა 2 საჩივარი წარადგინა №5 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის და №17 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის გადასწორების გამო. საიას დამკვირვებელმა ორივე უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის პასუხისმგებლობა მოითხოვა.

თელავის №17 საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საიას მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი თქვა შემაჯამებელი ოქმის ბათილობის და ბიულეტენების ხელახლა დათვლის მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვინაიდან შემაჯამებელ ოქმს თან არ ერთვოდა შესწორების ოქმი. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებით საიას დამკვირვებლის მოთხოვნა თავმჯდომარის ან/და მდივნის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა: საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, №5 საარჩევნო კომისიის მდივნის და №17 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, თანახმად საარჩევნო კოდექსის 87-ე მუხლისა და საქმის მასალები სასამართლოს გადაეგზავნა.

საიას დამკვირვებელმა მარეხ მგალობლიშვილმა საჩივარი წარადგინა №11 საარჩევნო უბანზე, ვინაიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა და ბათილად მიჩნეული ბიულეტენების რაოდენობის ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა. საიამ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №11 უბნის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და მიიღო გადაწყვეტილება შესწორების ოქმების შედგენის თაობაზე. შესწორების ოქმები შედგენილი იქნა თავად საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. საქმეს თან ერთვის საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრის ახსნა-განმარტება.

საიას დამკვირვებელმა მარეხ მგალობლიშვილმა №16 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებით საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა და ბათილად მიჩნეული ბიულეტენების რაოდენობის ჯამი მეტი აღმოჩნდა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე, ხოლო მაჟორიტარულ ოქმში საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა და ბათილად მიჩნეული ბიულეტენების რაოდენობის ჯამი ნაკლები აღმოჩნდა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო რაოდენობაზე. საიამ №16 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების ბათილობა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შესწორების ოქმების შედგენის თაობაზე. საქმეს თან ერთვის საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრის ახსნა-განმარტება.

საიას დამკვირვებელმა მარეხ მგალობლიშვილმა საჩივარი წარადგინა №25 უბანთან დაკავშირებით, ვინაიდან ოქმებში არ იქნა მითითებული სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა და მიღებული ბიულეტენების რაოდენობის ციფრობრივი მონაცემები. ასევე, საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემული ხმები და ბათილად მიჩნეული ბიულეტენების რაოდენობის ჯამი 13-ით ნაკლები იყო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო რაოდენობაზე. საიამ შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, ბიულეტენების ხელახლა დათვლა და კომისიის წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საიას საჩივარი. არ დაკმაყოფილდა ოქმის ბათილობის და ბიულეტენების ხელახლა დათვლის მოთხოვნა, თუმცა, საჩივარი დაკმაყოფილდა კომისიის წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში: საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს მიეცათ შენიშვნა.

– **რუსთავის №20 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებს საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ წარუდგენიათ.

– **გარდაბნის №21 საოლქო საარჩევნო კომისია**

გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებლებმა სულ 1 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა გვანცა საკანელაშვილმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №25 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოითხოვა. საიას დამკვირვებლის მითითებაზე, ხელახლა დაელუქათ გადასატანი ყუთი, ვინაიდან ლუქი აქერცლილი იყო, საარჩევნო უბნის თავმჯდომარე გაბრაზდა,

ჩხუბი დაუწყო საიას წარმომადგენელს და ძირს დაანარცხა გადასატანი ყუთი, რის შედეგადაც ყუთს ბზარი გაუჩნდა. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, №25 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გულშანდა ნეიმატოვას დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით შეეფარდა ხელფასის დაკავება 5%-ის ოდენობით.[83]

– **მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 4 საჩივარი

საიას დამკვირვებელმა ქეთი კაკაშვილმა №50 საარჩევნო უბანთან დაკავშირებით 2 საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. პირველი საჩივრით საიას დამკვირვებელმა №50 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა, ვინაიდან №50 საარჩევნო უბანზე წილისყრა არ ჩატარდა კანონით დადგენილი წესით და ფუნქციები თავმჯდომარის ნება-სურვილის შესაბამისად გადანაწილდა, აგრეთვე, კომისიამ მიიღო 222-ით ნაკლები ბიულეტენი, ვიდრე საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა იყო. გარდა ამისა, №50 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა შემოსვლა და ხმის მიცემა მიმდინარეობდა მარკირების გარეშე, რაზეც საიას დამკვირვებელმა მეორე საჩივარი წარადგინა და საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი №50 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები.[84] საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა საარჩევნო სუბიექტმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ბათილად ცნო მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება და საოლქო საარჩევნო კომისიას №50 საარჩევნო უბანში საარჩევნო ბიულეტენების დათვლის სიზუსტის შემოწმება (გადათვლა) დაავალა.

საიას დამკვირვებელმა ლაშა პარასტაშვილმა 2 საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №50 საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. №50 საარჩევნო უბანზე შემაჯამებელი ოქმები შედგენილ იქნა შეცდომით, კონკრეტულად კი, ოქმების მე-4 პუნქტში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის გრაფაში შეცდომით მითითებული იყო ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა – 1422. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი №50 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები. ასევე, კომისიის თავმჯდომარეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – 10 დღის ხელფასის დაქვითვის სახით. **საიას დამკვირვებელმა ლაშა პარასტაშვილმა მეორე საჩივრით** №50 საუბნო საარჩევნო კომისიის ბიულეტენების გადათვლისას მრავალგზის გამოვლენილი დარღვევის გამო №22 მარნეულის საარჩევნო ოლქში შემავალი ყველა უბნის კენჭისყრის შედეგების ხელახალი გადასინჯვა მოითხოვა. საუბარია №50 უბანზე გამოვლენილ დარღვევაზე, კერძოდ, საარჩევნო სუბიექტი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ ხმები მიწერილი აღმოჩნდა სხვა საარჩევნო სუბიექტისათვის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს.“ ასევე, ამავე უბნის ბათილი ბიულეტენები, ისევე როგორც ნამდვილი ბიულეტენების მთლიანი რაოდენობა, მიწერილი ჰქონდა ამ უკანასკნელ სუბიექტს. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საიას დამკვირვებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.[85] საიამ №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა. **სასამართლოს მიერ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.** სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტების გამოცემისას, მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას.

– **ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 1 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა ხათუნა შუბითიძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №38 უბნის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა, ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა. საუბარია ნაკადის მომწესრიგებელი წევრის მიერ მარკირების შემოწმებისას, არა მარკირების შემოწმების სპეციალური ხელსაწყოს, არამედ ჩვეულებრივი ფანრის გამოყენებაზე. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ხათუნა შუბითიძის საჩივარი კენჭისყრის შედეგების ბათილობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა და კომისიის თავმჯდომარეს ხელფასიდან 10% დაკავება შეეფარდა.

– **დუშეთის №28 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ იქნა 3 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა სერგო ისაშვილმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №1 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. თავმჯდომარის მოადგილემ დაარღვია როგორც საარჩევნო კოდექსი, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის ეთიკის კოდექსი. იგი კონფლიქტში შევიდა მედიის წარმომადგენელთან, ტელეკომპანია მე-9 არხის ჟურ-

[83] გარდაბნის №23 საოლქო საარჩევნო კომისიის 2 ოქტომბრის №36 განკარგულება.

[84] მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიის 2 ოქტომბრის №41/2012 განკარგულება.

[85] მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიის 3 ოქტომბრის №49/2012 განკარგულება.

ნალისტთან. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საიას საჩივარი დაკმაყოფილდა და №1 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს დისციპლინური გადაცდომისთვის შენიშვნა გამოეცხადა.

საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს საოლქო საარჩევნო კომისიაში და №49 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საიას დამკვირვებლის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, კომისიის წევრებმა რეგისტრატორების მაგიდებზე არ განათავსეს ამომრჩეველთა გვარების ანბანური მაჩვენებელი, რისი არარსებობაც ერთგვარ დაბნეულობას იწვევდა ამომრჩევლებში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, №49 საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს მიეცა გაფრთხილება, ხოლო მდივანს – შენიშვნა. მეორე საჩივრით, **საიას დამკვირვებელმა სერგო ისაშვილმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №49 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა**, ვინაიდან მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა დამკვირვებლისთვის უფლებების განხორციელებაში ხელშეშლას. უბანზე საიას დამკვირვებელს ხატია პეტრიაშვილს ხელს უშლიდნენ დაკვირვების ეფექტურად განხორციელებაში. საღამოს 6 საათის შემდეგ უბანზე დამკვირვებელს აღარ ეძლეოდა ნორმალური დაკვირვების შესაძლებლობა. მას უკრძალავდნენ სხვა დამკვირვებლებთან დალაპარაკებას და ეუბნებოდნენ, რომ უბანს დაატოვებინებდნენ, თუ პროცესს ერთი ადგილიდან არ დააკვირდებოდა. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საიას დამკვირვებლის **ხატია პეტრიაშვილისთვის** დაკვირვების უფლების შეზღუდვისა და ხელშეშლის ფაქტზე წარდგენილი მტკიცებულება, მათ შორის, მოწმის ჩვენება არასაკმარისად მიიჩნია და საჩივარი არ დააკმაყოფილა.[86] საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გასაჩივრდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება და ოლქს დაევალა არსებული მასალების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ №49 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, №49 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და მას 500 ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

– **კასპის №30 საოლქო საარჩევნო კომისია**

კასპის საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებელმა სულ 1 საჩივარი წარადგინა.

საიას დამკვირვებელმა ეთერ ადუაშვილმა №32 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის და კომისიის მდივნის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა იმ დარღვევისთვის, რომ უბანზე ხდებოდა დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა. კერძოდ, დამკვირვებელს არ მიეცა ჩანაწერთა წიგნის ნახვისა და მასში შენიშვნის გაკეთების უფლება. გარდა ამისა, თავმჯდომარე და მდივანი მას უხეშად მიმართავდნენ. საიას დამკვირვებელმა თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაც მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ ეთერ ადუაშვილის საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.[87] კომისიის თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით მიეცა შენიშვნა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს – გაფრთხილება.[88] საიას დამკვირვებელს უარი ეთქვა თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ დარღვევას არჩევნების შედეგებზე ზეგავლენა არ მოუხდენია. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უარი სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის თაობაზე გასაჩივრდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ცესკომ საჩივარი არ დააკმაყოფილა.[89]

– **გორის №32 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა გორის №32 საოლქო საარჩევნო კომისიაში სულ 1 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა დალი ჯანიაშვილმა №111 საარჩევნო უბანზე, რომელიც სპეც-უბანს წარმოადგენდა, საჩივარი წარადგინა იმის გამო, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილ იყვნენ და, შესაბამისად, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით მონაწილეობას იღებდნენ გორის სამხედრო ჰოსპიტალში მომუშავე სამოქალაქო პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. დამკვირვებელმა მაჟორიტარული წესით ბიულეტენების გაცემის შეწყვეტა და №111 საარჩევნო უბნის მაჟორიტარული წესით არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. საიას დამკვირვებელმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №111 საარჩევნო უბნის მაჟორიტარული წესით არჩევნების შედეგების ბათილობა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.[90]

სასამართლოში წარდგენილი საჩივრები: საიას დამკვირვებელმა დალი ჯანიაშვილმა საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება გორის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა და გორის №32 საოლქო საარჩევ-

[86] დუშეთის №28 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარის განკარგულების 3 ოქტომბრის №49/2012 გადაწყვეტილება.

[87] კასპის №30 საოლქო საარჩევნო კომისიის 02 ოქტომბრის №44/2012 განკარგულება.

[88] საოლქო საარჩევნო კომისიების შენიშვნის აქტი №615 გაფრთხილების აქტები №616; №617.

[89] ცესკოს 2012 წლის 4 ოქტომბრის №429/2012 განკარგულება.

[90] გორის №32 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 01 ოქტომბრის №62/2012 განკარგულება.

ნო კომისიის შესაბამისი განკარგულებისა და გორის №111 საარჩევნო უბნის მაჟორიტარული წესით არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. პროცესზე მოხდა მტკიცებულებათა სრული გამოკვლევა და დაყენებულ შუამდგომლობათა დაკმაყოფილება. მესამე პირებს საშუალება მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესში, თუმცა, გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ არ დაადასტურა გორის №111 უბანზე ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილ პირთა მხრიდან მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უკანონობა.

– **ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საარჩევნო ოლქში სულ 4 საჩივარი წარადგინეს.

ხაშურის №35 საარჩევნო ოლქის 10-ზე მეტ საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესი, მათ შორის, არჩევნების შედეგების შეჯამება, მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა. არაერთი მტკიცებულებით და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებებით დასტურდებოდა, რომ ადგილი ჰქონდა შემაჯამებელი ოქმების მონაცემების იმგვარ შედგენას, რაც არ ასახავდა აღნიშნულ უბნებზე ამომრჩეველთა მიერ გამოხატულ ნებას, ან საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი ოქმების მონაცემების მოგვიანებით შეცვლას. ამასთან, ხაშურის ოლქის რამდენიმე უბანზე ადგილი ჰქონდა სპეციალური დანიშნულების რაზმების შეჭრას და კომისიის წევრების იძულებას, მათი მითითებით აესახათ არჩევნების შედეგები შემაჯამებელ ოქმებში. აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, **საიას დამკვირვებლებმა ნონა ასკილაშვილმა, კახა კოჟორიძემ და თამარ ლოთიშვილმა საჩივრები წარადგინეს საოლქო საარჩევნო კომისიაში და №1, №2, №10, №26, №3, №5, №8, №9, №10, №12, №13, №19, №45, №46 უბნების კენჭისყრის შედეგების ბათილობა მოითხოვეს.** ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას დამკვირვებლებს უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლოში წარდგენილი საჩივრები: ხაშურის №35 საარჩევნო კომისიის განკარგულებები საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრდა ხაშურის რაიონულ სასამართლოში. 2 სარჩელით მოთხოვნილ იქნა ხაშურის №1, №2, №3, №5, №8, №9, №10, №12, №13, №19, №45 და №46 საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის შედეგების ბათილობა. ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებებით, საიას სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ბათილად ცნო №2 №3, №10, №13, და №46 უბნებზე დამდგარი კენჭისყრის შედეგები და უარი თქვა №8, №12, №19 და №45 უბნების კენჭისყრის შედეგების ბათილობაზე. ხაშურის რაიონულმა სასამართლომ, იმავდროულად, დაავალა ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიას, ხელახლა გადაეთვალა №1 და №9 უბნების შედეგები. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში, სასამართლომ არ განიხილა აღნიშნულ უბნებზე წარდგენილი მტკიცებულებები, არ გაითვალისწინა მოწმეთა ჩვენებები და, შესაბამისად, მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ბათილად იქნა ცნობილი ხაშურის №1, №8, №9 და №45 საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის შედეგები.

შესაბამისად, ცესკოს 2012 წლის 10 და 12 ოქტომბრის განკარგულებებით, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის მაჟორიტარული სისტემით არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა დაინიშნა 2012 წლის 14 ოქტომბერს ხაშურის საარჩევნო ოლქის №1, № 2, №3, №8, №9, №10, №13, №45, №46 საარჩევნო უბნებში.

– **ახალციხის №37 საოლქო საარჩევნო კომისია**

ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებლებმა სულ 5 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა მაია გრძელიშვილმა საჩივრით მიმართა ახალციხის №37 საოლქო საარჩევნო კომისიას და №16, №17, №25, №31 და №32 საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ახალციხის №37 ოლქის №16, №17, №25, №31 და №32 საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა კომისიის ბეჭედს არ გაუკეთეს მეორე ნაკვეთური და კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმები დაამოწმეს ერთ ნაკვეთურიანი ბეჭდით. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კომისიის თავმჯდომარე ვალდებული იყო, კენჭისყრის დამთავრების შემდეგ კომისიის ბეჭდისთვის გაეკეთებინათ მეორე სპეციალური ნაკვეთური, რაც მათ არ გაუკეთებიათ. თავმჯდომარეებმა არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა საიას დამკვირვებლის მიერ წარდგენილი საჩივრები და ახალციხის №16, №17, №25, №31 და №32 საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრათ ხელფასის ნახევრის დაკავება.[91]

– **საჩხერის №50 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს საოლქო საარჩევნო კომისიაში.

საიას დამკვირვებელმა გიორგი ჭიქაბერიძემ 2 საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. პირველი საჩივრით მოთხოვნილ იქნა №13 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ვინაიდან კომისიამ საარჩევნო უბნის გახსნამდე დაარღვია საარჩევნო ბიულეტენების პაკეტების მთლიანობა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა. **მეორე საჩივრით საიას დამკვირვებელმა №37 საუბნო საარჩევნო**

[91] ახალციხის №37 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 ოქტომბრის №26/2012 განკარგულება.

კომისიის რეგისტრატორის მიმართ პასუხისმგებლობის შეფარდება მოითხოვა, ვინაიდან რეგისტრატორმა 10 მაჟორიტარულ და 10 პროპორციულ ბიულეტენს წინასწარ ხელი მოაწერა და ბეჭედი დასვა. დამკვირვებელმა აღნიშნული ბიულეტენების ბათილად ცნობაც მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

– **წყალტუბოს №58 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 1 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა თამარ ფაჩულიამ საჩივრით მიმართა წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიას, რადგანაც წყალტუბოს სათაფლიის №5 საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემულ მიღება-ჩაბარების აქტში არ იყო მითითებული სპეციალური კონვერტების, სპეციალური ბიულეტენების, კომისიისათვის გადაცემული ბეჭდების რაოდენობა, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტზე არ იყო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის გიორგი მჟავანაძის ხელმოწერა. დამკვირვებლის მიერ მოთხოვნილ იქნა უბანზე კენჭისყრის შედეგების ბათილობა და პასუხისმგებელი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენება. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საიას დამკვირვებლის მოთხოვნა.[92] №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოყენებულ იქნა შენიშვნა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საიას დამკვირვებლებმა სხვადასხვა პროცედურული დარღვევის გამო ასევე მოითხოვეს №58, №41, №45, №25, №64, №21, №35, №13, №59, №7, №62, №22, №4, №5, №49, №12, №68, №67, №3, №57 და №1 უბნებზე კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნების გახსნა, რაც კომისიის მიერ არ დაკმაყოფილდა.

– **ქუთაისის №59 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 7 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა ელისო ფაჩუაშვილმა საჩივრით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას, ვინაიდან №87 საარჩევნო უბანზე რეგისტრატორებისთვის გაცემული ბიულეტენების ბლოკნოტის ყდაზე ინფორმაცია სრულად არ იქნა დატანილი, კონკრეტულად, არ ეწერა ნომრები პირველ და ბოლო ფურცლებზე. დამკვირვებელმა საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება მოითხოვა. საჩივარი არ დაკმაყოფილდა. კომისიამ მიიჩნია, რომ საჩივარი არ იყო საკმარისად დასაბუთებული, არ იყო მითითებული დისციპლინური პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა და დამრღვევის ვინაობა.

საიას დამკვირვებელმა ელისო ფაჩუაშვილმა ხმების დათვლის დროს მეორე საჩივარიც წარადგინა №87 უბანზე, ვინაიდან გაცემული პროპორციული ბიულეტენების რაოდენობა ერთით აღემატებოდა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას. მიუხედავად ბიულეტენების არაერთხელ გადათვლისა, მაინც არ მოხდა ბალანსის შედგენა. ელისო ფაჩუაშვილმა მოითხოვა ამომრჩეველთა სიების ხელახლა გადათვლა, რაც თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა და ბალანსის არარსებობის მიუხედავად, მაინც შეადგინა შემაჯამებელი ოქმი. საოლქო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებელმა ზაალ გორგიძემ №87 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმის შედეგების ბათილად ცნობა, ბიულეტენების ხელახლა გადათვლა, ხოლო ბალანსის მიუღებლობის შემთხვევაში, უბნის შედეგების ბათილად ცნობა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით ხელფასის დაკავება მოითხოვა. საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, №87 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით „შენიშვნა" გამოეცხადა.[93] ასევე, ცალკე განკარგულებებით „შენიშვნები" გამოეცხადა კომისიის ყველა წევრს. გასწორდა უბნის მაჟორიტარული კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი, სადაც ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო რაოდენობა 567-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 568.

საიას დამკვირვებელმა გიორგი სანტურიანმა საჩივარი წარადგინა, ვინაიდან №41 საარჩევნო უბანზე, წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, არ გადასცეს მიღება-ჩაბარების აქტი. დამკვირვებელმა მას შემდეგ შეძლო აღნიშნული აქტის მოპოვება, რაც შესაბამისის საჩივრით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას. დამკვირვებელი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებასაც მოითხოვდა, თუმცა, ამ ნაწილში საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი განუხილველად დატოვა.

საიას დამკვირვებელმა ირინე ობოლაძემ ოლქში საჩივარი წარადგინა, ვინაიდან №127 საარჩევნო უბანზე საარჩევნო ყუთი დალუქული იყო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ლუქისაგან განსხვავებული ლუქით, ასევე, არ ემთხვეოდა ნომრები. დამკვირვებელმა №127 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საიას დამკვირვებელმა ნიკა ლიპარტელიანმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №97 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობა, ასევე, კომისიის წევრთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება მოითხოვა. №97 საარჩევნო უბანზე საარჩევნო ყუთი იყო არასათანადოთ დალუქული. აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა დღის 17 საათზე. ასევე, გარკვეულ დაპირისპირებას ჰქონდა

[92] წყალტუბოს №58 საოლქო საარჩევნო კომისიის 1 ოქტომბრის №21/2012 განკარგულება.

[93] ქუთაისის №59 საოლქო საარჩევნო კომისიის 5 ოქტომბრის №244/2012 განკარგულება.

ადგილი საარჩევნო კომისიის წევრებსა და ამომრჩეველს შორის, რის გამოც უბანზე საპატრულო პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო. პატრულის უბანზე მისვლის შემდეგ ხმის მიცემა განახლდა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას დამკვირვებლის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საიას დამკვირვებელმა გიორგი სანტურიანმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №110 საარჩევნო უბნის თავმჯდომარის, მდივნისა და საარჩევნო ყუთის ზედამხედველის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება მოითხოვა. აღნიშნულ უბანზე ხმის დათვლის დროს ერთ-ერთ კონვერტში ბიულეტენების ნაცვლად აღმოჩნდა გაურკვეველი ტექსტის შემცველი ფურცლები, რის თაობაზეც საიას დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა. აღნიშნულს კომისიის წევრების მხრიდან მოყვა პროტესტი. საჩივარი არ დაარეგისტრირეს. დამკვირვებელს არც კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში შესაბამისი შენიშვნის გაკეთების საშუალება მისცეს. საიას დამკვირვებლის საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა საოლქო საარჩევნო კომისიამ. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – „გაფრთხილება“ შეეფარდა. [94]

საიას დამკვირვებელმა შორენა ჭელიძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №105 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა მოითხოვა, ვინაიდან „დემოკრატიული ქსელის” დამკვირვებელმა უბანზე მისულ ამომრჩეველს ხელიდან ბიულეტენი გამოსტაცა, გახსნა და ნახა, თუ რომელი კანდიდატისთვის ჰქონდა ხმა მიცემული. ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ დამკვირვებელი გაფრთხილებულ იქნა, საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიჩნია, რომ საიას დამკვირვებლის საჩივარზე თავმჯდომარის მიერ მოხდა სათანადო რეაგირება. ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის №219/2012 განკარგულებით, სადამკვირვებლო ორგანიზაცია „დემოკრატიულ ქსელს” მიეცა რეკომენდაცია მითითებულ დარღვევასთან დაკავშირებით.

– **ოზურგეთის №60 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 4 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა ლევან ხუხიამ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №9 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. კომისიის 2-მა წევრმა წილისყრის შედეგად გამოვლენილი ფუნქციების შესრულებაზე უარი განაცხადა. კერძოდ, გადასატანი ყუთის გაყოლასა და რეგისტრატორის ფუნქციების შესრულებაზე კომისიის წევრებმა ჯანმრთელობის მდგომარეობის მომიზეზებით თქვეს უარი. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.[95] კომისიის განმარტებით, აღნიშნული მუხლის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება კანონით გათვალისწინებული არ იყო.

საიას დამკვირვებელმა მანუჩარ გოგრაჭაძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №13 საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობაში ერთ-ერთი დამკვირვებლის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციებში ჩარევის გამო რეაგირება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საიას დამკვირვებელმა ზაზა ცინცაძემ 2 საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №33 ზემოფარცხმის საარჩევნო უბანზე პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირება მოითხოვა. პირველი საჩივარი რეგისტრატორების ბეჭდების ნაკლებობას შეეხებოდა. დამკვირვებელმა აღნიშნულ დარღვევაზე შესაბამისი რეაგირება მოითხოვა. საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 992 ამომრჩეველი, კომისიას ჰყავდა 4 რეგისტრატორი, თუმცა, მხოლოდ 3 ბეჭედი ჰქონდათ, რის გამოც ისინი მონაცვლეობით აწარმოებდნენ ამომრჩევლებზე ბიულეტენების გაცემასა და ბეჭდით დამოწმებას. მეორე საჩივარი უბანზე ბიულეტენების ნაკლებობას შეეხებოდა. საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 992, ხოლო მიღებული იყო 950 ბიულეტენი. დამკვირვებელმა შესაბამისი რეაგირება მოითხოვა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. კომისიამ განმარტა, რომ ბეჭდების ნაკლებობასთან დაკავშირებით კომისიის მიერ ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელი იყო, ვინაიდან რეგისტრაციის ბეჭდების რაოდენობა განსაზღვრული იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.[96] რაც შეეხება ბიულეტენების ნაკლებობას, კომისიამ განმარტა, რომ საარჩევნო ბიულეტენები ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან საოლქო კომისიას გადაეცა დალუქული სახით, გადათვლის შემდეგ აღმოჩნდა ქარხნული წუნი – დანაკლისი, რისი აღმოფხვრაც საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შეუძლებელი იყო.[97]

– **ლანჩხუთის №61 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებს საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრები არ წარუდგენიათ.

– **ჩოხატაურის №62 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 2 საჩივარი წარადგინეს.

[94] ქუთაისის №59 საოლქო საარჩევნო კომისიის 3 ოქტომბრის №220/2012 განკარგულება.

[95] ოზურგეთის №60 საოლქო საარჩევნო კომისიის 2 ოქტომბრის №33/2012 განკარგულება.

[96] ჩოხატაურის #62 საოლქო საარჩევნო კომისიის 3 ოქტომბრის #85/2012 განკარგულება.

[97] ჩოხატაურის #62 საოლქო საარჩევნო კომისიის 3 ოქტომბრის #86/2012 განკარგულება.

საიას დამკვირვებელმა მაია ლომაძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და ხიდისთავის №35 საუბნო საარჩევნო კომისიაში მომხდარი ფაქტის შესწავლა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა მოითხოვა. უბანზე არსებული მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების ერთ-ერთ ბლოკნოტს ამოხეული ჰქონდა 1 ცალი ბიულეტენი. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიიდან ბიულეტენების წამოღებამდე შენიშნეს, რომ ბიულეტენი იყო დაზიანებული, საოლქო კომისიაშივე ამოახიეს და ისე გადასცეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით, №35 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შენიშვნა გამოეცხადა.[98]

საიას დამკვირვებელმა, მაია ლომაძემ, საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. დამკვირვებელმა ამაღლების №4 უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორების გამო, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ამაღლების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახით შენიშვნა გამოეცხადათ.[99]

– **ზუგდიდის №67 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებს საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ წარუდგენიათ.

– **ფოთის №70 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში სულ წარადგინეს 1 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა თამარ ფოლადაშვილმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №18 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ბათილად ცნობა, შესაბამისი კომისიის წევრების და მდივნის პასუხისმგებლობა მოითხოვა. დილის 08:00 სთ-დან 12:30 სთ-მდე არ ხდებოდა მარკირების შემოწმება კენჭისყრის ოთახში და ამომრჩევლები აღნიშნულ პერიოდში მარკირების შემოწმების გარეშე იღებდნენ კენჭისყრაში მონაწილეობას. საჩივარი აღნიშნულ დარღვევაზე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა არ დაარეგისტრირა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.[100]

– **ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 6 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებლებმა ბათუმის თითქმის ყველა საუბნო საარჩევნო კომისიაში დააფიქსირეს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიიდან საუბნო კომისიებს მიღებული ჰქონდათ საერთო სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაზე 100-150 ერთეულით ნაკლები ბიულეტენი. საიას დამკვირვებლების მიერ მოცემული დარღვევის დაფიქსირება მოხდა ჩანაწერთა წიგნებში. აღნიშნული ფაქტები ასევე დაფიქსირდა სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერაც. კომისიამ აღნიშნული ტიპის საჩივრები არ განიხილა იმ არგუმენტით, რომ არც ერთ უბანზე ამის გამო ხმის მიცემის პროცესი არ შეფერხებულა და არავითარი პრობლემა არ შექმნილა.

საიას დამკვირვებელმა თამილა აბუსელიძემ საჩივარი წარადგინა №63 უბანთან დაკავშირებით. საჩივარი შეეხებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაჟორიტარების ბიულეტენებზე №5 საარჩევნო სუბიექტის ქვემოთ დაფიქსირებულ „მინიშნებას“. საიას დამკვირვებელმა კენჭისყრის შეჩერება და ბიულეტენების შეცვლა მოითხოვა. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან ხარვეზი ტექნიკურ წუნად ჩაითვალა. აღნიშნული ტიპის ბიულეტენების 1 შეკვრას №5 ქვემოთ აღენიშნებოდა მუქი ხაზი. იმავე დარღვევაზე წარდგენილ იქნა საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში მოთხოვნით, რომ გაბათილებულიყო №63 უბანზე აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარული არჩევნების შედეგები. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ტექნიკური წუნი და საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საიას დამკვირვებლებმა ლია გაბაიძემ,[101] მაია მიქელაძემ,[102] თამარ კალანდაძემ [103]და კახა გოგიბერიძემ[104] 4 საჩივარი წარადგინეს საუბნო საარჩევნო კომისიებში, ვინაიდან აღნიშნულ უბნებზე რამდენიმე ამომრჩეველს ამომრჩეველთა ერთიან სიებში მათი სახელისა და გვარის გასწვრივ ხელმოწერა დახვდათ გაკეთებული. სულ დაფიქსირდა შვიდი ასეთი შემთხვევა. საიას დამკვირვებლებმა აღნიშნული უბნების შედეგების ბათილობა მოითხოვეს. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საიას დამკვირვებელმა მაია ქათამაძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №49

[98] ჩოხატაურის №62 საოლქო საარჩევნო კომისიის №80 2012 წლის განკარგულება.

[99] ჩოხატაურის №62 საოლქო საარჩევნო კომისიის №81 2012 წლის განკარგულება.

[100] ფოთის №70 საოლქო საარჩევნო კომისიის №67/2012 განკარგულება.

[101] №8 უბანზე სამი შემთხვევა.

[102] №23 უბანზე ორი შემთხვევა.

[103] №52 უბანზე ერთი შემთხვევა.

[104] №58 უბანზე ერთი შემთხვევა.

უბანზე ყველა სახის ბათილი ბიულეტენის ხელახლა გადათვლა მოითხოვა, ვინაიდან ბიულეტენების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით კომისიის წევრებს არ უმსჯელიათ და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა. იმავე საჩივრით დამკვირვებელმა №49 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობაც მოითხოვა. საჩივარი ბათილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. კომისიის არგუმენტს წარმოადგენდა მხოლოდ ის, რომ ბიულეტენების ბათილობის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის განსახილველი საკითხი იყო და მოცემული პროცესის წარმოების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ. კომისიის თავმჯდომარისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში საიას მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მას, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის, მიეცა გაფრთხილება.[105]

საიას დამკვირვებელმა თამარ კალანდაძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №52 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. კომისიის თავმჯდომარე ერეოდა საიას დამკვირვებელთა საქმიანობაში, ბიულეტენების ბათილად ცნობის შესახებ მსჯელობისას არ ითვალისწინებდა კომისიის წევრების შეხედულებებს, ხმების დათვლის შემდგომ ხელოვნურად დააბრკოლა მონაცემთა შეყვანა შემაჯამებელ ოქმში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიის თავმჯდომარეს მიეცა გაფრთხილება.[106]

– **ქობულეთის №81 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში სულ წარადგინეს 2 საჩივარი.

საიას დამკვირვებელმა ეკატერინე ბერიძემ საჩივრით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას და №8 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ბათილად ცნობა, ასევე, კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა, ვინაიდან მარკირების სითხე არ ფიქსირდებოდა, ხოლო მარკირების შემოწმების სპეციალური ხელსაწყო გაუმართავად მუშაობდა. საჩივარი არ დაკმაყოფილდა. კომისიამ გაიზიარა კომისიის წევრების ჩვენებები იმასთან დაკავშირებით, რომ, მარკირების სითხესა ან მარკირების შემოწმების სპეციალური ხელსაწყოს გაუმართაობასთან დაკავშირებული პრობლემა არც ერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა.

საიას დამკვირვებელმა ხათუნა ბაგრატიონმა საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №44 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრთა მიმართ პასუხისმგებლობის შეფარდება მოითხოვა. №44 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა კენჭისყრის მონაცემები ზოგადი წესით დაითვალეს. კერძოდ, რეგისტრატორებმა კენჭისყრის დასრულებამდე დაითვალეს ამომრჩეველთა ხელმოწერები, რომელიც შემდგომ მიაწოდეს კომისიის თავმჯდომარეს. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი პროცედურების ჩატარება აღარ იყო აუცილებელი, რეგისტრატორების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა და აღნიშნული მონაცემები შეიტანა სადემონსტრაციო ოქმში. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ გამხდარა, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

– **ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 1 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა მარიამ ნაკაშიძემ საჩივარი წარადგინა №13 საუბნო საარჩევნო კომისიაში, რადგან ერთ-ერთი რეგისტრატორის ბეჭედს პირველი ნაკვეთური არ ჰქონდა გაკეთებული. საუბნო საარჩევნო კომისიამ საჩივარი დააკმაყოფილა და დარღვევა აღმოფხვრა. ასევე, ხმის დათვლისას ბათილად იქნა ცნობილი ყველა ის ბიულეტენი, რომლის უკანა მხარეს დარტყმულ ბეჭედსაც არ ჰქონდა ნაკვეთური. ასეთი სულ 70 ბიულეტენი აღმოჩნდა. იმავე დარღვევაზე საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით წარდგენილ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიაშიც. საჩივარი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

– **ხულოს №84 საოლქო საარჩევნო კომისია**

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში 3 საჩივარი წარადგინეს.

საიას დამკვირვებელმა გიორგი სურმანიძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. დამკვირვებელმა №10 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობა და კომისიის თავმჯდომარის და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. №10 საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმზე დასმულ ბეჭედს ორის ნაცვლად მხოლოდ ერთი ნაკვეთური ჰქონდა. საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით გაფრთხილება შეეფარდა.

საიას დამკვირვებელმა გიორგი სურმანიძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში და №15 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობა, ასევე, კომისიის თავმჯდომარის და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. №15 საარჩევნო უბნიდან შემოსული დალუქული

[105] ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 03 ოქტომბრის №19 საოქმო გადაწყვეტილება.

[106] ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 03 ოქტომბრის №19 საოქმო გადაწყვეტილება.

პაკეტი, რომელშიც მოთავსებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორის ბეჭდები, დაზიანებული აღმოჩნდა. აგრეთვე, საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმზე დასმულ ბეჭედს ჰქონდა მხოლოდ ერთი ნაკვეთური. საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით შენიშვნა გამოეცხადა. გაიხსნა დალუქული პაკეტები და მოხდა ხმების ხელახლა გადათვლა.

საიას დამკვირვებელმა გიორგი სურმანიძემ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში. დამკვირვებელმა №33 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობა და კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. №33 საუბნო საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმზე არ იყო დასმული ბეჭედი. საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, ბათილად იქნა ცნობილი №33 საარჩევნო უბნის შედეგები და ამავე უბნის თავმჯდომარეს და მდივანს გაფრთხილება მიეცა.

განმეორებითი კენჭისყრა

საია საქართველოს პარლამენტის 1-ლი ოქტომბრის მაჟორიტარული სისტემით არჩევნების განმეორებით კენჭისყრას, რომელიც 2012 წლის 14 ოქტომბერს გაიმართა, №13 სიღნაღის საარჩევნო ოლქის – №5 საარჩევნო უბანზე, №32 გორის საარჩევნო ოლქის – №4 საარჩევნო უბანზე, №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის – №1, №2, №3, №8, №9, №10, №13, №45, №46 უბნებზე დააკვირდა. კენჭისყრა, ზოგადად, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მაღალი აქტივობა დაფიქსირდა სიღნაღის №13 ოლქის №5 უბანზე. საიას დამკვირვებლებს კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე საჩივრები არ წარუდგენიათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, საიას დამკვირვებლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი კანონშეუსაბამობები:

- ხაშურის №35 ოლქის №2 უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის მოადგილეს უჩა დევდარიანს კენჭისყრის შენობა დაატოვებინეს. მან უარი განაცხადა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლისათვის განკუთვნილი ფორმის ჩაცმაზე.
- სიღნაღის №13 ოლქის №5 უბანზე ხმის მისაცემად გამოცხადდა სპეც-სიაში შეყვანილი ამომრჩეველი, რომელმაც 1-ლ ოქტომბერს ხმა რუსთავში მისცა. ამომრჩეველს არ მისცეს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. სიღნაღის №13 ოლქის №5 უბანზე გამოცხადდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი №5 უბნის კომისიის წევრი თამაზ ხელაშვილი, რომელსაც სიღნაღის №13 კომისიის მიერ 13 ოქტომბერს გაცემული საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობა აღმოაჩნდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ არ მისცა მას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება. კენჭისყრის შენობაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა საარჩევნო სუბიექტის – „ახალი მემარჯვენეების“ მაჟორიტარი კანდიდატი მალხაზ ხუციშვილი. შენობის გარეთ აღმოჩენილ იქნა საარჩევნო სიები, რომელზეც იყო კომისიის ბეჭდები. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს იყო 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების კედლის სიები. №5 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც „მომავლის არჩევნის“ დამკვირვებელმა აღნიშნულთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მოსთხოვა, უბანი დაატოვებინა და განუმარტა, რომ ამ საკითხის გარკვევა მის კომპეტენციაში არ შედიოდა.
- მთელი დღის განმავლობაში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ საარჩევნო სუბიექტების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მეტი სარგებელი ხალხს“ და „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. სიღნაღის №13 ოლქის №5 უბანზე დაფიქსირდა ვიდეო გადაღების უკანონო აკრძალვა. დამკვირვებელი ორგანიზაცია „ქალი და არჩევნის“ დამკვირვებელს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მხოლოდ საარჩევნო ყუთის გადაღების ნება დართო და საშუალებას არ აძლევდა, მთლიანად კენჭისყრის უბანი გადაეღო, რაც კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენდა. დარღვევა მას შემდეგ აღმოიფხვრა, რაც უბანზე მყოფმა დამკვირვებლებმა აღნიშნული ფაქტი გააპროტესტეს, ხოლო საიას დამკვირვებელმა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში დააფიქსირა. სიღნაღის ოლქში სადამკვირვებლო ორგანიზაციების – „მომავლის არჩევანი,“ „თავისუფალი არჩევანი სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ და „დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება“ – დამკვირვებლები კომისიის მუშაობაზე გავლენის მოხდენას ცდილობდნენ ყვირილით და კონფლიქტური სიტუაციების შექმნით.

არჩევნების დღის შემდგომი პერიოდი

2012 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ” განცხადება გაავრცელეს არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესის დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. დამკვირვებლების მიერ მოწოდებული, ასევე, მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვის პროცესის მიმდინარეობისას, ქვეყნის მასშტაბით ადგილი ჰქონდა სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიასთან პოლიტიკური პარტიების აქტივისტების შეკრებას, რომლებიც ზოგჯერ აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. უბნების გაბათილებისა და გადათვლის მოთხოვნით, აქციები იმართებოდა მარტვილის, სენაკის, თერჯოლის, ამბროლაურის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ახალქალაქის, ახალციხის, მარნეულისა და თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიებთან. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიის სამომავლო პიკეტირების თაობაზე. ზუგდიდის საარჩევნო ოლქში ადგილი ჰქონდა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებზე ზეწოლის ფაქტს იმ მიზეზით, რომ ორგანიზაციის წითელი ლოგო პარტიის აქტივისტის მიერ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან იქნა ასოცირებული. სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ყველა მხარეს მოუწოდეს, დავების გადასაჭრელად მიემართათ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისთვის, რათა არჩევნების შედეგებთან და-

კავშირებული დავები მხოლოდ სამართლებრივი გზით წარმართულიყო. ასევე, მოუწოდეს საარჩევნო ადმინისტრაციებს, არჩევნების შედეგები დაეთვალათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და კანონდარღვევებზე ადეკვატური რეაგირება მოეხდინათ, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს – თავი შეეკავებინათ საარჩევნო ადმინისტრაციის შენობებთან მათი აქტივისტების შეკრებებისგან.

2012 წლის 5 ოქტომბერს ორგანიზაციებმა მარნეულის გამგეობაში პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს და პოლიტიკური პარტიების ლიდერებს კოალიციის აქტივისტებისა და მხარდამჭერების მიერ პოლიტიკური ნიშნით ძალადობრივი ქმედებების აღკვეთისაკენ მოუწოდეს. ორგანიზაციების დამკვირვებლების ინფორმაციით, 5 ოქტომბერს მარნეულის გამგეობის შენობაში კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტები შეიჭრნენ, რომლებიც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ გამგეობის თანამშრომლებს. სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა გამგებლის მოადგილისა და მისი მძღოლის მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც. ეს უკანასკნელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მარნეულის გამგებლის განცხადებით, ფიზიკურ ძალადობას მის მიმართაც ჰქონდა ადგილი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2012 წლის 3 ოქტომბრის №11 განკარგულების მიხედვით, ცალკეულ საოლქო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ წარმომადგენლები შეიცვალნენ. 6 ოქტომბერს ცესკომ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის გამოწვევა ან შეცვლა მხოლოდ კენჭისყრის დღეს იკრძალებოდა და ეს შეზღუდვა კენჭისყრის დასრულების შემდეგ აღარ ვრცელდებოდა. ამავე განცხადებაში მითითებული იყო შემდეგი: „სამწუხაროა, რომ აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაკეთდა ცალმხრივი და არაკვალიფიციური კომენტარი. მათ მიერ ინტერპრეტირებული შეზღუდვა შეუძლებელს ხდის საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლის შეცვლას ან დანიშვნას მომავალ არჩევნებამდე პერიოდში.“

საიამ და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საზოგადოებამ ცესკოს მდივნის 2012 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული №11 განკარგულება კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნიეს და მისი ბათილობა მოითხოვეს. საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ნათლადაა განსაზღვრული, რომ: „საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზეც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.“ შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დღის შემდგომ წარმომადგენლის გამოწვევას ან ჩანაცვლებას არ ითვალისწინებდა. ორგანიზაციები ასევე არ დაეთანხმნენ ცესკოს მიერ შემოთავაზებულ განმარტებას, თითქოს საარჩევნო სუბიექტის უფლება, არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს გამიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, გულისხმობდეს წარმომადგენლის გამოწვევის ან შეცვლის აკრძალვას მხოლოდ კენჭისყრის დღეს, შემდეგი მიზეზების გამო:

- ნორმაში გარკვევით იყო მითითებული, რომ საარჩევნო სუბიექტს უფლება ჰქონდა, გამოეწვია ან/და შეეცვალა თავისი წარმომადგენელი არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს, რაც იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნული უფლება არჩევნების დღეს და მის შემდგომ აღარ არსებობდა. ნორმაში არ იყო მითითებული, რომ წარმომადგენლის გამოწვევა ან/და შეცვლა მხოლოდ არჩევნების დღეს იყო აკრძალული;
- საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტად, ამავე მუხლის მიზნებისათვის, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრი მოიაზრებოდა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ყოველ საარჩევნო კომისიაში არაუმეტეს 2 წარმომადგენლის დანიშვნის უფლება სწორედ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს ჰქონდა. აღნიშნული ჩანაწერები, ცესკოს მოსაზრების საპირისპიროდ, მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ საარჩევნო სუბიექტებს წარმომადგენლების დანიშვნა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში შეეძლოთ, რამეთუ არასაარჩევნო პერიოდში არ არსებობდა საარჩევნო სუბიექტი, შესაბამისად, საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობაში უკვე არჩეული პირის წარმოდგენას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა;
- რაც შეეხება მითითებას რეგისტრირებული პარტიის/საარჩევნო ბლოკის უფლებაზე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე მონაწილეობა მიეღო ყველა სხვა სახის არჩევნებში, კანონი არ აბრკოლებდა საარჩევნო სუბიექტებს, საარჩევნო პერიოდში შეუზღუდავად განეხორციელებინათ საკუთარი უფლება წარმომადგენლის დანიშვნასთან, გამოწვევასა თუ შეცვლასთან დაკავშირებით. საარჩევნო სუბიექტის სტატუსს ეს პირები საკუთარი განცხადების საფუძველზე მოიპოვებდნენ, ვინაიდან საპარლამენტო არჩევნებამდე ყველა სხვა სახის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ავტომატური არ იყო და გარკვეული ფორმალობის დაცვას საჭიროებდა.

სადამკვირვებლო ორგანიზაციები მიიჩნევდნენ, რომ საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლებად მოქმედი პარლამენტის წევრებისა თუ ყოფილი მინისტრების, მინისტრის მოადგილისა და გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის დანიშვნა, შესაძლოა, უკავშირდებოდა საარჩევნო სუბიექტის სურვილს, გავლენა მოეხდინა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებზე მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას, რაც დაუშვებელია.

ორგანიზაციებმა სრულიად მიუღებლად და არაეთიკურად მიიჩნიეს ცესკოს მიერ საიასა და „სამართლიანი არჩევნების“ კომენტარების მოხსენიება, როგორც „ცალმხრივი და არაკვალიფიციური“. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საზეიმო ვითარებაში იქნა ხელმოწერილი, როგორც ცესკოს, ასევე ცესკოს აპარატს ავალდებულებდა, „საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად გამოეხატა დასაბუთებული კრიტიკა,“ რაც აღნიშნულ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა.

8. დასკვნები/ძირითადი ტენდენციები/რეკომენდაციები[107]

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

წინასაარჩევნო კამპანია:[108]

<u>სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება:</u>

- **სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება და საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებები.** მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ისეთი საკანონმდებლო წინადადებების ინიცირებას, რაც, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მმართველი პარტიის ინტერესებს ემსახურებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საარჩევნო კოდექსისა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში რიგი რეგულაციების შემოღება. პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა დამძიმდა, თუმცა, მასთან შედარებით უკიდურესად რბილი და არაპროპორციული დარჩა ადმინისტრაციული რესურსების უკანონო გამოყენების ზედამხედველობის კუთხით არსებული კანონმდებლობა.
- **ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯვა.** გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების სახსრები ისეთი პროგრამების დაფინანსებისთვის გამოიყენებოდა, რომლებიც ძირითადად გათვლილი იყო ამომრჩეველთა ფართო მასების გულის მოგებასა და არა ქვეყნის გრძელვადიან პრიორიტეტებზე. ასეთი პროგრამის მაგალითი იყო სტუდენტური დასაქმების პროგრამა Summer Job, „სტუდენტური ფესტივალი“ და სხვა. ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე საგრძნობლად და დაუსაბუთებლად გაიზარდა ხანმოკლე კონტრაქტით დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი. გაიზარდა სოციალური და კეთილმოწყობის პროექტების დაფინანსება.
- **სახელმწიფო ინსტიტუციური რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება.** სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსები (საჯარო მოხელეები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა) ხშირად გამოიყენებოდა მმართველი პარტიის სასარგებლოდ. საიამ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ადმინისტრაციული საინფორმაციო რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების არაერთი ფაქტი დააფიქსირა. კერძოდ, ადგილი ჰქონდა საჯარო მოხელეებზე კანონშეუსაბამო პარტიული დავალებების გაცემას; მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაციის გაურკვეველი მიზნებით შეგროვებას; დიპლომატიური სამსახურის პოლიტიზებას და სოციალური რეკლამების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას. განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევდა განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებში საჯარო მოსამსახურეებისა და თანამდებობის პირების მონაწილეობის ფაქტები.

<u>კანონის შერჩევითი აღსრულება:</u>

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო უწყებების, განსაკუთრებით კი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან, ხშირად შერჩევითად ხდებოდა რეაგირება მმართველი და ოპოზიციური პარტიების მიერ ჩადენილ გარკვეულ ქმედებებზე, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი" ლოიალურობასა და ოპოზიციური პარტიების მიმართ გადამეტებულ სიმკაცრეში გამოიხატებოდა. პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონით დადგენილმა არაპროპორციულმა სანქციებმა, რიგ შემთხვევებში, ოპოზიციური პარტიების საქმიანობის პარალიზება გამოიწვია. ამის პარალელურად კი, რეაგირების გარეშე დატოვა მმართველი პარტიის მხრიდან ჩადენილი მნიშვნელოვანი დარღვევები.

სასამართლო ხელისუფლება. განსაკუთრებული სიმწვავით დადგა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების საკითხი. იმ პირობებში, როდესაც აუდიტის სამსახურის მუშაობაში არაერთი სერიოზული ხარვეზი იკვეთებოდა, მნიშვნელოვანი იყო მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს მიერ ბალანსისა და უფლებების დაცვის გარანტის ფუნქციის შესრულება. მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სასამართლო ხელისუფლება უფრო მეტად ლოიალური იყო აუდიტის სამსახურის მიმართ, რაც იმითაც დასტურდება, რომ სასამართლო უარს არ ამბობდა აუდიტის სამსახურის იმ შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზეც კი, რომელშიც დასაბუთებისა და არგუმენტაციის სერიოზული ნაკლებობა აღინიშნებოდა. სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი დაუსაბუთებელი სასამართლო განჩინებებით, ადგილი ჰქონდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც პირებს არ ეძლეოდათ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა, რადგან მათთვის მიუწვდომელი იყო სისხლის სამართლის საქმის მასალები.

სამართალდამცავი ორგანოები. სამართალდამცავმა ორგანოებმა არ მოახდინეს სათანადო და დროული რეაგირება სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით, ასევე, ჟურნალისტების საქმიანობაში ხელის შეშლის, ზეწოლის, მუქარის ფაქტების დროულად და ეფექტურად გამოძიების თვალსაზრისით. ჟურნალისტებთან დაკავშირებით, თითქმის არც ერთ შემთხვევაზე არ წარმართულა ეფექტური გამოძიება, რომელიც დამრღვევთ კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას დააკისრებდა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რიგ

[107] ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები/ძირითადი ტენდენციები მოიცავს არა მხოლოდ ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდის (აგვისტო-სექტემბერი 2012 წ), არამედ აღნიშნულ პერიოდამდე არსებულ წინასაარჩევნო გარემოს შეფასებასაც. (1 იანვარი– 31 ივლისი, 2012 წ).

[108] http://gyla.ge/geo/news?info=766 სამი არასამთავრობო ორგანიზაციის - საიას, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" (TI) საარჩევნო გარემოს შეფასება, 29.09.2012 წელი.

შემთხვევებში, არა თუ ვერ ახერხებდნენ მათთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების – მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების დაცვას კონტრდემონსტრანტებისგან, არამედ თვითონაც მონაწილეობდნენ აღნიშნულ ქმედებებში.

<u>პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა, მუქარა და ძალადობა:</u>

- **პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავება-დაპატიმრებები.** პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავება წლის განმავლობაში შედარებით იშვიათად ფიქსირდებოდა, თუმცა, საარჩევნო კამპანიის გააქტიურებასთან ერთად, დაკავებებმა იმატა. სექტემბრის ბოლოს კი, ასეთი შემთხვევები უპრეცედენტოდ გაიზარდა და საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია. 19 სექტემბრის შემდეგ ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების 40-ზე მეტი აქტივისტი იქნა დაპატიმრებული ადმინისტრაციული წესით, რასაც თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ ახლდა სათანადო მტკიცებულებები და დარღვეული იყო ადამიანის უფლებათა დაცვისთვის აუცილებელი სტანდარტები.
- **პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებები.** ხშირი იყო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლებების შემთხვევები როგორც საჯარო სამსახურში, ისე კერძო სექტორშიც.
- **ძალადობა და მუქარა პოლიტიკური ნიშნით.** პოლიტიკური პარტიების აქტივისტები მთელი წლის განმავლობაში საუბრობდნენ მათ მიმართ განხორციელებული მუქარისა და დაშინების ფაქტებზე, რაშიც, ხშირ შემთხვევაში, თანამდებობის პირები, საჯარო მოსამსახურეები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. რეგიონებში საარჩევნო კამპანიის გააქტიურებასთან ერთად, ძალადობრივმა ქმედებებმა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებმა იმატა, რამაც განსაკუთრებულ მასშტაბებს სექტემბრის მე-2 ნახევარში მიაღწია.

<u>მედია გარემო:</u>

- დადებითი მოვლენა იყო **ე.წ. Must Carry-ისა და Must Offer-ის პრინციპების დამკვიდრება,** რაც საკაბელო კომპანიებს ავალდებულებდა, ჩაერთოთ ყველა საერთო მაუწყებელი ქართული არხი, ასევე, ტელეკომპანიებს არ აძლევდა საკაბელო კომპანიების მომსახურებიდან გამოთიშვის უფლებას. ასეთი რეგულაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამომრჩევლამდე დივერსიფიცირებული ინფორმაციის მიწოდების საქმეში. თუმცა, აღნიშნული პრინციპები, კანონის თანახმად, მოქმედებას წყვეტდა კენჭისყრის დღეს, რასაც ნეგატიური გავლენა შეიძლება ჰქონოდა არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ამომრჩევლის ინფორმირების კუთხით.
- **სატელიტური თეფშების დაყადაღება.** იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კერძო კომპანიების გარკვეული ქონება კანონთან შეუსაბამოდ იქნა დაყადაღებული. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია „გლობალ კონტაქტ კონსალტინგისა" და ტელეკომპანია „მაესტროს" კუთვნილი სატელიტური თეფშების დაყადაღება. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროცესი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით წარიმართა, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, როდესაც საკითხი მედია საშუალებების თავისუფალ საქმიანობას ეხება.
- **საქმიანობაში ხელშეშლა.** არაერთხელ დაფიქსირდა ჟურნალისტებისათვის საქმიანობაში ხელის შეშლის, მუქარისა და ზეწოლის ფაქტები. თითქმის არც ერთ შემთხვევაზე არ წარმართულა ეფექტური გამოძიება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას დააკისრებდა დამრღვევთ.
- **საარჩევნო უბნებზე აუდიო-ვიდეო გადაღებაზე დაწესებული შეზღუდვები.** საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება საარჩევნო უბნებზე ფოტო/ვიდეო გადაღების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გაუმართლებელი და შაბლონური შეზღუდვები დაუწესა მედია საშუალებების წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს, რაც, ვფიქრობთ, ნეგატიურად აისახა პროცესის გამჭვირვალობაზე და მნიშვნელოვნად შეზღუდა არსებული დარღვევების დაფიქსირების შესაძლებლობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილება არჩევნებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე განხორციელდა, რაც, ზოგადად, არ არის მიზანშეწონილი.

<u>საარჩევნო სიები:</u>

- **ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია.** ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის საქმიანობის შედეგად, გასულ არჩევნებთან შედარებით, დაზუსტებულ იქნა მონაცემები საზღვარგარეთ გასული, გარდაცვლილი და რეგისტრაციის მისამართზე არმცხოვრები მოქალაქეების თაობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგისტრაციიდან მოხსნილი და რეგისტრაცია გაუქმებული ამომრჩევლების საარჩევნო სიაში დაბრუნების თაობაზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ამომრჩეველთა რიცხვი საარჩევნო სიაში და არჩევნების დღეს აღნიშნული ამომრჩევლებით უკანონო მანიპულირების შესაძლებლობა დატოვა.

<u>საარჩევნო ადმინისტრაცია:</u>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო ადმინისტრაციები გარკვეულ მზაობას აცხადებდნენ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ჩადენილი დარღვევების თაობა-

ზე წარდგენილი საჩივრების განხილვისას, რასაც თუნდაც საიას მიერ საარჩევნო ადმინისტრაციებში წარდგენილი საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების სტატისტიკაც მოწმობს. თუმცა, ასეთი მზაობა არ შეინიშნებოდა უშუალოდ არჩევნების დღისა და შემდგომი პერიოდის საჩივრების განხილვისას. აღნიშნული კატეგორიის საჩივრები უსაფუძვლობის მოტივით ხშირად არ კმაყოფილდებოდა.

წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე, საარჩევნო უბნებზე ფოტო/ვიდეო გადაღების შეზღუდვასთან დაკავშირებით ცესკოს მიერ მიღებულმა ცვლილებებმა მედიის განსაკუთრებული წუხილი გამოიწვია. აღნიშნული ცვლილებები დაუსაბუთებელი იყო და არღვევდა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისათვის საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ უფლებას, საარჩევნო პროცესისათვის ხელშეშლის გარეშე ეწარმოებინათ ფოტო და ვიდეო გადაღება. ცესკო აღნიშნული აქტის მიღებით გასცდა კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებს.

- **კენჭისყრის დღე**

კენჭისყრის დღის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- მარკირებასთან დაკავშირებული ხარვეზები;
- სხვა პირის ნაცვლად არჩევნებში მონაწილეობა;
- საარჩევნო სიებში არსებული უზუსტობები, განსაკუთრებულად კი, საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირთა არყოფნა საარჩევნო სიაში და სამოქალაქო პირთა რეგისტრირება სპეციალურ უბნებზე;
- კენჭისყრის უბნებზე ვიდეო გადაღების უკანონო შეზღუდვა;
- დამკვირვებლის უკანონოდ გამოძევება საარჩევნო უბნებიდან;
- სხვა პროცედურული დარღვევები (ხარვეზით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები; ბიულეტენების და კონვერტების არასაკმარისი რაოდენობა; ლუქის ერთიანობის დარღვევა და სხვა);
- ბიულეტენების მნიშვნელოვანი ნაკლებობა საარჩევნო უბნებზე;
- რიგ შემთხვევებში, მედიისა და დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვის ფაქტები;
- ოქმების არასათანადო წესით გადასწორება;
- შემაჯამებელ ოქმებზე შესაბამისი რეკვიზიტების არარსებობა.

- **არჩევნების დღის შემდგომი პროცედურების მიმდინარეობა:**

- დადებითად უნდა შეფასდეს საარჩევნო ოლქებში საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შემაჯამებელი ოქმების შეტანის პროცესი, რომელიც ძირითადად იყო ორგანიზებული და გამჭვირვალე. შემაჯამებელი ოქმების და საარჩევნო დოკუმენტაციის ოლქში შეტანა, ასევე, ოქმების გადაგზავნა ცესკოში ხდებოდა ერთ სივრცეში დამკვირვებელი ორგანიზაციების თანაბარი დაკვირვების პირობებში, რაც ზრდიდა პროცესის გამჭვირვალობისა და მისდამი სანდოობის ხარისხს. ამასთან, ოქმებში დაფიქსირებული მონაცემები ცხადდებოდა საჯაროდ და ისინი დაუყოვნებლივ შეიტანებოდა კედელზე გამოკრულ ცხრილში, რაც ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო;
- თუმცა, რიგ შემთხვევებში, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც საარჩევნო კანონმდებლობის, ასევე, ცესკოს 2012 წლის 9 მარტის „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის“ ნორმების უგულებელყოფას;[109]
- ცალკეული შემთხვევების გარდა, საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული განკარგულებები არ იყო დასაბუთებული. განკარგულებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ დაუკმაყოფილებლობის ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების მითითებით;
- საარჩევნო ადმინისტრაციები ქვემდგომი კომისიის წევრების მიმართ ხშირად პასუხისმგებლობის არაადეკვატურ ზომებს ატარებდნენ. მიუხედავად ჩადენილი დარღვევის სიმძიმისა, ზემდგომი საარჩევნო კომისიები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, როგორც წესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მსუბუქ ფორმას, შენიშვნასა და გაფრთხილებას უფარდებდნენ;
- რიგ შემთხვევებში, არ ხდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება იმ არგუმენტით, რომ უბანზე დაფიქსირებული დარღვევა გავლენას არ ახდენდა არჩევნების შედეგებზე;
- სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის დაჯარიმების მოთხოვნის შემთხვევაში, საარჩევნო ადმინისტრაციები უპირატესობას ანიჭებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნების დაჯარიმებას. თავმჯდომარეებს, რიგ შემთხვევაში, დისციპლინურ პასუხისმგებლობას უფარდებდნენ, რიგ შემთხვევებში კი, საერთოდ არ აკისრებდნენ პასუხისმგე-

[109] ცესკომ მაშინ დაარღვია აღნიშნული კოდექსის მოთხოვნები, როდესაც მან საიასა და სამართლიანი არჩევნების მიერ გამოთქმული მოსაზრებების კომენტირება მოახდინა. ცესკოს კრიტიკა არ იყო დასაბუთებული და ტაქტიანი. ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის დარღვევა დაფიქსირდა საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან, კერძოდ: ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის - „იყოს კომუნიკაბელური და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან მათ გაღვივებას“ - პრინციპი დაირღვა დუშეთის #28 საოლქო საარჩევნო კომისიის #1 საუბნო საარჩევნო კომისიის, კასპის #30 საოლქო საარჩენო კომისიის #32 საუბნო საარჩენო კომისიისა და გარდაბნის #21 საოლქო საარჩევნო კომისიის #25 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების მიერ, რომლებმაც კონფლიქტური სიტუაცია წარმოშვეს დამკვირვებლებსა და მედიის წარმომადგენლებთან და მათ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული უფლებები შეუზღუდეს.

ბლობას;[110]

- ხშირად მოთხოვნა შემაჯამებელი ოქმების ბათილობის ან/და შედეგების ხელახალი გადათვლის თაობაზე არ კმაყოფილდებოდა;
- რიგ შემთხვევებში, არ ხდებოდა საჩივრის შემომტანი პირისთვის ინფორმაციის მიწოდება საჩივრის განხილვისა დროისა და ადგილის შესახებ;[111]
- რიგ შემთხვევებში, საჩივრის განხილვაზე არ ხდებოდა საჩივარში მითითებული მოწმეების დაბარება და მათი გამოკითხვა;
- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არ ხდებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლა, მტკიცებულებათა ჯეროვანი გამოკვლევა/შეფასება;
- არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესის დროს, ქვეყნის მასშტაბით, უბნების გაბათილებისა და გადათვლის მოთხოვნებით, აქციები სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიასთან გაიმართა. პოლიტიკური პარტიების აქტივისტები ზოგჯერ აგრესიულობით გამოირჩეოდნენ და ძალადობრივ ქმედებებს მიმართავდნენ.[112]

დასკვნა

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის რამდენიმე ფაქტორის გამო. კერძოდ, განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებიდან გამომდინარე, საგრძნობლად იცვლებოდა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები. ამასთან, არჩევნების ჯეროვნად, სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარება წარმოაჩენდა საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხს. საარჩევნო პროცესებზე დიდ გავლენას ახდენდა წინასაარჩევნო პერიოდი, რომლის სამართლიან და თანასწორ გარემოში წარმართვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად პროცესის სამართლიანად მიჩნევისთვის.[113]

წინასაარჩევნო პერიოდი გამორჩეული იყო მაღალი პოლიტიკური კონკურენციით, დაძაბული ატმოსფეროთი და მრავალრიცხოვანი დარღვევებით. სამწუხაროდ, აღნიშნულ პერიოდში საზოგადოება მოკლებული იყო საარჩევნო პროგრამების განხილვაზე ორიენტირებულ კამპანიას და თემატურ პოლიტიკურ დებატებს. ამის ნაცვლად, საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა უხვი კომპრომატებით დაპირისპირების, მრავალრიცხოვანი კანონდარღვევების, სიძულვილის ენის აქტიური გამოყენების, ძალადობრივი და აგრესიული შეჯახებების ფონზე.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კონკურენცია მიმდინარეობდა არა პოლიტიკურ პარტიებს შორის, არამედ, სახელმწიფოსა და ოპოზიციას შორის, რაც განპირობებულია მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ფუნქციას შორის ზღვრის არარსებობით. ეს კი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს და თითქმის შეუძლებელს ხდის ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას. შეიძლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო გარემო იყო მკვეთრად უთანასწორო და არასამართლიანი.

კენჭისყრის დღის მშვიდ გარემოში ჩატარებას და კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რათა ამომრჩევლებს საკუთარი ნების თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობა მისცემოდა და ეს ნება შესაბამისად ყოფილიყო ასახული არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესში.

მიუხედავად გარკვეული პროცედურული დარღვევებისა, დღის განმავლობაში პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში. გამონაკლისი იყო ხაშურის №35 ოლქი, სადაც სპეციალური დანიშნულები რაზმი 10-ზე მეტ საარჩევნო უბანზე ჩაერია ხმის დათვლის პროცესში. უკიდურესად დაძაბული და ძალადობრივი ქმედებებით აღსავსე წინასაარჩევნო კამპანიის მიუხედავად, დილიდან საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა რიგები დაფიქსირდა.

ცალკეული პროცედურული დარღვევების მიუხედავად, მათ შორის არჩევნების დღეს ამომრჩეველთა ნების გამოვლენაზე პოლიტიკური პარტიების აქტივისტების მიერ განხორციელებული კონტროლისა, ამომრჩევლებმა საკუთარი არჩევანის დაფიქსირება შეძლეს. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლი უშუალოდ შედეგების დათვლისა და საზოგადოების ინფორმირების კუთხით. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები შეიძლება იმითაც იყოს განსაკუთრებული, რომ აღნიშნულ დღეს საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა მოხდა, რაშიც ყველაზე დიდი როლი ქართველმა ამომრჩეველმა ითამაშა.

- **რეკომენდაციები**

საია გამოთქვამს იმედს, რომ წინამდებარე ანგარიში დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, განამტკიცონ მიღწევები და აღმოფხვრან ხარვეზები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ახასი-

[110] კანონის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ წევრთაგან აირჩევა. საქართველოს საარჩევნო კოდექსი , მუხლი 25, პუნქტი 15.

[111] ნაძალადევის #9, საბურთალოს #3 და ხაშურის #35 საარჩევნო ოლქები.

[112] http://gyla.ge/geo/news?info=775

[113] http://gyla.ge/geo/news?info=766 სამი არასამთავრობო ორგანიზაციის - საიას, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ (TI) საარჩევნო გარემოს შეფასება, 29.09.2012 წელი.

ათებდა. აქვე გთავაზობთ მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომელიც უახლოეს მომავალში, ვფიქრობთ, უნდა აისახოს როგორც საარჩევნო კანონმდებლობაში, ასევე განხორციელდეს პრაქტიკაში:[114]

- **საარჩევნო სისტემის** ცვლილება იმგვარად, რომ დაცული იყოს ამომრჩევლის ხმის თანაბრობისა და პარტიის მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ასახვის პრინციპები ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ვფიქრობთ, რომ საარჩევნო სისტემის კონკრეტული მოდელი პოლიტიკური კონსენსუსის საგანი უნდა იყოს, თუმცა, მნიშვნელოვანია მოქმედი საარჩევნო სისტემის (მაჟორიტარული და პროპორციული) გადახედვა; საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა იმგვარად, რომ მოხდეს ამომრჩეველთა რაოდენობის გათანაბრება; მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებისათვის 30%-იანი ბარიერის გაზრდა;
- **ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ გამოყენების შეზღუდვა,** რათა შესაძლებელი გახდეს მკვეთრი ზღვრის დადგენა სახელისუფლებო და პარტიულ საქმიანობას შორის; ეს კი შესაძლებელია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ამკრძალავი ნორმების და პროცედურების ნათლად ჩამოყალიბებით, ადმინისტრაციული რესურსების დეფინიციის გაფართოებით; საჯარო მოხელეების მიერ აგიტაციაში მონაწილეობის მიღების წესის მკაფიოდ განსაზღვრითა და ლიმიტირებით; პოლიტიკური თანამდებობის პირთა წრის დავიწროებით; ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისთვის პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრებით;
- **პოლიტიკური დაფინანსების კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა** ძალიან მნიშვნელოვანია, რათა გამოირიცხოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის ფაქტები; არაგონივრული შეზღუდვებისა და ამომრჩევლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევაში; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- **საარჩევნო ადმინისტრაციების** კვალიფიკაციის ამაღლება; ინტერესთა კონფლიქტების გამორიცხვა საარჩევნო ადმინისტრაციებში და მისი პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლება; საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მეტი გამჭვირვალობა; საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევად მკაცრი კრიტერიუმების დადგენა; კომისიის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის დადგენილი კვორუმის გაზრდა; დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურების ნათლად ჩამოყალიბება და ეფექტურად აღსრულება.
- **ამომრჩეველთა სიების გაუმჯობესების მიზნით** საარჩევნო სიების დაზუსტება; სიებით უკანონოდ მანიპულირების შესაძლებლობების მაქსიმალურად შეზღუდვა; მოქალაქეთა ნდობის გაზრდა საარჩევნო სიების მიმართ. სიების დაზუსტების კომისიის ფორმატის გაუქმება და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინტეგრირება ცესკოსთან; სიების დახვეწაში სამოქალაქო რეესტრის როლის გაზრდა; საზღვარგარეთ (ლეგალურად/არალეგალურად) მცხოვრებ ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესის გამარტივება; საყოველთაო აღწერის ჩატარება.
- **კენჭისყრის დღის პროცედურები** – არჩევნების გაყალბების შესაძლებლობების მაქსიმალურად შეზღუდვა; არჩევნების შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდა. გაყალბების შესაძლებლობების შემცირება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით, მათ შორის, ბიომეტრიული პასპორტების მეშვეობით არჩევნებში მონაწილეობის გზით; ვიდეო გადაღების თავისუფლად წარმოების გარანტიების დაწესება;
- **მედიის ხელმისაწვდომობის თანაბრობის ხელშეწყობა** წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში; საარჩევნო უბნებზე აუდიო-ვიდეო გადაღებაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნა, გარე რეკლამის წესის განსაზღვრა, ე.წ. Must Carry-ისა და Must Offer-ის პრინციპების კანონისმიერი რეგულირება არასაარჩევნო პერიოდშიც, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში რეკლამის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით წესის გაუქმება, ფარული პოლიტიკური რეკლამის ცნების განსაზღვრა.
- **საარჩევნო დავებთან** დაკავშირებით ნორმების გამარტივება და მეტი სიცხადის შეტანა იმგვარად, რომ გამოირიცხოს სხვადასხვა ორგანოში დავების გასაჩივრების შესაძლებლობა, საჩივრის განხილვის ვადების გაზრდა საარჩევნო ადმინისტრაციებში და სხვა.
- **საარჩევნო უბნები** – სპეციალური საარჩევნო უბნების მეშვეობით არჩევნების შედეგებზე ხელოვნური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის თავიდან აცილება; იმ სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიის დავიწროება და ნათელი განმარტება, რომლებსაც უფლება აქვთ, ხმა სპეციალურ საარჩევო უბანზე მისცენ; სამოქალაქო პირთა მიერ სპეციალურ უბნებზე ხმის მიცემის შესაძლებლობის შეზღუდვა; სამხედრო მოსამსახურის რეგისტრაციის მისამართის სხვა საარჩევნო ოლქში არსებობისას, მისთვის მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება.
- **კანონის ობიექტური და მიუკერძოებელი აღსრულება,** რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს საჯარო სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზირების გზით. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.
- **ამომრჩევლის ცნობიერების ამაღლება** საარჩევნო პროცედურებსა და ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით.

[114] აღნიშნული რეკომენდაციები წარმოადგენს სამი არასამთავრობო ორგანიზაციის - საიას, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა (ISFED) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI) ერთობრივ რეკომენდაციებს. ორგანიზაციებმა აღნიშნული რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის წევრებს 2012 წლის 20 ნოემბერს გააცნეს.